ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

23 აპრილი, ხუთშაბათი, 2015 წ., №5

ნომერში



- კრებული, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმისთვის მომზადდა — გვ. 2
- თსუ ყოფილი თანამშრომლების დაფინანსების წესს შეიმუშავებს — გვ. 2
- რა არის ამ წიგნის მეცნიერული ღირებულება? — გვ. 9
- როგორ მიმდინარეობს სამეცნიერო საგრანტო კონკურსები თსუ-ის ფაკულტეტებზე — გვ. 10
- გამოიცა ქართულ-მეგრულ-სვანურ-ლაზურ-ინგლისური ლექსიკონი — გვ. 17

იუბილარი

- ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაცნობი და უცნობი მხარეები

გვ. 11-14

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებულები გამოვლინდნენ

მე-3 გვერდზე

3 ახლად არჩეული აკადემიკოსი უნივერსიტეტელია

თამარ დადიანი

2015 წლის 2 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას 5 წევრი შეემატა. ფარული კენჭისყრის შედეგად მიღებული ხმათა უმრავლესობით, აკადემიკოსები გახდნენ: ალექსანდრე ხარაზიშვილი (მათემატიკა), გიორგი თავაძე (არაორგანული მასალათმცოდნეობა და ტექნოლოგიები), თინათინ სადუნიშვილი (ბიოლოგია), ავთანდილ არაბული (ქართული ენა) და აპოლონ სილაგაძე (ლიტერატურათმცოდნეობა - ზოგადი და ქართული ლექსთმცოდნეობა). მათგან ბატონები: ავთანდილ არაბული, აპოლონ სილაგაძე და ალექსანდრე ხარაზიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც წარმოადგენენ და სწორედ ამდენადაა ღირებული ჩვენთვის მათი არჩევა აკადემიის ნამდვილ წევრებად.

მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, თავისი წესდების მე-10 თავის შესაბამისად, გამოაცხადა 8 ვაკანსია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში: მა-

მე-8 გვერდზე

tsu.ge/science — ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ ახლად შექმნილი ვებ-გვერდი

მე-2 გვერდზე

კრებული, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმისთვის მომზადდა

შურთხია გეროშვილი



ის დღეებიც და ის სიტყვაც უკვე ისტორიად იქცა, როდესაც თსუ-ის პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაცემაში „საქართველოს დიდი ათეული“ საზოგადოებას ივანე ჯავახიშვილი წარუდგინა. შთაბეჭდილება მართლაც დაუვიწყარი იყო, თუმცა შედეგი — ბევრისთვის მოულოდნელი (მიუხედავად მიხეილ ქურდიანის არგუმენტებისა, რომ: „ივანე ჯავახიშვილი იმიტომ კი არ უნდა მოხვდეს ათეულში, რომ იგი დიდი მეცნიერია, რომ მან შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ყველაფრის საფუძველი, არამედ უნდა მოხვდეს იმიტომ, რომ არ შეიძლება საქართველომ დაკარგოს ის ორიენტირები, რომლის უკანასკნელი და ყველაზე დიდი წარმომადგენელი სწორედ ივანე ჯავახიშვილი იყო“). საზოგადოების გადაწყვეტილებით „ერის მამა“ XI ადგილზე გავიდა. თსუ-ის გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას მიერ მომზადებული და ახლახან გამოცემული კრებული ამ აზრის გაბათილების მცდელობად და ერთგვარ პროტესტადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან როგორც ამ იდეის ავტორი და კრებულის შემდგენელი ნინო კაკულია აღნიშნავს: „ჯავახიშვილის მაშინდელ „დამარცხებას“ გამოწვევად დღეს იღებს უნივერსიტეტის გაზეთის რედაქცია. ჩვენ ამ კრებულით ,,ჩვენი” ვაჩვენეთ საზოგადოებას და ეს ,,ჩვენი” არის ერის ის ,,შვილი” — ივანე ჯავახიშვილი.“

კრებული — „კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“ — არის ერთგვარი „ჩაკირკიტების“ მცდელობა მასზე, რომლის „მოსაგონებლად ადამიანები დაიხარჯებიან, გაირჯებიან, იფიქრებენ და მასზე სწორდებიან”. სათქმელი კი ბევრია, მით უფრო, რომ, წარმატებების კვალდაკვალ, ისტორიაში შემონახულ მის ტკივილიან წარსულზე დიდი ხნის განმავლობაში — კომუნისტურ ეპოქაში — სიტყვას ვერ სძრავდნენ; სპეც-ფონდში ჩაკეტილი იყო უნივერსიტეტის ის ისტორია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობაზე ცნობებს შეიცავდა; აკრძალული იყო მისი „ქართველი ერის ისტორიის” ის ტომი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემას ეხებოდა; გასაიდუმლოებული იყო მის წინააღმდეგ წარმოებული ე.წ. სასამართლო პროცესების სტენოგრამა, რომელიც ფარდას ხდიდა წითელი პროფესურის ფიზიონომიას... ივანე ჯავახიშვილის თემას ტაბუ ედო და მასზე, როგორც ერის გონებრივ მასაზრდოებელსა და ზნეობრივ ლიდერზე, მოარულ მითებს 20-30-იანი წლების საზოგადოების მხოლოდ მეხსიერებაღა ინახავდა“.

დიდ წინამორბედზე აზრის გამოთქმისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა თავის წერილში ივანე ჯავახიშვილს XX საუკუნის საქართველოს პატიოსნების, განათლების, განვითარების, ინტელიგენტობის სიმბოლოდ მოიხსენიებს და ისტორიის „შავ ფურცლებზე“ დანანებით საუბრობს: „უნივერსიტეტს, სამწუხაროდ, ხშირად ჰქონდა მძიმე პერიოდები, ის, რომ თავად ივანე ჯავახიშვილი ჩამოაცილეს რექტორობას და უნივერსიტეტსაც კი, თუნდაც ეს რად ღირს და, მას შემდეგ რომ გადავხედოთ უნივერსიტეტის განვითარებას, სამწუხაროდ, მის ისტორიაში „შავი ფურცლები“ უფრო მეტია, ვიდრე ის „ფურცლები“, რომელნიც უნივერსიტეტის კეთილდღეობაზე მეტყველებს. ის, რომ უნივერსიტეტი თეთრი ტაძარია, ეს მხოლოდ საღებავის ფერმა კი არ განაპირობა, არამედ იმ დიდი ადამიანების დამსახურებამ, რომლებიც უნივერსიტეტის დაარსებას ედგნენ სათავეში...დღეს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ივანე ჯავახიშვილის ტრადიციები შევინარჩუნოთ“.

კრებულში შეტანილ პუბლიცისტურ ნარკვევებში ივანე ჯავახიშვილი სხვადასხვა ასპექტით არის წარმოდგენილი: „როგორ გააძევეს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან — საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცლები“ (ნინო კაკულია), „ნიკო მართან ურთიერთობაში გაჩენილი ბზარი“ (მაია ტორაძე), „უნივერსიტეტის წითელი პროფესურის ფიზიონომია — დრო, მოვლენა, ადამიანები“ (ვახტანგ გურული), „ივანე ჯავახიშვილი ემპირიული სოციოლოგიის სათავეებთან საქართველოში“ (იაგო კაჭკაჭიშვილი), „დამოკიდებულება მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი“ (მანანა ლილუაშვილი, ზურაბ გაიპარაშვილი), „პიროვნული შტრიხებით „ნაძერწი“ ივანე ჯავახიშვილი“ (ნინო კაკულია), „შთაგონებად ქცეული ძეგლი“ (მაკა ლდოკონენი), „ივანე ჯავახიშვილის წარდგინება „საქართველოს დიდ ათეულში“ (მიხეილ ქურდიანი) და სხვა.

სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ კრებულში სიტყვა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელსაც ეთმობა. საინტერესოა ამ გადასახედიდან მათ მიერ აღქმული უნივერსიტეტის დამაარსებლის პიროვნება, რომელზეც თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი ლევან ლორთქიფანიძე მოგვითხრობს.

კრებული — „კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“ — ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმისთვის მომზადდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას სამომავლოდ დაგეგმილი აქვს პერიოდულად შესთავაზოს მკითხველთა ფართო წრეს კრებულთა სერიული გამოცემები, რომლებიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და დარგების მესაძირკვლეებს, ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და პროფესორებს მიეძღვნება.

tsu.ge/science — ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ ახლად შექმნილი ვებ-გვერდი

21 აპრილს თსუ-ში ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ ახლად შექმნილი ვებ-გვერდის tsu.ge/science და ჟურნალის 2014 წლის წლიური გამოშვების პრეზენტაცია გაიმართა.

ახალი ვებ-გვერდი ორენოვანია და იგი მომხმარებელს აცნობს ჟურნალში „თსუ მეცნიერება“ გამოქვეყნებულ მასალებს და ინფორმაციას მკვლევრების შესახებ. ვებგვერდს აქვს ფორუმი, რომელიც მეცნიერებით დაინტერესებულ მკითხველს, რომლებიც საიტზე დარეგისტრირდებიან, კვლევების შესახებ მოსაზრების გამოთქმის და მეცნიერებთან დისკუსიაში ჩართვის საშუალებას მისცემს. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება თსუ-ის მთავარი სამეცნიერო სიახლეების შესახებ უახლესი ინფორმაცია, თსუ-ისა და მოწვეული ლექტორების მიერ ჩატარებული საჯარო ლექციების ვიდეომასალა.

ვებ-გვერდის ენა და მოხმარება მარტივია და იგი არა მხოლოდ მეცნიერებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის არის გამიზნული.

ჟურნალი „თსუ მეცნიერება“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემაა. სამეცნიერო-პუპულარული ჟურნალის მიზანია საზოგადოებას უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო პროცესების შესახებ მიანოდოს ინფორმაცია. აქ წარმოდგენილია მასალები თანამედროვე კვლევების შესახებ, რომლებმაც უკვე მოიპოვეს საერთაშორისო გამოხმაურება; მიღებული აქვთ კვლევითი გრანტები; მათ შესახებ ქვეყნდება სტატიები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში; მოხსენებები წარმოდგენილია სამეცნიერო კონფერენციებზე; ხშირ შემთხვევაში ეს კვლევები წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგია.

ჟურნალი გამოდის ორ — ქართულ და ინგლისურ ენებზე. პირველი ორენოვანი ჟურნალი 2011 წელს გამოვიდა და ყოველწლიურად ორი ნომერი გამოდიოდა; 2014 წლიდან კი გამოცემა უკვე ყოველწლიურია და ორ დამოუკიდებელ — ქართულ და ინგლისურ პუბლიკაციებად არის წარმოდგენილი.

თსუ ყოფილი თანამშრომლების დაფინანსების წესს შეიმუშავებს

საქართველოს პარლამენტმა გასულ თვეში მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტს უფლებამოსილება ენიჭება — დაეხმაროს მის ყოფილ თანამშრომლებს. საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნოდა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს, რომელსაც ამ წინადადებით გასულ წელს მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტმა“ მიმდინარე წლის 31 მარტის ნომერში გამოაქვეყნა ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარესთან ივანე კილარაძესთან, რომელიც ამ საკანონმდებლო ინიციატივაზე გამოთქვამდა მოსაზრებებს.

ამჯერად გთავაზობთ უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას ინტერვიუს, რომელიც უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლების დაფინანსების წესს შეეხება.

მაია ტორაძე

— ბატონო ლადო, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა თქვენ მიერ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში შეტანილი წინადადება უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლებისთვის დახმარების გაწევის კანონიერი უფლების მინიჭების შესახებ, დღის წესრიგში დადგა იმ წესის განსაზღვრის საკითხი, თუ როგორ უნდა შეირჩეს ბენეფიციარები. მანამდე იქნებ კიდევ ერთხელ გავაცნოთ საუნივერსიტეტო საზოგადოებას, რამ გამოიწვია ამ წინადადების შეტანა პარლამენტის კომიტეტში?

— საქმე ისაა, რომ, 2006 წლიდან მოყოლებული, ე.წ. რეფორმების შედეგად, არაერთი საკმაოდ ცნობილი, გამორჩეული პროფესორი დაიჩაგრა. მათ შორის ისეთებიც, ვინც, შესაძლოა, დიდი და საყოველთაოდ სახელგანთქმული მეცნიერი არ იყო, მაგრამ არაერთი ათეული წელი ემსახურა უნივერსიტეტს. ბუნებრივია, რომ ამას მოჰყვა ადამიანების შინაგანი პროტესტი, რაც აბსოლუტურად გასაგებია. ამავდროულად, რეფორმის შედეგად დაზარალებული ყველა ადამიანის უნივერსიტეტში შემობრუნებაც პრინციპულად შეუძლებელია. უნივერსიტეტში მიმდინარეობს ჩვეულებრივი აკადემიური პროცესი. აკადემიურ პერსონალს თანამდებობები დაკავებული აქვს კონკურსის წესით და კონკურსის ვადის გასვლამდე, თუ რამე განსაკუთრებული არ დააშავა, მათ თანამდებობების დაკარგვა არ ემუქრებათ. ბუნებრივია, კონკურსის ვადა რომ გავა, ჩატარდება მორიგი არჩევნები, რომელშიც მონაწილეობის უფლება ექნება ყველას, ვისაც შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს და ამის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს.

მაგრამ არის ისეთი კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც უკვე იმ ასაკში არიან, რომ აკადემიური პერსონალის რანგში უნივერსიტეტში მობრუნების პერსპექტივაც არ აქვთ (ზოგი ასაკის გამო, ზოგი ჯანმრთელობის გამო, ზოგიც ერთდროულად ორივე მიზეზის გამო). ამ კატეგორიის ადამიანები გარკვეულ ყურადღებას მოითხოვენ.

გასულ წელს ჩვენ შევედით პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებით, რომ უნივერსიტეტს, სხვა ეკონომიკური შემოსავლიდან, მისცემოდა შესაძლებლობა, თანხის გარკვეული ნაწილი დაეხარჯა ყოფილი უნივერსიტეტელების სოციალური მხარდაჭერისთვის. ბუნებრივია, რომ ეს მარტივი არ არის. რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი იქნებოდა ეს საკითხი მთავრობას სახელმწიფოს დონეზე გადაეწყვიტა, მაგრამ, რადგან, სამწუხაროდ, სახელმწიფომ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამის გაკეთება ვერ მოახერხა, ჩვენ გამოვედით ამ ინიციატივით, რადგან, თუ სადმე ვინმე დაზარალდა ამ წლებში, ყველაზე მეტად, ალბათ, ამ უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლები არიან. ბუნებრივია ეს ახალი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს უნივერსიტეტს და ახალ ტვირთს უქმნის, მაგრამ ვფიქრობ, ეს ის ტვირთია, რომელიც მორალურ სიმშვიდეს შესძენს დღეს მომუშავე ადამიანებს. ხომ შეიძლება, ხვალ, როცა უნივერსიტეტის თანამშრომლები აღარ იქნებიან, მათაც დასჭირდეთ დახმარება? ამიტომ უნდა ჰქონდეთ იმედი, რომ ის უნივერსიტეტი, რომელსაც არაერთი ათეული წელი ემსახურნენ, მათაც გვერდზე დაუდგება.

უკვე მომზადებულია ჩემი ბრძანების პროექტი, რომელსაც დღეს-ხვალ ხელი მოეწერება. ამ ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს წეს-დებულებას იმისას, თუ რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს განმცხადებელმა, ვის და რა პროცედურებით შეიძლება მიეცეს ესა თუ ის სოციალური დახმარება, იქნება ეს ერთჯერადი თუ უფრო ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი. როცა წესი შემუშავდება, ამის შემდეგ საჭირო იქნება უნივერსიტეტის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რადგან ბიუჯეტში აუცილებელია აისახოს შესაბამისი მუხლი.

ვფიქრობთ, რომ ჩვენ ძალიან მალე ამ სამუშაო ჯგუფის შეკრებას ჩავატარებთ. როგორც კი წესი გვექნება, ის, უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, დამტკიცდება და მომზადდება ცვლილება, რომ ბიუჯეტში ეს ხარჯი გათვალისწინდეს.

— თქვენ ახსენეთ „სხვა ეკონომიკური შემოსავლები“. კონკრეტულად რა შემოსავლებია ეს და რამდენად აისახება უნივერსიტეტის ბიუჯეტზე?

— სხვა ეკონომიკური შემოსავალი არის ის, რასაც უნივერსიტეტი ბიუჯეტიდან არ იღებს. აქ საუბარია იმ თანხებზე, რომელიც უნივერსიტეტს აქვს, დავუშვათ, იჯარის ქირით მიღებული შემოსავლიდან, ან შემოსავალი, რომელიც ერიცხება ბანკში ანგარიშზე. ცხადია, ამ თანხას მთლიანად ვერ გავითვალისწინებთ სოციალური დახმარებისთვის, რადგან მის ხარჯვას სხვა მიმართულებებიც აქვს, მაგრამ, სენატთან შეთანხმებით, გაირკვევა, რა ნაწილი უნდა დაიხარჯოს სოციალურ დახმარებებზე.

რეალურად, გულწრფელი რომ ვიყო, გეტყვით, რომ ეს არ იქნება გრანდიოზული თანხა, განსაკუთრებით წლევანდელი წლის ბიუჯეტში. უფრო უკეთ მის ასახვას, ალბათ 2016 წლის ბიუჯეტში შევძლებთ, მაგრამ ჩვენთვის პრინციპული არის ის, რომ ადამიანებმა იგრძნონ, რომ ისინი უყურადღებოდ არ არიან დატოვებულნი. ჩვენ მათ ისეთ თანხას ვერ მივცემთ, რომ ყველა პრობლემა გადაწყვიტონ, მაგრამ სოციალურ ყოფას ნამდვილად შევუმსუბუქებთ.

მანამდე კი გვინდა ვიცოდეთ, კონკრეტულად, ვინ არის ის ადამიანი, რამდენად მართლა გაჭირვებულია, რამდენად სჭირდება დახმარება და რა წვლილი აქვს მას შეტანილი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. აქ არ არის ლაპარაკი, ვინ იყო იგი — დიდი მეცნიერი თუ რიგითი თანამშრომელი.

მე ვუხელმძღვანელებ სამუშაო ჯგუფს, რომელმაც ეს დებულება უნდა მოამზადოს. ხოლო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს, რექტორის ადგილი აღარ იქნება. კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს დამტკიცებული დებულებით და იმ თანხების ფარგლებში, რასაც სენატი განსაზღვრავს.

აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო — სოციალური დახმარების თანხა არც ერთ შემთხვევაში არ მოაკლდება იმ ბიუჯეტს, რაც გათვალისწინებულია უშუალოდ სწავლებაზე და სამეცნიერო კვლევებზე. ეს თანხები პრიორიტეტულია და მას არანაირი ცვლილება არ შეეხება.

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებულნი გამოვლინდნენ

ფორუმში გამარჯვებული თემების მთავარი ღირებულება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმისთვის ემზადება. ფორუმი უკვე მეორე წელია იმართება და მასზე წარდგენილია სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც კონკურსის საფუძველზე შეირჩა სპეციალური კომისიის მიერ.

ფორუმი ემსახურება უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესებას და მეცნიერ-მკვლევართა და სტუდენტთა წახალისებას, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია მიზნისკენ – რეგიონში პირველი უნივერსიტეტი გახდეს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი კვლევითი სასწავლო დაწესებულება.

წელს გამარჯვებულია 21 სამეცნიერო ნაშრომი. თითოეული ფაკულტეტიდან ნაშრომის წარდგენის უფლება ჰქონდა როგორც პროფესორ-მასწავლებლებს, ასევე სამივე საფეხურის სტუდენტებს.

ფორუმში მონაწილე მოხსენებების ავტორებს გადაეცემათ სერტიფიკატი და წამახალისებელი ფულადი ჯილდო: პროფესორებს 5 000 ლარი, დოქტორანტებს 1500 ლარი, მაგისტრანტებს 1000 ლარი, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტებს 500 ლარის ოდენობით.

მედიცინის ფაკულტეტზე

პროფესორი **დიმიტრი კორძაია**, სამეცნიერო თემა: „ახალი ფრაგმენტები ღვიძლის დუქტუალური რეაქციის რთული მოზაიკური სურათის შესავსებად“

— „დუქტუალური რეაქცია“ მორფოლოგიური ფენომენია, რომელიც გამოიხატება ღვიძლის მიკროსკოპულ ანათლებში ნაღვლის სადინარების პროფილების მატებით. ის გვხვდება ღვიძლის სხვადასხვა პათოლოგიის დროს. ნაღვლის შეგუბების თანმხლებ დუქტუალურ რეაქციას ეწოდება ტიპიური ანუ I ტიპის დუქტუალური რეაქცია. იგი აღმოცენდება ნაღვლის სადინარის კენჭით, სიმსივნით ან სხვა მიზეზით დახშობის დროს (ადამიანებში) ან ნაღვლის სადინარის გადაკვანძვით (ექსპერიმენტში).

I ტიპის დუქტუალური რეაქცია განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული მღრღნელებში, იმდენად, რომ სწორედ ვირთაგვების საერთო სადინარის გადაკვანძვა წარმოადგენს ფართოდ აღიარებულ მოდელს ტიპიური დუქტუალური რეაქციის კვლევისათვის. მიჩნეულია, რომ ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიის შედეგად გაჩენილი დუქტუალური პროფილები წარმოადგენს უკვე არსებული ნაღვლის სადინარების განტოტებებს გამრავლების (პროლიფერაციის) შედეგად. დუქტუალური რეაქციის კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ამ პროლიფერაციული პროცესების გამოხატულების გამო, რადგანაც ვარაუდობენ, რომ დუქტუალური რეაქციის მექანიზმების გაშიფვრამ, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სიმსივნეების (ასევე პროლიფერაციით მიმდინარე პროცესების) განვითარების მექანიზმების გაშიფვრაშიც.

ცნობილი იყო, რომ ახალი დუქტუალური პროფილების გაჩენა აღინიშნება ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიიდან 48-72 საათის შემდეგ. ჩვენ მიერ პირველად იქნა ნაჩვენები დუქტუალური პროფილების მატება ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიიდან უკვე 6 საათის შემდეგ.

რატომ შევნიშნეთ ეს ჩვენ და ვერ შენიშნეს სხვებმა? საქმე ისაა, რომ როგორც წესი, ღვიძლის ქსოვილის მიკროსკოპული კვლევა ექსპერიმენტში იწყება ნაღვლის შეგუბების მე-3 (ძალზე იშვიათად მე-2) დღეს. ეს გამოწვეულია იმ „დასაბუთებული ვარაუდით“, რომ ასე მცირე დროში (6, 12 ან 24 საათში) „არც არაფერი“ იქნება სანახავი.

ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიიდან 6, 12 და 24 საათის შემდეგ, ჩვენ აღვწერეთ ახალი დუქტუალური პროფილების გამოჩენა, თანაც არა მხოლოდ მათი კლასიკური ლოკალიზაციის ადგილებში, არამედ, ღვიძლის შენაკადების მიმდებარედაც (რაც აბსოლუტურად მოულოდნელი იყო). ყველა აღწერილი პროფილი ავლენდა ნაღვლის დუქტუალების ტიპიური იმუნოჰისტოქიმიური მარკერების დადებით ექსპრესიას, ამასთანავე ნეგატიური რჩებოდა პროლიფერაციის მარკერის მიმართ.

ღვიძლის ჰისტოლოგიური და იმუნოჰისტოლოგიური კვლევის შედეგების შეჯერებით ნაღვლის გზების სტერეოარქიტექტონიკის კვლევის მონაცემებთან დავადგინეთ, რომ ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიიდან ადრეულ ვადებზე გამოვლენილი დუქტუალური პროფილები წარმოადგენს პერიპორტული ბილიური წნულის და ჰერინგის მილაკების გაგანიერებულ მონაკვეთებს.

ეს სტრუქტურები, ნორმულად, მათი დიამეტრების ზომებიდან გამომდინარე, სინათლის მიკროსკოპში პრაქტიკულად არ განირჩევა. ნაღვლის შეგუბება კი იწვევს მათი სანათურის გაგანიერებასა და გამოვლინებას. ეს ადასტურებს, რომ დუქტუალური რეაქცია ადრეულ ვადებზე არ არის დაკავშირებული პროლიფერეციულ პროცესებთან. ის წარმოადგენს უკვე არსებული, მაგრამ ჩვეულებრივ პირობებში „უხილავი“ დუქტუალების გაგანიერების შედეგს.

აღნიშნულის საფუძველზე, ჩვენ გამოვყავით I ტიპის დუქტუალური პრეაქციის „პრე-პროლიფერაციული“ ფაზა.

გაცილებით რთულ ამოცანას წარმოადგენდა იმ ნაღვლის დუქტუალების რაობის გარკვევა, რომლებიც თან ახლავს ღვიძლის ვენების სხვადასხვა კალიბრის შენაკადებს. ასეთი რამ აქამდე აღწერილი არ ყოფილა.

ეს შევნიშნეთ ჩვენ და ვერ შენიშნეს სხვებმა? ღვიძლის ვენების შენაკადების თანხლება ნაღვლის დუქტუალებით, ღვიძლის მილოვანი სტრუქტურების ტოპოგრაფიის ყველა აღიარებული მოდელის გათვალისწინებით, იმდენად წარმოუდგენელი ჩანს, რომ, სავარაუდოდ, არავის დაუწყია დუქტუალების სანათურების მიზანმიმართული ძებნა ღვიძლის ვენების მიმდებარედ.

ჩვენ მიერ გამოვლენილი იქნა სხვადასხვა პორტული და ღვიძლის ვენების შენაკადების გადაჯვარედინების ისეთი უბნები, სადაც ნაღვლის დუქტულა „გადანაცვლდება“ (დისლოცირდება) პორტული ტრაქტიდან (ანუ, მისი მდებარეობის კლასიკური ადგილიდან) ღვიძლის ვენების შენაკადების ირგვლივ მდებარე შემაერთებელ ქსოვილში. ზოგჯერ, ეს დისლოცირებული დუქტუალები მიყვება ღვიძლის ვენებს უწვრილეს შენაკადებამდე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ მოწოდებული იქნა ღვიძლშიდა ნაღვლის კალაპოტის მოდულის ორიგინალური სქემა, რომელიც საფუძველს უქმნის ღვიძლის პათოლოგიათა მექანიზმების კვლევისადმი ახალ მიდგომებს.

მიმდინარე წელს გამარჯვებულები გახდნენ:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან: დოქტორანტები: **ვახტანგ ჭარაია, ირაკლი დოღონაძე, ოთარ ანგურიძე** მოხსენებით: „ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზი“; ბაკალავრიატის სტუდენტი **თამარ ბარბაქაძე** მოხსენებით: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საწარმოთა ეკონომიკური მდგრადობა“.

მედიცინის ფაკულტეტიდან: პროფესორი **დიმიტრი კორძაია** სამეცნიერო მოხსენებით თემაზე: „ახალი ფრაგმენტები ღვიძლის დუქტულური რეაქციის რთული მოზაიკური სურათის შესავსებად“; დოქტორანტი **მარინე ქარჩავა** მოხსენებით: „ინტერლეიკინ 28B გენოტიპის და ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის პროგნოზული ღირებულება საქართველოში მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფებისათვის“; მაგისტრანტი **ნათია ადამია** მოხსენებით: „რეზისტენტული ტუბერკულოზის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები“; ბაკალავრიატის სტუდენტები **მაია ღავთაძე** და **გიორგი ქისტაური** მოხსენებით „მაგნიტური ნანონაწილაკების მდგრადი სუსპენზია -„უნიმაგი“, მისი ჰიპერთერმული და მაგნიტური თვისებების კვლევა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან: აკადემიკოსი **აპოლონ სილაგაძე** მოხსენებით: „მეგრული ლექსთწყობა“; დოქტორანტი **სოფიო მოდებაძე** მოხსენებით: „მუსიკალური ხელოვნების კრიზისი პოსტმოდერნულ ეპოქაში“; მაგისტრანტი **გიორგი ქიტოშვილი** მოხსენებით: „ლექციონარში დაცული იონა წინასწარმეტყველის გალობის ტექსტისათვის“; ბაკალავრიატის სტუდენტი **ქეთევან ჭილაია** მოხსენებით: „სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირება სკოლამდელი ასაკის ქართველ ბავშვებში“.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან: აკადემიკოსი **ნოდარ ცინცაძე** მოხსენებით: „გადაგვარებული კვანტური კლაზმის ზოგიერთი ახალი ასპექტები“; დოქტორანტი **გიორგი ბურჯანაძე** მოხსენებით: „ჰიპოკამპში კრეატინკინაზას აქტივობის ცვლილება ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევის პირობებში“; ბაკალავრიატის სტუდენტი **ლაშა ბარამიძე** მოხსენებით: „ფურიეს მწკრივების ლოგარითმული საშუალოების წერტილოვანი კრებადობის შესახებ“.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან: პროფესორი **კორნელი კაკაჩია** ნაშრომით: „აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობები: სტრატეგიული კავშირის საფუძვლები და გამოწვევები. ანგარიში 2013“ (თანაავტორი ზ. შირიევი); ბაკალავრიატის სტუდენტი **ეკატერინე ლაზარაშვილი** მოხსენებით: „საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ტექნოგენური ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემები”.

იურიდიული ფაკულტეტიდან: პროფესორი **ლევან ალექსიძე** მოხსენებით: „დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა“ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთგულება გაეროს წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისადმი საქართველოს ჩათვლით?“; დოქტორანტი **გიორგი ამირანაშვილი** მოხსენებით: „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი)“; მაგისტრანტი **სიმონ ტაკაშვილი** მოხსენებით: „საჯარო რეესტრის მონაცემების სისწორისა და სისრულის პრეზუმცია — დემოკრატიული კანონმდებლობა თუ საკანონმდებლო ხარვეზი“; ბაკალავრიატის სტუდენტი **თორნიკე ნემსწვერიძე** მოხსენებით: „თანაბარი ზომის საარჩევნო ოლქები, როგორც ხმის მიცემის თანასწორუფლებიანობის ერთ-ერთი საფუძველი - არსებული რეალობა და პერსპექტივები საქართველოში“.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან: პროფესორი **ვახტანგ ნადარეიშვილი** მოხსენებით: „ნორმატიული და დევიაციური აქტივობის ფსიქოლოგიური ასპექტები დ. უზნაძის განწყობის თეორიის პოზიციიდან“; ბაკალავრიატის სტუდენტები **ნინო ასათაშვილი** და **თეკლა ნემანიშვილი** მოხსენებით: „ფემინისტებო, ჰაიტ“, ანუ ფემინისტების სტიგმატიზაცია საქართველოში: იდენტობა, სტიგმა და დაძლევა“.

დოქტორანტი **მარინე ქარჩავა** სამეცნიერო თემა: „ინტერლეიკინ 28B გენოტიპის და ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის პროგნოზული ღირებულება საქართველოში მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფებისათვის“

— C ჰეპატიტი მსოფლიო ჯანდაცვის უაღრესად აქტუალური პრობლემაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულია დაახლოებით 170-180 მილიონი ადამიანი. C ჰეპატიტი ღვიძლის ტერმინალური დაავადებების განვითარების ყველაზე ხშირი მიზეზია. ამ დაავადებით ყოველწლიურად ავადდება დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი, ხოლო დაახლოებით 350 000 პაციენტი იღუპება. C ჰეპატიტი და მისი გართულებები მთელს მსოფლიოში ავადობის, დროებითი შრომისუუნარობის და სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია.

ქრონიკული C ჰეპატიტის დროს სპონტანური გამოჯანმრთელება პრაქტიკულად არ ხდება. განვითარებული ქვეყნების გარდა, მკურნალობის სტანდარტი პეგილირებული ინფეტერფერონით და რიბავირინით მკურნალობაა, რასაც თან ახლავს სერიოზული გვერდითი ეფექტები და განკურნების შედარებით დაბალი მაჩვენებლები, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფექციისგან განკურნების პროგნოზული მარკერების წინასწარ ცოდნას.

2009-2013 წლებში საქართველოში პირველად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩავატარეთ კვლევათა ციკლი, რომელიც მიზნად ისახავდა C ჰეპატიტის ვირუსის რაოდენობის ადრეული შემცირების და ინტერლეიკინ 28B გენოტიპის პროგნოზული ღირებულების შესწავლას. ამ ორი მნიშვნელოვანი მარკერის კომბინაციაში განხილვა ჩვენ მიერ მსოფლიოში პირველად იქნა შესწავლილი და გამოქვეყნებული. ამ კვლევამ უკვე გამოიწვია მსოფლიო სამედიცინო საზოგადოების დიდი ინტერესი და გამოხმაურება.

C ჰეპატიტის ვირუსის ადრეულ შემცირებას მკურნალობის დაწყებიდან მეორე კვირაზე აქვს მაღალი პროგნოზული ღირებულება (93%), ასევე საგულისხმოა ინტერლეიკინ 28B C/C გენოტიპის როლი 1 გენოტიპით პაციენტებში განკურნების პროგნოზირებისათვის (77%), თუმცა ამ ორი თავისთავად მნიშვნელოვანი მარკერის კომბინაცია სადღეისოდ ყველაზე ძლიერი პრედიქტორია (100%) და საშუალებას იძლევა ძალიან დიდი სიზუსტით მოხდეს განკურნების პროგნოზირება ინტერფერონით მკურნალობის დაწყებიდან 2 კვირაში.

მე-4 გვერდზე

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებულნი გამოვლინდნენ

მესამე გვერდიდან

ბაკალავრიატის სტუდენტები **მაია ღავთაძე** და **გიორგი ქისტაური**, თემა: „მაგნიტური ნანონაწილაკების მდგრადი სუსპენზია - „უნიმაგი“, მისი ჰიპერთერმული და მაგნიტური თვისებების კვლევა“

მაია ღავთაძე: — მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ გია ფიჩხაიას. მისი დახმარებით გავეცანით მედიცინაში ახალ სიტყვას, რომელსაც მაგნიტური ნანონაწილაკების ლოკალური ჰიპერთერმული მოქმედებით სიმსივნური დაავადებების მკურნალობა ჰქვია. უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოში ამ კუთხით კვლევები მიმდინარეობს და ნაშრომის არსიც სწორედ ისაა, რომ შესაძლებლობა გვაქვს ხელი შევუწყოთ აღნიშნული დარგის განვითარებას. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის ქართველი, მკვლევარებიც ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ლოკალური ჰიპერთერმია ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის მეოთხე საბაზისო მეთოდის ადგილს დაიკავებს ქირურგიულ, რადიო და ქიმიოთერაპიულ მეთოდებთან ერთად.

კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა ჩვენს ხელთ არსებული მაგნიტური ნანონაწილაკების მდგრადი სუსპენზიის „უნიმაგის“ ჰიპერთერმიული და მაგნიტური თვისებები. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია სითხის ნიმუშის გაცხელება 55^{0}C-მდე 30 წუთის განმავლობაში. სუსპენზიის მაგნიტური თვისებების გაზომვა იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მაგნეტიტის ნაწილაკები სუსპენზიაში ოთახის ტემპერატურაზე იმყოფებიან სუპერპარამაგნიტურ მდგომარეობაში. გარდა ამისა, „უნიმაგი“ არ იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს ორგანიზმში. მისი გამოყოფის ერთადერთი გზა ლიმფური სისტემაა, აქვს სხვადასხვა ბიო-მაკრომოლეკულების ადსორბციის, ქსოვილებში მაღალი შეღწევადობის უნარი. აქედან გამომდინარე, კვლევის დასკვნაც არის ის, რომ „უნიმაგის“ გამოყენება ლოკალური მართული ჰიპერთერმიით სიმსივნური უჯრედების განადგურების კუთხით პერსპექტიულია. თუმცა, წინ გრძელი გზაა გასავლელი და ამ მეთოდის პრაქტიკაში დანერგვამდე დიდი შრომაა საჭირო.

გიორგი ქისტაური: — ამ თემით დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ მაგნიტური ნანონაწილაკების გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო არის მედიცინა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მაგნიტური ნანონაწილაკების გამოყენებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია თემის აქტუალურობა, რადგან მედიცინის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი, სწორედ ონკოლოგიური დაავადებების მართვაა. ნაშრომში, ასევე, მნიშვნელოვანია აღწერილი ცნობები მაგნიტური ნანონაწილაკების შესაძლებლობების და მომავლის მედიცინაში, მათი კიდევ უფრო მეტად განვითარების პერსპექტივის შესახებ.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რკინის მაგნიტური ნანონაწილაკების მდგრადი სუსპენზია, „უნიმაგი“ (უნივერსალური მაგნეტიტი) აკმაყოფილებს ყველა იმ თვისებას, რომელიც აუცილებელია, რომ ჰქონდეს ამ კუთხით გამოყენებად ნანონაწილაკებს. შესაბამისად, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ „უნიმაგის“ გამოყენება შეიძლება ნაშრომში აღწერილი მეთოდის მიხედვით, რაც გულისხმობს პრეპარატის ორგანიზმში ლოკალურად შეყვანას და შემდგომ გარე მაგნიტური ველის დახმარებით ადგილობრივი ჰიპერთერმიის გამოწვევას. შედეგად, მაღალ ტემპერატურაზე უჯრედები იწყებენ კვდომას, ამას კი მოჰყვება ის სასურველი ეფექტი, რასაც სიმსივნური უჯრედებისგან გათავისუფლება ჰქვია.

მაგისტრანტი **ნათია ადამია**
თემა: „რეზისტენტული ტუბერკულოზის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები“

— ტუბერკულოზს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიო ებრძვის. მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზი განკურნებადია, ამ სენით მსოფლიოში ყოველწლიურად 8-9 მილიონი ადამიანი ავადდება და წლის განმავლობაში 100 000 ბავშვი იღუპება. ნაშრომი სწორედ ტუბერკულოზს ეხება. კერძოდ, მედიკამენტის მიმართ რეზისტენტულ (გამძლე) ფორმას, რომელიც ადამიანების მიერ შექმნილი პრობლემაა. მათ მიერ დაშვებული შეცდომები არის ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც ტუბერკულოზის მიკრობაქტერიას წამლებისადმი რეზისტენტულს ხდის. ნაშრომში მთავარი და მნიშვნელოვანი არის საქართველოს მასშტაბით ამ პრობლემის განსაზღვრა. მასში მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები, თუ როგორ გაუმჯობესდა მდგომარეობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. გაირკვა, რომ ტუბერკულოზის ამ ფორმის თანდათანობით შემცირება ხდება, თუმცა მაჩვენებელი მაინც გვაფიქრებინებს, რომ ტუბერკულოზის ეს ფორმა საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, როგორც სამოქალაქო, ასევე პენიტენციალურ სისტემაში.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ღონისძიება ტარდება და ჯანდაცვის ორგანიზაციები ცდილობენ საზოგადოების ინფორმირებას, საზოგადოების ნაწილი ამ დაავადებას მაინც სტიგმად მიიჩნევს და მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობაში მიმართავს ექიმს, რითაც საფრთხეში აყენებენ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ საზოგადოებასაც.

დაგვიანებული დიაგნოსტიკა, არასრულყოფილი, არაკონტროლირებადი და შეწყვეტილი მკურნალობა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ტუბერკულოზის წამლებისადმი რეზისტენტული ფორმა ვითარდება და წლები სჭირდება მის განკურნებას. მედიკამენტების გვერდითი ეფექტიც არის ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი, რის გამოც პაციენტი უარს აცხადებს მკურნალობაზე. ჩემი აზრით, გამოსავალი არის საზოგადოების ინფორმირება, დროული დიაგნოსტიკა, ადეკვატური, სწორი მკურნალობა, პაციენტის განათლება, DOT და DOT პლუს-ის პროგრამების იმპლემენტაცია, დაავადების პრევენცია (განსაკუთრებით იმუნოკომპეტენტურ პაციენტებთან) და რაც მთავარია, საჭიროა პაციენტის კონტროლი, რათა მოხდეს ადეკვატური მედიკამენტოზური მკურნალობა, რაც ექიმსა და პაციენტს შორის მჭიდრო კავშირს გულისხმობს.

სოციალური სტატუსის გაუმჯობესებასთან ერთად ტუბერკულოზის რიცხვიც საგრძნობლად კლებულობს და ძირითადად ის განვითარებადი ქვეყნების პრობლემაა. სწორედ ამიტომ დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის ზრდა საგრძნობლად იმოქმედებს ამ სენის დაძლევაზე და დროთა განმავლობაში ის ერთ-ერთ დაძლეულ პრობლემას შორის აღმოჩნდება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

პროფესორი **კორნელი კაკაჩია**
(თანაავტორი **ზ. შირიევი**)
თემა: „აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთოგები: სტრატეგიული კავშირის საფუძვლები და გამოწვევები. ანგარიში 2013“

— მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი არიან სტრატეგიული პარტნიორები და ეს თანამშრომლობა გამყარებულია საუკუნეების განმავლობაში ერთობლივი თანაცხოვრებით, აქამდე არ არსებობდა ორმხრივი კომპლექსური ურთიერთობების ამსახველი სამეცნიერო ნაშრომი ინგლისურ ენაზე, რომელიც ზუსტად ასახავდა ამ ურთიერთობების საფუძვლებს. ამ ნაშრომის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს არა მხოლოდ ის, რომ დეტალურადაა გადმოცემული ორმხრივი თანამშრომლობის საკვანძო საკითხები (პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკის, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხები, რასაც ეყრდნობა ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები), არამედ ასახულია ის გამოწვევებიც, რომელიც დროდადრო იჩენს თავს ორმხრივ ურთიერთობებში. 117 გვერდიან ნაშრომში (იგი წარმოადგენს ქართველი და აზერბაიჯანელი მკლევარის ერთობლივ პროექტს), ასევე დიდი ადგილი ეთმობა ორმხრივ სოციალურ-ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურულ და ეთნიკური უმცირესობების საკითხებს, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული თანამშრომლობის ქვაკუთხედს. ამასთანავე, ნაშრომი მიმოიხილავს საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობას სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში, როგორიცაა სუამი, აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის სამმხრივი სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატი. ნაშრომში მკითხველი ორმხრივი ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებზე სტატისტიკურ მონაცემებსაც იხილავს.

მიუხედავად ფორმალურად აღიარებული სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატისა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ორმხრივი ურთიერთობების გასაღრმავებლად. განსაკუთრებით ეს ეხება საზოგადოებათაშორის ურთიერთობებს. კვლევამ აჩვენა, რომ საზღვრის ორივე მხარეს ჯერ კიდევ არსებობს მყარად გამჯდარი გარკვეული სტერეოტიპები: ფართო საზოგადოებამ ნაკლებად იცის მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დინამიკა, რათა გაერკვეს არსებულ სიტუაციაში. განსაკუთრებით ეს აისახება ახალგაზრდობაზე, რადგან არ არსებობს ორმხრივი მიზნობრივი გაცვლითი პროგრამები სტუდენტი-ახალგაზრდების, მეცნიერების და საზოგადოების სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის. ასევე, სუსტია კავშირები რეგიონალური და საზღვრისპირა თანამშრომლობის საკითხებში. ნაშრომის დასკვნით ნაწილში კონკრეტულადაა მოცემული ის რეკომენდაციები მთავრობებისადმი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ორმხრივი კეთილმეზობლური ურთიერთობების გასამყარებლად.

ბაკალავრიატის სტუდენტი
ეკატერინე ლაზარაშვილი
თემა: „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემები“

— საქართველოს შავი ზღვის სანაპირო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ტერიტორიის გარკვეული ნაწილი გადარეცხვის საშიშროების წინაშე დგას, რასაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის. აღნიშნული პრობლემა ახალი ნამდვილად არაა და იგი უკვე წლებია აქტუალურია. ზღვისპირეთის უნიკალურ პლაჟებს განადგურება ემუქრება, რადგან სახელმწიფო არ ახორციელებს პერმანენტულ ნაპირდაცვით ღონისძიებებს. სანაპიროს პერიმეტრზე მიმდინარე აბრაზიული პროცესების ტემპზე, ბუნებრივ პირობებთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ანთროპოგენური ფაქტორები.

მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან კი მდ. ჭოროხის აუზის ათვისება ენერგეტიკული მიმართულებით დაიწყო. საპროექტო ჰესები არსებულ ჰიდროელექტროსადგურებს შორის განთავსდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პირველია დერინერის კაშხალი, რომელიც ჩვენი საზღვრიდან 120 კილომეტრზე მდებარეობს. დერინერის კაშხალს, სავარაუდოდ, 30 კილომეტრი აქვს სიგრძე და უზარმაზარი ტერიტორია დატბორილია. მის ქვეშ, არაზუსტი მონაცემებით, 15-მდე სოფელი მოექცა. თურქეთის ხელისუფლება გამალებით მუშაობს შემოვლითი გზებისა და ხიდების მშენებლობაზე. ქართველმა სპეციალისტებმა ამ კაშხლის მშენებლობის დაწყებისთანავე გამოთქვეს მოსაზრება, თუ რა უარყოფით შედეგებს გამოიწვევდა ეს პროცესი და იბრძოდნენ მის შესაჩერებლად, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო პროექტი მაინც განხორციელდა და დღეს თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ეს უდიდესი კაშხალი მნიშვნელოვნად აფერხებს მდ. ჭოროხის მიერ შავ ზღვაში მყარი ნატანის ჩატანას

კაშხლების მშენებლობა, ასევე, იწვევს მკვეთრ ეკოლოგიურ პრობლემებს, რადგან ჭოროხის ჰესების კასკადის პროექტი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის იხტიოფაუნას. სანაპირო ზონის ეკოლოგიური პირობების მკვეთრი გაუარესება, ასევე, საქართველოს ზღვისპირეთის რეკრეაციული გამოყენების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

მუშაობის პროცესში გავეცანით თემაზე ჩატარებულ კვლევებს, რომელთა ანალიზმა

მე-5 გვერდზე

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებულნი გამოვლინდნენ

მეოთხე გვერდიდან

მოგვცა საშუალება, დაგვენახა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული რეალური მდგომარეობა. მოცემულ ფაქტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო მნიშვნელოვან დახმარებას საჭიროებს. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბათუმის ახლად აშენებული ბულვარის სამხრეთი ნაწილი ზღვამ მიიტაცა. პრობლემის მოსაგვარებლად აქტიური თანამშრომლობაა საჭირო თურქეთისა და საქართველოს როგორც მთავრობებს, ასევე შესაბამის ორგანოებს შორის. ამ შემთხვევაში შესაძლოა მხარეების შეთანხმება ბუნებრივი ხარჯის გაზრდასთან დაკავშირებით, რათა დარეგულირდეს მყარი ნატანის რაოდენობა და დიდი ზიანი არ მიადგეს სანაპირო ზონას კაშხლების აშენებით. აღსანიშნავია, რომ დროულად მოხდეს შესაბამისი ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება დაზიანებულ მონაკვეთებზე, გამომდინარე იქიდან, რომ დაგვიანებული ღონისძიებები ნაკლებად ეფექტურია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

პროფესორი **აპოლონ სილაგაძე**
თემა: „მეგრული ლექსთწყობა“

— ფორუმზე წარდგენილი ჩემი ნაშრომი ემყარება მონოგრაფიას, რომელიც 2012 წელს გამოქვეყნდა („მეგრული ლექსი“).

ამ ნაშრომისთვის ჩემ მიერ ჩამოყალიბებულია ორი ამოსავალი დებულება ზოგადთეორიული და ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათისა. ერთი დაკავშირებულია საერთოქართული/საერთოქართველური ლექსის ზოგადი სპეციფიკის საკითხთან (კერძოდ, საერთოინდოევროპულ ლექსთან შეპირისპირებისას); მეორე ეძღვნება ქართული არასალიტერატუროენოვანი ლექსის სისტემის განსაზღვრის მეთოდოლოგიურ სპეციფიკას.

ნაშრომი, ერთი მხრივ, ემყარება ამ დებულებებს, მეორე მხრივ, მათ კონკრეტულ ილუსტრირებას წარმოადგენს.

მთავარი თემა — მეგრული ლექსის სისტემის განსაზღვრა - ეყრდნობა იმ სტრუქტურულ ნიშნებს (აგრეთვე იმ ტერმინოლოგიას), რომელიც ქართული ლექსის ჩემს კონცეფციაშია წარმოდგენილი (იხ. „ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ“, თსუ გამომც., 1987, და ზოგი სხვა ნაშრომი).

მეგრულ ლექსში უნდა დავინახოთ, ერთი მხრივ, ამოსავალი სისტემა, რომელიც პრინციპულად ემთხვევა ქართულ/საერთოქართულ სისტემას, მეორე მხრივ, ის სპეციფიკა, რომელიც ადგილობრივი მეტყველების თავისებურებებითაა განპირობებული (კერძოდ, იმ თავისებურებით, რომ მეგრულში, ჩვეულებრივ მეტყველებაში, გვაქვს წარმოთქმის ორი ვარიანტი/სტილი და, შესაბამისად, სიტყვათა და ფორმათა აბსოლუტური უმრავლესობისთვის - ფაკულტატური დუბლეტები).

ქართული სალიტერატურო ლექსის მსგავსად, მეგრულშიც სისტემა ბინარული სრუქტურებით არის წარმოდგენილი. განსხვავებას ის ქმნის, რომ მეგრულში გვაქვს ერთი საზომი თავისი ორი ალომეტრით. ნაშრომში ჩამოყალიბებულია შესაბამისი სტრუქტურული წესები, მოცემულია სტრუქტურათა სიმბოლური ჩანაწერები და ა.შ.

კიდევ ერთი თემა, რომელიც ასახულია ნაშრომში, არის მეგრული ლექსის ადგილი საერთოქართული ლექსთწყობის სისტემაში. ერთი მხრივ, ის ლინგვისტური თავისებურება, რომელიც მეგრულში ორი სტილის სახით არის წარმოდგენილი, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მეგრული არის სასაუბრო/სამეტყველო ენა, რომელიც არ განიცდის სტანდარტიზაციას/ნორმირებას (კერძოდ, ლიტერატურული/სამწიგნობრო გზით). მეორე მხრივ, მეგრული ლექსის ორიგინალური ბუნება ზოგადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი არასალიტერატუროენოვანი ლექსია. შეიძლება იმ დებულების ჩამოყალიბება, რომ გვაქვს ქართული (საერთო ქართული) ლექსთწყობა, ინვარიანტული, რომელიც რეალიზებულია შემდეგი ვარიანტებით: ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ლექსი, მეორე მხრივ, არასალიტერატუროენოვანი ლექსი - მეგრული, ლაზური, სვანური შტოების ლექსი, ქართული სალიტერატურო ენის დიალექტების ლექსი. არასალიტერატუროენოვანი (ფოლკლორული/დიალექტური) ლექსისთვის არსებობს ერთი სალიტერატურო ლექსი, ისევე როგორც, ქართული დიგლოსიის ფარგლებში, გვაქვს ფუნქციურად ერთი საერთოქართული სალიტერატურო ენა, მეორე მხრივ — ყველაფერი სხვა.

დოქტორანტი **სოფიო მოდებაძე**
თემა: „მუსიკალური ხელოვნების კრიზისი პოსტმოდერნულ ეპოქაში“

— ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი 2015 წლის სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმისათვის წარმოდგენილი მოხსენება „მუსიკალური ხელოვნების კრიზისი პოსტმოდერნულ ეპოქაში“ წარმოადგენს ჩემი სადოქტორო დისერტაციის „მუსიკის ფილოსოფიური ასპექტების“ ერთგვარ გაგრძელებას.

აღნიშნულ მოხსენებაში მუსიკალური ხელოვნების კრიზისის ძირითადი არსი გაანალიზებულია პოსტმოდერნული ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების კვლევის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტმოდერნიზმმა დასავლეთ ევროპულ ხელოვნებაში უკვე დაკარგა სიახლის ეფექტი, ის დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. კვლევის ძირითადი მიზანია, მუსიკალური ხელოვნების კრიზისი განვიხილოთ სწორედ პოსტმოდერნულ ეპოქაში მიმდინარე პროცესებთან და ტენდენციებთან მჭიდრო კავშირში.

რა თქმა უნდა, პოსტმოდერნულმა მსოფლმხედველობრივმა ასპექტებმა პირდაპირი ასახვა ჰპოვა ხელოვნებაზე, როგორც კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის ყველაზე ამაღლებულ სფეროზე.

პოსტმოდერნიზმის პირობებში ხელოვანი სრულიად განსხვავებულ, თავისუფალ „სივრცეში“ მოექცა: თავისუფალი ფორმები, განუსაზღვრელობა, ირონია, ინტერტექსტი, ორმაგი კოდირება, ეკლექტიზმი, პლურალიზმი და ა. შ. ის ზოგადი მახასიათებლებია, რომელიც მუსიკალურ ხელოვნებაშიც ვლინდება, რაც საბოლოო ჯამში ქმნის არაკლასიკურად ინტერპრეტირებული კლასიკური მუსიკის ნაირსახეობას.

მუსიკა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მიჰყვებოდა ადამიანის მოთხოვნილებებს ჩასწვდომოდა სინამდვილეს და გამოეხატა მუსიკალურ ფორმებში პოსტმოდერნულ ეპოქაში ახალი ფორმების ძიების პროცესშია.

ვფიქრობ, კაცობრიობა დიდი და მტკივნეული წრის გავლის შემდეგ მარადიულ ღირებულებებს დაუბრუნდება, ხელოვნებაში არსებული კრიზისი დაძლეული იქნება და მუსიკალური ხელოვნება დაიბრუნებს სინამდვილეში წვდომის უნარს, რადგან მუსიკალური ხელოვნების არსში ჩადებულია იმის უნარი რომ ყოველ წამს თავიდან დაიწყოს, არაფრიდან, მის მიერ საუკუნეთა მანძილზე მოპოვებული კულტურის უცოდინრად თავისი თავი ხელახლა აღმოაჩინოს და არა მარტო ადამიანის სულიერი და ემოციური სამყაროს გამოვლენას ემსახუროს, არამედ თავის საუკეთესო შინაარსში ეძებოს კიდევ უმაღლესი მეტაფიზიკური დონე ან ფენა რელიგიური ან ფილოსოფიური, რომელიც ასახავს ყოფიერების უმაღლეს ფორმებს.

მაგისტრანტი **გიორგი ქიტოშვილი**
(ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი **ანა ხარანაული**);
თემა: „ლექციონარში დაცული იონა წინასწარმეტყველის გალობის ტექსტისათვის“

— ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ლიტურგიკული ხასიათის კრებულის, ლექციონარის, ბიბლიურ საკითხავებთან დაკავშირებით გავრცელებულია ორი მოსაზრება: 1. ლექციონარის ბიბლიური საკითხავები, მათ შორის იონა წინასწარმეტყველისაც, აღებულია ბიბლიის ქართული თარგმანიდან (მ. თარხნიშვილი, ბ. უტიე); 2. ლექციონარის ბიბლიური საკითხავები ითარგმნა ბერძნულიდან (კ. კეკელიძე, კ. დანელია).

ამ საკითხთან დაკავშირებით საკვლევ მასალად ავიღე იონას გალობის ქართული ტექსტი, რომელიც სამი სახითაა მოღწეული: 1. როგორც იონას წინასწარმეტყველების წიგნის ნაწილი (ჟონ. II, 3-10); 2. ლექციონარის იონა წინასწარმეტყველის საკითხავის ნაწილი; 3. ფსალმუნის მე-5 გალობა.

მიზნად დავისახე გამერკვია, ერთი საერთო არქეტიპი ჰქონდა თუ არა ლექციონარში დაცულ იონა წინასწარმეტყველის საკითხავსა და უშუალოდ იონას წინასწარმეტყველების ვერსიებს. კვლევის შედეგად იონას გალობის ლექციონარის ტექსტის ისტორია ოთხი თვალსაზრისით წარმოვაჩინე: I. ლექციონარის ტექსტი დამოუკიდებელი თარგმანია თუ არა; II. ლექციონარის ტექსტს რა მიმართება აქვს ქართულ ხელნაწერებში დაცულ იონას გალობის სხვა ვერსიებთან; III. რა ურთიერთმიმართება აქვს ლექციონარისა და ფსალმუნის იონას გალობის ტექსტებს; IV. ქართულ ლექციონარებში შემავალი იონას გალობის ტექსტის სპეციფიკა და ცალკეული ხელნაწერების ურთიერთმიმართება.

კვლევის დროს ქართული ლექციონარის კალას და პარიზული ხელნაწერების იონას გალობის ტექსტები შევუპირისპირე სხვა ქართულ ვერსიებს (ოშკურ-იერუსალემურსა და გელათურს), შევუდარე იონას წინასწარმეტყველების ბერძნული კრიტიკული გამოცემისა და იონას გალობის სომხური ბიბლიის ტექსტებს.

საკვლევ მასალაზე დაკვირვების შედეგად დავასკვენი: 1. იონას გალობის ქართული თარგმანი ერთხელ შესრულდა. მისი ხელახალი თარგმანი ლექციონარისთვის არ შესრულებულა; 2. ლექციონარის, ფსალმუნის გალობისა და უშუალოდ იონას წინასწარმეტყველების ტექსტებს იონას გალობისა, აქვს ერთი არქეტიპი; 3. რიგ შემთხვევებში ლექციონარი ინახავს არქეტიპის იმ იკითხვისებს, რომელიც სხვა ვერსიებმა დაკარგეს; 4. იონას გალობის ლექციონარისა და ფსალმუნის გალობის ლიტურგიკული დანიშნულების ტექსტებს, ერთმანეთზე გავლენა არ მოუხდენია; 5. ლექციონარის ტექსტს იონას გალობის ფარგლებში არავითარი სპეციფიკა არ აქვს, იგი იგივე თარგმანია, რაც წინასწარმეტყველებისა და გალობის ტექსტები; 6. პარიზის ლექციონარში განსხვავებული იკითხვისები შევიდა გვიან, რაც ჩანს კალას ლექციონარზე დაკვირვებით.

ბაკალავრიატის სტუდენტი
ქეთევან ჭილაია
თემა: „სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირება სკოლამდელი ასაკის ქართველ ბავშვებში“

— „სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირება სკოლამდელი ასაკის ქართველ ბავშვებში“ ქართულ ენათმეცნიერებაში, ფსიქოლინგვისტიკის დარგში ჩატარებულ კვლევებს შორის, ერთგვარი სიახლეა. მსგავსი საკითხებით დაინტერესებულნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლინგვისტები და საქართველოშიც თანდათან იწყება ამ საკითხების შესწავლა.

ლინგვისტიკაში და ზოგადად ფსიქოლოგიაშიც შესწავლილი და დადასტურებულია, რომ მეტყველება არა მხოლოდ ცოდნის დაუფლებისა და კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ის ბავშვის ფსიქიკურ განვითარებასაც განაპირობებს. საგნების, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისა თუ ბუნების გაცნობისას ბავშვს უფართოვდება გონებრივი შესაძლებლობები, უვითარდება მეტყველება და უყალიბდება სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება.

ჩემი საკვლევი თემატიკა იყო — ბავშვის მეტყველების განვითარება, სივრცითი მიმართებების ენობრივი რეალიზაციების თვალსაზრისით, ხოლო კვლევის მიზანს წარმოადგენდა — სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების ძირითადი მოდელების გამოვლენა სკოლამდელი ასაკის ქართველ ბავშვებში.

სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების გასაანალიზებლად აქცენტი გაკეთდა არა საკომუნიკაციო, არამედ გეოგრაფიულ სივრცეზე. გეოგრაფიული სივრცე, როგორც წესი, სტრუქტურირდება გარკვეული აბსტრაქტული მიმართებების საფუძველზე, რომელთა წარმოსახვა დამოკიდებულია უშუალოდ, კონკრეტულ, სუბიექტურ თვალთახედვაზე. კვლევა ჩავატარე სპეციალურად საკვლევად შერჩეულ თემაზე ორიენტირებული კითხვარებითა და თამაშის მსგავსი საექსპერიმენტო ამოცანებით. ასაკის განსაზღვრის ამოსავალ წერტილად მივიჩნიე ის, რომ ამ ასაკის ბავშვებს ჯერ არ აქვთ მიღებული სასკოლო სწავლებიდან გამომდინარე რაიმე ცოდნა და ისინი ყოველდღიურ, პირად, საყოფაცხოვრებო გამოცდილებას ემყარებიან. მცირე საპილოტო ჯგუფზე დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, თუ როგორ გადადიან ბავშვები შეგნებულ მეტყველებაზე და ძირითადად რა სახის შეცდომებს უშვებენ.

მე-6 გვერდზე

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებულნი გამოვლინდნენ

მეხუთე გვერდიდან

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

დოქტორანტები: **ირაკლი დოღონაძე, ვახტანგ ჭარაია, ოთარ ანგურიძე**
თემა: „ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზი“

— როგორც მოგეხსენებათ, პოზიტიურ პოლიტიკურ კონიუნქტურასთან, მიმზიდველ საინვესტიციო გარემოსთან, ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასთან და სხვა მაჩვენებლებთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი — ეროვნული ვალუტის სტაბილურობაა.

საქართველოში ეროვნული ვალუტის გაუფასურებას განსაკუთრებული ვნებათაღელვა მოჰყვა, მათ შორის პანიკაც, რომელიც დიდწილად ცალკეული ექსპერტებისა და პოლიტიკოსების განცხადებით იყო განპირობებული. ეს მოვლენა განსაკუთრებით იმ გარემოებამ დაამძიმა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას, საბანკო სესხები სწორედ დოლარში ჰქონდა აღებული (2014 წლის მონაცემებით სესხების 61% დოლარში იყო გაცემული).

საუბარი იმაზე, თუ რომელმა ფაქტორებმა განაპირობა ეროვნული ვალუტის გაუფასურება დაუსრულებლად შეიძლება, მათ შორის, როგორც საშინაო (ექსპორტის შემცირება, ეროვნული ბანკის გულგრილი დამოკიდებულება, ფინანსთა სამინისტროს მიერ დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება, საგარეო ვალების გასტუმრება, ზოგიერთი ექსპერტების და პოლიტიკოსების მხრიდან პანიკის ხელშეწყობა და მრავალი სხვა), ასევე საგარეო ფაქტორებზე (რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება, აზერბაიჯანის და სომხეთის მიერ საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტის შეზღუდვა, ფულადი გზავნილების შემცირება და სხვა), თუმცა, ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა თავად ეროვნული ვალუტის კურსის ჩამოყალიბების მექანიზმი, რაზეც ქვეყანაში თითქმის არავინ საუბრობს.

საქმე ის გახლავთ, რომ, დღესდღეობით, ლარის კურსის ჩამოყალიბებაში, ეროვნულ ბანკთან ერთად მხოლოდ რამდენიმე კომერციული ბანკი მონაწილეობს (ზუსტი რაოდენობა და სახელები უცნობია), რაც მთლიან მექანიზმს გაუმჭვირვალეს ხდის და ეჭვის საფუძველს ბადებს. ამიტომ ჩვენი ინიციატივაა — საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც პროცესს უფრო ტრანსპარენტულს და სამართლიანს გახდის, აგრეთვე შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირთა ფართო წრეს, აქტიურად ჩაერთოს ამ საკითხების განხილვაში, მათ შორის მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსაც.

ჩვენი აზრით, ლარის დევალვაცია ძირითადად, მნიშვნელოვან საგარეო დაბრკოლებებთან ერთად, სწორედ ლარის კურსის ჩამოყალიბების არასამართლიანმა მეთოდმა და ეროვნული ბანკის საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულებამ განაპირობა, რასაც მოსახლეობის მხრიდან აჟიოტაჟი და პრობლემის კიდევ უფრო გართულება მოჰყვა.

ბაკალავრიატის სტუდენტი
თამარ ბარბაქაძე
თემა: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საწარმოთა ეკონომიკური მდგრადობა საქართველოში“

— თემა შეეხება მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნის აუცილებლობასა და ინვესტიციების მართვის პრობლემებს.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სასურველი პარამეტრების უზრუნველყოფის, არსებული ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმეში ინვესტიციებს, რაციონალურ საინვესტიციო გარემოს და შესაბამისად, ინვესტიციურ აქტიურობას არსებითი როლის შესრულება შეუძლია, რაც წარმოების პროცესში ინვესტიციების განსაკუთრებული როლით აიხსნება.

ინვესტიციების მართვის პრობლემა ეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რამდენადაც კაპიტალის მფლობელები დაინტერესებულნი არიან, როგორც მის შენარჩუნებაში, ასევე მოგების მიღებაში. ინვესტიციების დაცვის ერთ-ერთი გარანტი — მისი მართვის მაღალეფექტიანობაა, რაც ამცირებს ინვესტიციების დანაკარგებთან დაკავშირებულ რისკებს. ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, გამძაფრებულია კონკურენცია ქვეყნებს შორის. ისინი ცდილობენ შექმნან განსაკუთრებულად მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ინვესტორებს სხვებისაგან განსხვავებული პირობები შესთავაზონ.

ინვესტიციების მოზიდვისათვის აუცილებელია საინვესტიციო გარემოსა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საინვესტიციო საქმიანობის შეფასების სწორი სისტემის დანერგვა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი დაბანდება, ინვესტიციის ბაზრის სწორი ფუნქციონირება, ინვესტიციური ბანკების შექმნა და სხვა აქტუალური საკითხების წინ წამოწევა. სწორედ ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკაში საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფა და განვითარება საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და ეკონომიკური აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სწორი ინვესტიციური პოლიტიკის გატარება წყვეტს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა, მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების სისტემის სრულყოფა და სხვა.

საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად, საჭიროა გავაანალიზოთ საქართველოში ინვესტიციური კრიზისის მიზეზები, გამოვლინების ფორმები და ამის საფუძველზე, ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების კონკრეტული ღონისძიებები დავსახოთ. აღნიშნული მიზეზებიდან მთავარია შემდეგი: კაპიტალური დაბანდებების მკვეთრი შემცირება, საოჯახო მეურნეობებისა და საწარმოთა ფინანსების გაუარესება, დანაზოგების სიმცირე და ინვესტიციების როლი საწარმოთა განვითარებაში.

ინვესტიციები არის კონკურენტუნარიანობის ზრდის ეფექტური საშუალება, მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის პოზიციების გაფართოებისა და გამყარების საუკეთესო წინაპირობა. ინვესტიციები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წყაროს საწარმოო საქმიანობის განახლებისათვის. იმ ქვეყნებში, სადაც ბიზნეს-სექტორმა ამ გამოწვევის დაძლევაში წარმატებას მიაღწია, საწარმოები წარმატებით იყენებენ ფინანსური რესურსების მოზიდვის მრავალფეროვან მექანიზმებს, რაც მათ დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის საშუალებას აძლევს. ამ ქვეყნების გამოცდილება იმასაც აჩვენებს, რომ ბიზნეს-სექტორმა ხელისუფლებასთან ერთად უნდა იზრუნოს საწარმოების დაფინანსების მრავალგვარი წყაროების არსებობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, რაც გამოიხატება სახელისუფლებო დაფინანსების გაუმჯობესებულ მექანიზმებში, მოსახლეობის ხელშემწყობ ნორმატიულ ბაზაში და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე

პროფესორი, აკადემიკოსი
ნოდარ ცინცაძე
თემა: „გადაგვარებული კვანტური პლაზმის ზოგიერთი ახალი ასპექტები“

— ფორუმისადმი მიძღვნილ კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ მათ, ვისაც ბოლო სამ წელიწადში გამოქვეყნებული ჰქონდა ნაშრომები. ალბათ იგულისხმებოდა, რომ ეს შრომები გამოქვეყნებული უნდა ყოფილიყო მაღალრეიტინგულ ჟურნალში. ჩემ მიერ წარმოდგენილი იქნა ხუთი შრომა. ხუთივე ეხებოდა ერთსა და იმავე თემატიკას და აღწერდა გადაგვარებული ფერმის გაზის შესწავლას, რათა მომავალში ეს ფუნდამენტური კვლევა გადაგვეტანა ახალი ტექნოლოგიების შექმნაში (ახალ ტექნოლოგიებში ამჟამად, ძირითადად, იგულისხმება ნანო ტექნოლოგიები, ნანო ნიშნავს უმცირეს მანძილებს, ატომური ზომის მანძილებს). აღმოჩნდა, რომ ამ მანძილებისათვის კვანტური ეფექტები საკმაოდ მნიშვნელოვანია და სწორედ ასეთმა განხილვამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საუკუნენახევრის წინ შექმნილი პუასონის ადიაბატები შეიცვალა ახალი ადიაბატებით, სამომავლოდ შეიძლება მას ცინცაძის ადიაბატები ეწოდოს. (მაგ: ორთქლმავალი რომ მოძრაობს, ეს დამყარებულია იმ ფუნდამენტურ კვლევაზე, რომელზეც პუასონმა თავის დროზე შექმნა ადიაბატები. ფუნდამენტური კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებობს თურმე რაღაც თანაფარდობები სიდიდეებს შორის, თუ ამ კანონზომიერებას ვიპოვნი, მაშინ მე შემიძლია ორთქლის მანქანა ავაგო. ზოგადად, ყოველგვარი მანქანა, რაც ინდუსტრიაში გვხვდება, ძირითადად აგებულია სწორედ ამ პუასონის ადიაბატებთან დაკავშირებით (პუასონის ადიაბატები ნიშნავს, რომ სხვადასხვა ფიზიკურ სიდიდეს ერთმანეთთან აკავშირებს, ერთის ცვლილება იწვევს მეორის ცვლილებას.)

ახალი ტექნოლოგიების შექმნისათვის საჭირო შეიქმნა მიკროსკოპულ მოვლენებში ჩაწვდომა, ეს არის ფუნდამენტალური კვლევის ძირითადი საგანი, რომელსაც გვაძლევს კვანტური ფიზიკა, კვანტური სტატისტიკა. ის განხილული უნდა ყოფილიყო ძლიერ მაგნიტურ ველებში, რომელიც გვაძლევდა უკვე ახალი მოვლენების შესწავლის საშუალებას. და სწორედ მთლიან მაგნიტურ ველში შექმნილი განტოლებების საშუალებით მივაღწიეთ იმას, რომ ეს სხვადასხვა მოვლენები შესწავლილი იქნა თეორიულად და გამოქვეყნებული იქნა ცნობილ ამერიკულ თუ ევროპულ ჟურნალებში. ეს ყველაფერი რომ გაგვეკეთებინა, საჭირო იყო ახალი კინეტიკური განტოლების შექმნა, რომელიც შეიქმნა ჩემ მიერ და გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ ჟურნალში 2009 წელს.

როდესაც გადავწყვიტეთ ნანო ტექნოლოგიებში გვემუშავა, აღმოჩნდა რომ არ არსებობდა შესაბამისი ფუნდამენტალური მრავალნაწილაკიანი სისტემის აღწერითი განტოლებები, ამიტომ ჩვენ, პირველ ყოვლისა, შევქმენით განტოლება, რომელიც 2009 წელში გამოქვეყნდა და ამ ნაშრომს უკვე მაღალი ციტირების ინდექსი გააჩნია. ამ განტოლების საფუძველზე მრავალი შრომა გვაქვს გამოქვეყნებული, მაგალითად, უკვე შევთავაზეთ, რომ ახალი მიკრომაცივრები შეიქმნას.

დოქტორანტი **გიორგი გურჯანაძე**
თემა: „ჰიპოკამპში კრეატინკინაზას აქტივობის ცვლილება, ბუნებრივი ცირკადული რიტმის“

— ჩვენი ნაშრომი შეეხებოდა ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესის პირობებში ვირთაგვას თავის ტვინში ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობის ცვლილების ხასიათის შესწავლას. აღნიშნული ფერმენტი მონაწილეობს უჯრედებში მიმდინარე ენერგეტიკულ ცვლაში, რომელსაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ყველა ტიპის ქსოვილისათვის, მათ შორის თავის ტვინისათვის. ფერმენტი კრეატინკინაზა ახორციელებს კრეატინის შექცევით ფოსფორილირებას, რითაც ხელს უწყობს ცოცხალი სისტემის ენერგოსტაბილურობის შენარჩუნებას.

ჩვენ მიერ შესწავლილი იყო ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობის ცვლილება ჰიპოკამპში, რომელიც თავის ტვინის ერთ-ერთ

მე-7 გვერდზე

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებულნი გამოვლინდნენ

მეექვსე გვერდიდან

ძირითად ფუნქციონალურ სტრუქტურას წარმოადგენს და მასთანაა დაკავშირებული მრავალი მეტაბოლური და ფიზიოლოგიური პროცესის ნორმალური მიმდინარეობა.

შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ბუნებრივი დღეღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესის ფონზე თავის ტვინში ადგილი აქვს ისეთი პათოლოგიური ცვლილებების აქტივაციას, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ფერმენტ კრეატინკინაზას, როგორც აქტივობის, ისე რაოდენობის დაქვეითება.

ყოველივე ზემოთქმული კი მიუთითებს ცოცხალ სისტემაში განვითარებულ მწვავე ენერგეტიკულ დისბალანსზე, რასაც მრავალი პათოლოგიური პროცესის გამოწვევა შეუძლია.

IV კურსის სტუდენტი **ლაშა ბარამიძე**
თემა: „ფურიეს მწკრივების ლოგარითმული საშუალოების წერტილოვანი კლებადობის შესახებ“

— ნაშრომი შეეხება ფურიეს მწკრივების კრებადობას. მასში დახასიათებულია ის წერტილები სადაც ადგილი აქვს ამ კრებადობას.

კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ კრებადობას აქვს ადგილი თითქმის ყველა წერტილში (ანუ სადაც არ აქვს კრებადობას ადგილი არის, ეს არის ნული ზომის სიმრავლე).

იურიდიული ფაკულტეტზე

დოქტორანტი **გიორგი ამირანაშვილი**
თემა: „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი)“

— დაზღვევის სამართლით 2011 წლიდან დავინტერესდი, როცა გამოვაქვეყნე სამეცნიერო სტატია და მასში საკანონმდებლო ხარვეზებზე გავამახვილე ყურადღება (სტატიაში მოყვანილი დებულებებით შემდგომ უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა). ფორუმზე წარდგენილი თემა ამ ნაშრომის გაგრძელებაა და ის შეეხება დაზღვევის სამართალში მოქმედ ერთერთ პრინციპს, როგორიცაა სუბროგაცია, რომელიც გულისხმობს იმის გარკვევას, თუ როგორ უნდა მოხდეს უფლება-მოვალეობების განსაზღვრა იმ შემთხვევაში, როცა პირს, რომელიც დაზღვეულია, ზიანს აყენებს სხვა, მესამე პირი (შემდგომ, როცა სადაზღვევო კომპანია თავის მოვალეობას შეასრულებს და დაზღვეულ პირს აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, იწყება სხვა პროცესი — სადაზღვევო კომპანიას, იმ თანხის ფარგლებში, რაც დაზღვეულ პირზე გასცა, უნდა გადაეცეს უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ და დაიბრუნოს თანხა ამ უკანასკნელისგან).

ამ შემთხვევაში მთელი რიგი თეორიული თუ პრაქტიკული საკითხები წამოიწევა წინ, რადგან საჭირო ხდება იმ საკითხების დაზუსტება და ანალიზი, რაც, ერთი შეხედვით, კანონმდებლობის ზოგადი ფორმულირებიდან არ იკვეთება. ასევე საჭიროა სასამართლო პრაქტიკის და, შესაბამისად, პროცესუალური და მატერიალური საკითხების განხილვა-გაანალიზება, რაც დაგვანახებს, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს ეს ურთიერთობები, როცა მასში მესამე პირი შემოდის. ამ კვლევამ ბევრი პრობლემური საკითხი გამოკვეთა.



სტატიაში წამოწეულია გარკვეული საკითხები მატერიალური სამართლის თვალსაზრისით. მასში გაანალიზებულია, რას გულისხმობს ეს პრინციპი, როგორაა ეს საკითხი გაგებული საზღვარგარეთ პრაქტიკაში, რა წინაპირობები უნდა იყოს სახეზე, როცა შესაძლებელი გახდება იმის თქმა, რომ სუბროგაციის პრინციპი უნდა ამოქმედდეს. რაც შეეხება პროცესუალურ საკითხებს — როგორ უნდა მოხდეს სარჩელის წარდგენა, ვინ შეიძლება იყოს სათანადო მოსარჩელე, ან თუ პირი გამორიცხავს თავის ბრალეულობას და მიაჩნია რომ დამზღვევს თავისი წილი ბრალი მიუძღვის ამ ზიანის გამოწვევაში, როგორ მოხდება ამ პროცესის წარმართვა პროცესუალური თვალსაზრისით.

მაგისტრანტი **სიმონ ტაკაშვილი**
თემა: „საჯარო რეესტრის მონაცემების სისწორისა და სისრულის პრეზუმცია - დემოკრატიული კანონმდებლობა თუ საკანონმდებლო ხარვეზი“

— ნაშრომი შეეხებოდა საჯარო რეესტრის მიმართ მოქმედ უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფციას. ეს ნიშნავს, რომ კერძო სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება ენიჭება პირს იმ შემთხვევაში, თუ მისი საკუთრება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. თუმცა, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია, წმინდა სამართლებრივად რომ ვთქვათ, აფუძნებს უფლებას, რომ პირს ჰქონდეს უფლება ამა თუ იმ უძრავ ქონებაზე. ამ წესთან დაკავშირებით წარმოიშვა გარკვეული პრობლემები, რადგან პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც პირს გაუყალბეს საჯარო რეესტრის ჩანაწერი და მას საკუთრების უფლება ჩამოართვეს თაღლითობის გზით. შედეგად, უძრავი ქონების მფლობელად დარეგისტრირდა სხვა ადამიანი და დაისვა საკითხი იმის შესახებ, იქცა თუ არა უტყუარობისა და სიმტკიცის პრეზუმფცია უფლების შემლახავად. დაზარალებულმა პირმა იჩივლა საკონსტიტუციო სასამართლოში და მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 311-ე და 312-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რამდენიმე თვეა იხილავს ამ საქმეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილებას ვერ იღებენ. ჩემი თემა შეეხება სწორედ ამ საკითხს, თუ რამდენად არის საჭირო, რომ საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სიმტკიცის პრეზუმფცია დარჩეს სამოქალაქო კოდექსში. საკითხი შეიძლება ასეც დავსვათ — რამდენად არის საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სიმტკიცის პრეზუმფცია კონსტიტუციური ან არაკონსტიტუციური.

183-ე, 311-ე და 312-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობა მთელ სამოქალაქო კოდექსს ყირაზე დააყენებს. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩემი თემა საკმაოდ აქტუალურია და იგი დაგვეხმარება, რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, იმ დირექტივების ჩამოყალიბებაში, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მისცენ. დირექტივები, რასაკვირველია, პირობითად არის ნათქვამი, რადგან ჩემი ნაშრომი არ არის დოგმატური ხასიათის და მხოლოდ ჩემი აზრები და დასკვნებია გადმოცემული, თუ რატომ უნდა სცნონ ესა თუ ის მუხლები კონსტიტუციურად ან არაკონსტიტუციურად.

ბაკალავრიატის სტუდენტი
თორნიკე ნემსწვერიძე
თემა: „თანაბარი ზომის საარჩევნო ოლქები, როგორც ხმის მიცემის თანასწორუფლებიანობის ერთ-ერთი საფუძველი - არსებული რეალობა და პერსპექტივები საქართველოში“

— ნაშრომი შეეხება საქართველოს საარჩევნო ოლქებში მოსახლეობის თანაბარუფლებიანობის დაცვას ხმის მიცემის პროცესში. კერძოდ, საქართველოში მოქმედებს შერეული — როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები. ჩემი ნაშრომი ეხება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის კრიტიკას, რადგან იგი არღვევს საარჩევნო თანასწორობის პრინციპს. თანასწორი საარჩევნო უფლების პრინციპი ზოგადად საქართველოს კონსტიტუციაში არ არის განსაზღვრული, მაგრამ მე-14 და 28-ე მუხლების კომბინაციით ჩვენ ვიღებთ ამ კონსტიტუციური უფლების დამდგენ ნორმას, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი დარღვეული უფლება.

ქართული რეალობა შემდეგია: მაგალითად, ყაზბეგის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული არის 6000-მდე ამომრჩეველი, რომელიც წარმომადგენლობით ორგანოში ირჩევს ერთ წარმომადგენელს, პარალელურად, ქუთაისის საარჩევნო ოლქში, სადაც 163 000 ამომრჩეველია რეგისტრირებული, ასევე ირჩევა ერთი წარმომადგენელო საკანონმდებლო ორგანოში. აქ თვალშისაცემია დისბალანსი ამომრჩევლების რაოდენობასა და არჩეულ კანდიდატებს შორის. ამ საკითხზე არაერთხელ მიმართა საქართველოს ხელისუფლებას ეუთომ, ევროსაბჭომ და ვენეციის კომისიამ, რომ გადაეხედა საარჩევნო სისტემისთვის, მაგრამ, დღემდე ეს ვერ მოხერხდა.

რა მიზანი აქვს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის ერთდროულ თანაარსებობას საქართველოში? მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის არსებობა იმითაა გამართლებული, რომ საკანონმდებლო ორგანოში იყოს გეოგრაფიული რეგიონების წარმომადგენლები. რეალურად მივიღეთ ასეთი მდგომარეობა: მაჟორიტარული სისტემა არის საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო უმრავლესობის ფორმირების მარტივი საშუალება. მაგალითად, 2008 წლის არჩევნებში მაჟორიტარული წესით ნაციონალურმა მოძრაობამ 71 დეპუტატი გაიყვანა პარლამენტში. ნორმალური საარჩევნო გარემოს პირობებში ის ვერ შეძლებდა 80 პროცენტით დაეკომპლექტებინა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა, თუმცა ამ მანკიერი საარჩევნო სისტემის პირობებში მან ეს შეძლო. აქედან გამომდინარე, წლებია, რაც თანაბარი საარჩევნო უფლებების დარღვევა ხდება და ამიტომაც, საარჩევნო სამართლით დაინტერესებულ სუბიექტებს შორის არსებობს ინტერესი, რომ გამოიკვლიონ, რა მიზეზი და რა მიზანი გააჩნდა ამა თუ იმ სამართლებრივ მოწერსიგებას, როცა კანონმდებელი მას იღებდა.

ჩვენ ნაშრომში შეთავაზებული გვაქვს რეგიონულ პროპორციული საარჩევნო სისტემა, რადგან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნას და ამომრჩეველთა თანაბარ საარჩევნო უფლებას, რაც დემოკრატიულ საარჩევნო გარემოს უნდა ახლდეს თან. ის არღვევს თანასწორობის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება საარჩევნო უფლებაში ინტენსიური ჩარევა. ინტენსიური ჩარევა ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს საამისო არგუმენტები, რაც მას რეალურად არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, საარჩევნო უფლების უმიზნოდ შელახვა მიუღებელია იმ რეალობაში, როცა ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ.

ჩვენ მიერ შეთავაზებული რეგიონულ პროპორციული საარჩევნო სისტემა, გულისხმობს რეგიონებში პარტიების გააქტიურებას და განვითარებას. ამ სისტემაში აღარ იქნება შეთავაზებული ერთი და იგივე ცნობადი სახეები და ის კანდიდატები იქნება შეთავაზებული, რომელიც რეგიონშია ცნობილი, ასევე დაცული იქნება გენდერული თანასწორობა და არ იქნება დარღვეული საარჩევნო თანასწორობის პრინციპი იმ მასშტაბით, რაც დღესაა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რეგიონულ პროპორციული საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს პარლამენტის ერთერთ მთავარი კრიტერიუმს — წარმომადგენლობით პარლამენტს (რაც გულისხმობს გეოგრაფიულ ფუნქციურ და ასახვით წარმომადგენლობას).

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე

პროფესორი **ვახტანგ ნადარეიშვილი**
თემა: „ნორმატიული და დევიაციური აქტივობის ფსიქოლოგიური ასპექტები დ. უზნაძის „განწყობის თეორიის პოზიციიდან“

— ჩემი მოხსენების ძირითადი მიმართულებაა აქტივობის ცნობიერი და არაცნობიერი რეგულაციის მიმართება, კოგნიტური ფსიქოლოგიისა და განწყობის ფსიქოლოგიის მიმართება.

მე-8 გვერდზე

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმში გამარჯვებულნი გამოვლინდნენ

მეშვიდე გვერდიდან

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია ცნობილია, როგორც არაცნობიერის თეორია. მას შემდეგ, რაც მეცნიერებაში გადაწყდა, რომ აუცილებელია არაცნობიერი საკითხების განხილვა, მთელი საბჭოური ფსიქოლოგიის საფუძველს წარმოადგენს დ. უზნაძის განწყობის თეორია. ბოლო შრომებში, უზნაძემ დაიწყო ცნობიერის თეორიის დამუშავება, რომელსაც ჰქვია „ობიექტივაციის თეორია“. ანუ უზნაძის მოძღვრება შედგება 2 ნაწილისგან, არაცნობიერის განწყობის თეორიისა და ობიექტივაციის თეორიისაგან. ეს ჯამში გულისხმობს ერთ მთლიან თეორიას, სადაც აქტივობის რეგულაციის ცნობიერი და არაცნობიერი რესურსის თანამშრომლობა იგულისხმება. ამ მიმართულებით, უზნაძეს ბევრი აქვს გაკეთებული.

რაც შეეხება ჩემს მოხსენებას, მასში საუბარია გარკვეული ტიპის კოგნიტურ-აფექტური წარმონაქმნების მონაწილეობაზე განწყობის ფორმირებაში. ამ თემის დამუშავების მიზანი გახლავთ უზნაძეს მიერვე დამუშავებული განწყობის თეორიის და ობიექტივაციის თეორიის ერთ მთლიანობაში წარმოდგენა, რომელიც გულისხმობს ობიექტივაციის პროდუქტების, ანუ ცნობიერების მონაწილეობას განწყობის ფორმირებაში.

ბაკალავრიატის სტუდენტი **თეკლა ნემანიშვილი**
თემა: „ფემინისტებო ჰაიტ, ანუ ფემინისტების სტიგმატიზაცია საქართველოში: იდენტობა, სტიგმა და დაძლევა“

— ჩვენი თემა შეეხება ფემინისტთა სტიგმატიზაციას — გრძნობენ თუ არა თავს ფემინისტები სტიგმატიზირებულად. ჩვენ გამოვიკვლიეთ სტუდენტი ფემინისტები თსუ-ის სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ასევე ფსიქოლოგიის, განათლების და მეცნიერების ფაკულტეტიდან. გვაინტერესებდა, როგორ უყალიბდებოდათ ამ ადამიანებს ფემინისტური იდენტობა, როგორ უმკლავდებიან იმ სტიგმას, რაც ქართულ საზოგადოებაში მათ მიმართ არსებობს. კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდით. გვყავდა 5 რესპონდენტი, რომლებიც სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით გამოვკითხეთ. გვაინტერესებდა, ვინ იყო ფემინისტების ძირითადი მასტიგმატირიზებელი ჯგუფი. ფემინისტები მიიჩნევენ, რომ, პირველ რიგში, საუბარია კაცების ჯგუფზე, რომლებიც უპირისპირდებიან ფემინიზმს და ანტიფემინისტები იმიტომ არიან, რომ ეშინიათ, ქალებმა არ ჩამოართვან პრივილეგიები. კაცებს მიაჩნიათ, რომ ფემინისტებს სურთ ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში. რეალურად, ფემინისტებს უნდათ მხოლოდ თანასწორობა. კვლევის შედეგად, მასტიგმატიზირებელი ჯგუფი აღმოჩნდა ასევე ეკლესია — გამოჩნდა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია საკმაოდ სექსისტურია. ეკლესია ახდენს გავლენას ზოგადად საზოგადოების მოსაზრებებზეც.

ბაკალავრიატის სტუდენტი **ნინო ასათაშვილი**:

— ჩვენ მიერ გამოკითხული 5 გოგონა თავს აიდენტიფიცირებდა ფემინისტად. რაც შეეხება კვლევის შედეგებს, გვაინტერესებდა, როგორ გაიგეს ფემინიზმის არსებობის შესახებ და რატომ ჩამოყალიბდა ფემინიზმი მათთვის მთავარ იდენტობად. აღმოჩნდა, რომ ცოდნა ფემინიზმის შესახებ მიიღეს ადრეულ ასაკში, თუმცა უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ უფრო აიმაღლეს განათლების დონე. გვაინტერესებდა, რა პრობლემების წინაშე დგანან ეს ადამიანები საზოგადოებასთან ურთიერთობისას. აღმოჩნდა, რომ ფემინისტები აქტიურად, გაცხადებულად გამოხატავდნენ ფემინისტობას. გარდა იმისა, რომ არ მალავდნენ, ცდილობდნენ, ადამიანებისთვის გაეცნოთ, რას ნიშნავს ფემინიზმი და მოექციათ ისინი ზეგავლენის ქვეშ. გამოიკვეთა, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ანტიფემინისტური მოწოდებებით გამოდის, ნაკლებად იცნობს ფემინიზმის რაობას. შეიძლება გამოკვეთილად ვთქვათ, რომ საზოგადოების პრობლემა ნაკლებ ინფორმირებულობა და გაუნათლებლობაა — მათ არ იციან ფემინიზმის იდეოლოგია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ფემინისტების მდგომარეობა პრობლემურია.

მოამზადეს: მაია ტორაძემ, შურთხია ბეროშვილმა, თამარ დადიანმა, ნატო ოგოლაძემ, თამარ ასლანიკაშვილმა, ანო მაჭავარიანმა, მარიამ ცინცაძემ, ანა გელაშვილმა, ნათია სუხიტაშვილმა, ეთო მეხრიშვილმა

3 ახლად არჩეული აკადემიკოსი უნივერსიტეტელია

პირველი გვერდიდან

თემატიკა, ფიზიკური ქიმია, არაორგანული მასალათმცოდნეობა და ტექნოლოგიები, ბიოლოგია, ქართული ენა, ლიტერატურათმცოდნეობა (ზოგადი და ქართული ლექსთმცოდნეობა), ინფორმაციული ტექნოლოგიები - კომპიუტერული ინჟინერია და მეცნიერებატევადი ინოვაციური ტექნოლოგიები. წარდგენილი 37 განაცხადიდან, 16 კანდიდატის განაცხადი იყო შესული მეცნიერებატევადი ინოვაციური ტექნოლოგიების სპეციალისტის ვაკანსიაზე, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის ისტორიაში სრულიად ახალი ვაკანსიაა.

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არჩევნები ტარდება გარკვეული პერიოდულობით. ეს იმით არის განპირობებული, რომ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების — აკადემიკოსების რიცხოვნობა მკაცრად არის რეგლამენტირებული, ხოლო წევრ-კორესპონდენტები ამ ეტაპზე აღარ აირჩევიან, რაც აკადემიის შემდგომი განვითარებისათვის სერიოზული ხარვეზია. ყოველ შემთხვევაში, არჩევნები მეცნიერებათა აკადემიაში მიიჩნევა უმნიშვნელოვანეს მოვლენად და, ამავდროულად, იგი გამოხატავს აკადემიის წევრების დამოკიდებულებას ქვეყანაში ფუნდამენტურ და გამოყენებით დარგებში მოღვაწე მეცნიერთა კვალიფიკაციის მიმართ, რომელთა შემოქმედება თავისთავად საერთაშორისო დონეზე არის აღიარებული“, — განმარტავს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე.

მეცნიერებათა აკადემიის წესდების მიხედვით (თავი III, პუნქტი 8) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად შეიძლება იმ მეცნიერის არჩევა, რომელმაც „საერთაშორისოდ აღიარებული წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში“. ამასთანავე, საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ აკადემიის წევრი ცნობილი იყოს, როგორც მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება. აკადემიკოსების მიერ გაკეთებულ არჩევანზეა სწორედ დამოკიდებული, ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარება და წინსვლა მეცნიერების სხვადასახვა სფეროებში.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია 2 აპრილის არჩევნებში ყველა გამარჯვებულს ულოცავს ამ საპატიო წოდებას და წარმატებებს უსურვებს.

თუ რა პასუხისმგებლობასა და მოვალეობას გრძნობენ ახლად არჩეული აკადემიკოსები ახალი წოდების წინაშე და როგორ ხედავენ ქართული ეროვნული მეცნიერების განვითარების პერსექტივას, ამის შესახებ თავად გვესაუბრებიან:

ავთანდილ არაბული,
აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი:

— მეცნიერების განვითარებას სერიოზული პრობლემები შეექმნა. წინა ხელისუფლებამ არსებული სამეცნიერო სისტემა დაშალა. როდესაც ერთი სისტემა იშლება, იგი მეორე სისტემით უნდა ჩაანაცვლო, თუ არა და ქაოსი იწყება. ეს ქაოსი, შეიძლება, ზოგჯერ, უმართავიც კი გახდეს. მართალია, საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს „მართვადი ქაოსის“ ნიშნები აქვს, მაგრამ უბედურებაა ის, რომ სხვადასხვა დარგის ცნობილი სამეცნიერო სკოლები საქართველოში განადგურების პირას მივიდა, ნაწილი განადგურდა კიდეც. ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. მხოლოდ კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმა საქმეს ვერ უშველის, მთავარია — რას შევთავაზებთ საზოგადოებას. ჩვენ შევიმუშავეთ პროექტი ამ პრობლემების გადასაჭრელად და მზად ვართ, ვიმოქმედოთ. გვინდა, ჩვენმა ინტელექტუალურმა პოტენციალმა ასპარეზი, უპირველეს ყოვლისა, აქ, საქართველოში იპოვოს! რა თქმა უნდა, საერთაშორისო ასპარეზიც ასევე მნიშვნელოვანია. ქართული მეცნიერება არასდროს ყოფილა იზოლირებული საერთაშორისო სამეცნიერო სივრცისგან. თვით საბჭოური რკინის ფარდის დროსაც კი ქართული მეცნიერება აქტიურად იყო ჩამბმული საერთაშორისო სამეცნიერო ფერხულში. როგორც დიდი ქართველი მეცნიერი თამაზ გამყრელიძე იტყოდა: ქართული მეცნიერება ყოველთვის იდგა მსოფლიო მეცნიერების განვითარების კალაპოტში და ხანდახან კარნახობდა კიდეც მას! დღეისათვის სრულიად დაუშვებელია ნიჰილისტური დამოკიდებულება გვქონდეს არსებული პრობლემების მიმართ. ქართულ მეცნიერებას სერიოზული პერსექტივა აქვს, მოდის ახალგაზრდა თაობა და მათ ასპარეზი სჭირდებათ!

აპოლონ სილაგაძე,
აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, არაბისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი:

— საერთოდ, ჩემს სამეცნიერო საქმიანობაში ორი მთავარი მიმართულებაა (ეს ტრადიცია ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობაში აკადემიკოს გიორგი წერეთლიდან მომდინარეობს): ქართველოლოგია და ორიენტალისტიკა.

პირველი მიმართულების ფარგლებში ჩემ მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია ორი მონოგრაფია - „მეგრული ლექსი“ და „ვეფხისტყაოსნის ლექსი და მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“. მეორე მიმართულების ფარგლებში გამოქვეყნდა ერთი მონოგრაფია „არაბული დიგლოსიის შესახებ“ და დასაბეჭდად გამზადდა მეორე - „ყურანის ტექსტის შედგენილობის პრობლემა“.

უახლოესი გეგმაა დავასრულო მუშაობა ორ ნაშრომზე, ერთი ეძღვნება ლაზური ლექსის ბუნებას, მეორე - თანამედროვე არაბოფონური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციოლინგვისტური სურათის ანალიზს.

ალექსანდრე ხარაზიშვილი,
აკადემიკოსი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი:

— თანამედროვე დარგების განვითარება დღეს უდავოდ აქტუალურია. მაგალითად, ავიღოთ დისკრეტული მათემატიკა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში წინა პლანზე გამოვიდა კომპიუტერული მეცნიერებები და ამ დარგების განვითარება ქვეყნის პროგრესისა და წარმატების გარანტია. მათემატიკა ყოფა-ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილის მქონე მეცნიერებაა და მისი განვითარება მნიშვნელოვანია. ქართველ მეცნიერებს ამ მიმართულებით დიდი მიღწევები და საერთაშორისო ავტორიტეტიც აქვთ.

რაც შეეხება ახალ პროექტებს, მე გახლავართ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრი და საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიღება არ შემიძლია. აქედან გამომდინარე კი მეცნიერულ კვლევებში უფრო აქტიურად ვიქნები ჩართული.

რა არის ამ წიგნის მეცნიერული ღირებულება?

საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები

„ყოველგვარი უგედურება, რაც ჩვენ გვემართება, არის გადაბრუნებული ან უარყოფითი შედეგი რეალური კანონების არსებობისა: ან ჰარმონიულად ვართ შეთანხმებული ამ კანონებთან და მაშინ ჩვენს ცხოვრებაშიც არის გარკვეულობა, ან დისჰარმონიაში ვართ მათთან და მაშინ ქაოსი და ნგრევა გვემუქრება“.

მერაბ მამარდაშვილი

დამოუკიდებლობის მეოთხედმა საუკუნემ და ჩვენი საზოგადოების მიერ განვლილმა გზამ მრავალი შეკითხვა გააჩინა, თუმცა, მთელი 25 წლიანი ისტორია ერთ მთავარ კითხვაშია მოქცეული: რა გვეშველება და რატომ არ გვეშველა აქამდე?

საზოგადოება ჭრელია და ამ კითხვებზე თითოეული საკუთარ პასუხებს ეძებს და პოულობს, მაგრამ როგორც ჩანს, ამ პასუხთა უმეტესობა აცდენილია იმ ძირითად კანონებს, რომლებსაც წარმატებული სახელმწიფოები და საზოგადოებები ეფუძნებიან. სწორედ ამიტომ, ყველაზე ღირებული გამოცდილება, რომელიც დამოუკიდებლობის წლებში დაგროვდა, იმაში მდგომარეობს, რომ თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს და გავერკვეთ: რატომ დაემსგავსა ჩვენი ისტორია მოჯადოებულ წრეში სირბილს, სადაც მუდმივად მეორდება ერთი და იგივე შეცდომა და მუდმივად კრიზისია.

ძნელი სათქმელია ამ კრიზისების სათავე პოლიტიკიდან მოდის თუ ეკონომიკაა მისი მაპროვოცირებელი, მაგრამ ფაქტია: საქართველოში ეკონომიკა ყოველთვის ეწირებოდა პოლიტიკურ ამოცანებს, თავად პოლიტიკა კი, ძირითადად, ცალკეული სუბიექტების პიროვნული კომპლექსების დაკმაყოფილების ასპარეზი იყო და არა ის სივრცე, სადაც საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებულ უმთავრეს კითხვებზე პასუხების ძიება მიმდინარეობდა. ალბათ ამიტომ, დღეს გვაქვს ცალკეულ პიროვნებათა სახელებით განსაზღვრული მმართველობის პერიოდები და არ გვაქვს პოლიტიკური პლატფორმებითა და ეკონომიკური თეორიებით აღწერილი ისტორია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ნაშრომი „საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები”, რომელიც კავკასიის განვითარების ფონდის დაფინანსებით გამოიცა, რამდენიმე ასპექტით არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო: პირველ რიგში, ნაშრომი არ არის მხოლოდ ეკონომიკური ანალიზი, რომლებსაც ასე მივეჩვიეთ და რის გამოც, ეკონომიკა ხშირად აბსტრაქტულ მეცნიერებად აღიქმება. წიგნი უფრო საქართველოს ეკონომიკური ისტორიაა კონკრეტული ამბებით, ნაცნობი რეალური პერსონაჟებითა და თითოეული ჩვენგანისათვის ძალიან ნაცნობი თემებით: სიღარიბით, საბანკო თუ საგადასახადო სფეროს პრობლემატიკით, საერთაშორისო და ლოკალური კრიზისებით, რუსეთ-საქართველოს ომით და ყველაფერ იმით, რაც ლაიტმოტივად გასდევდა და განსაზღვრავდა ჩვენს ყოველდღიურობას. საინტერესო კი ის არის, რომ მთელი ეს ისტორია და ნებისმიერი ფაქტი სწორედ მეცნიერის ხედვითაა დანახული, რაც მოვლენების ობიექტური შეფასების საუკეთესო საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ ის ავტორის პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება და, ამდენად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისტორიისა და პერსპექტივის საავტორო ხედვაა. ცნობისთვის, ვლადიმერ პაპავა მთელი 6 წლის განმავლობაში — 1994-2000 წლებში საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, მოგვიანებით კი 2004-2008 წლების მოწვევის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი იყო და უშუალოდ მონაწილეობდა როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ პროცესებში.

„ეს წიგნი იქმნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღეებიდან, როცა დაიწყო ფიქრი, განსჯა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მომავალში.

დიდი იყო რომანტიზმი 80-იანი წლების ბოლოს და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, თუმცა, მოგვიანებით ეს რომანტიზმი ჩაახშო დიდმა სირთულეებმა, ადამიანურმა მსხვერპლმა, დროებით დაკარგულმა ტერიტორიებმა და ეკონომიკაში დაშვებულმა შეცდომებმა. ქვეყანამ გამოიარა პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დიდი ეკონომიკური ვარდნის უმძიმესი პერიოდი და, ამის მიუხედავად, განხორციელდა მნიშვნელოვანი და საკმაოდ წარმატებული რეფორმები. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეფორმების შედეგად მიღებულ შედეგებს პირველივე დღეებიდან ჰყავდა მტრები, ის შედეგები დღესაც ძლიერია“, — აღნიშნა 15 აპრილს უნივერსიტეტში გამართულ წიგნის პრეზენტაციაზე ავტორმა.

აღსანიშნავია, რომ წიგნის პირველი ვარიანტი, სახელწოდებით „საქართველოს ეკონომიკური რეფორმები 20 წლის შემდეგ”, 2012-2013 წლებში გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა, წლევანდელი ქართული გამოცემა გაცილებით მოცულობითი და მრავალმხრივია. წიგნის ცალკეული ნაწილების შექმნაში მონაწილეობდნენ თამარ თაფლაძე და არჩილ გეგეშიძე, რომელიც დღეს აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია. კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ნიუანსი წიგნთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც ვლადიმერ პაპავამ ხაზგასმით აღნიშნა: „სად უნდა გამოსცეს უნივერსიტეტის პროფესორმა წიგნი, თუ არა უნივერსიტეტის გამომცემლობაში? მაგრამ, მე შეგნებულად შევიკავე თავი და უნივერსიტეტის გამომცემლობას მივაკითხავ მხოლოდ მაშინ, როდესაც აღარ ვიქნები რექტორი. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ „კავკასიის განვითარების ფონდმა” გამომიწოდა დახმარების ხელი და სრულად დააფინანსა ამ წიგნის 1000 ტირაჟიანი გამოცემა. პრაქტიკულად, ეს არის საქველმოქმედო აქცია: გაყიდვაში გავა წიგნის ტირაჟის მცირე ნაწილი, ისიც სიმბოლურ ფასად, ხოლო დიდი ნაწილი არის სასაჩუქრე”.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზენტაციის ფორმატი ძირითადად საპრეზენტაციო პროდუქტის წარმოჩენას ემსახურება, შეკრებილმა საზოგადოებამ გვერდი ვერ აუარა აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს და ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს: „ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები 1998 წლის ფინანსური კრიზისი, რომელიც რუსეთს მოედო და საქართველოც აღმოჩნდა საშიშროების წინაშე. იმ დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია იყო, არ მომხდარიყო სავალუტო რეზერვების გამოყენება და ლარი თავისუფლად მიეშვათ. ამის მიუხედავად, იმ პერიოდში ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ ღიად დააფიქსირა თავისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი მიდგომა იქნებოდა მცდარი და ამან ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული ბანკის მაშინდელ გადაწყვეტილებაში, რომელმაც სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ სავალუტო ინტერვენციები განახორციელა. ეს არის საუკეთესო მაგალითი იმისა, როგორ არ გაუფასურდა ლარი იმ პერიოდში. დღეს, როდესაც გაცილებით მეტი სავალუტო რეზერვი არსებობს, ვიდრე 1998 წელს იყო, საჭიროა უფრო თამამი გადაწყვეტილება მიიღოს მთავრობამ, რათა შეწყდეს ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი და უამრავ ადამიანს ტვირთად არ დააწვეს ბოლო თვეების ლარის დევალვაცია,” — აღნიშნა პრეზენტაციაზე თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ. მისი თქმით, ნაშრომი შეიცავს გარკვეულ პროგნოზებს უახლოესი 7-8 წლის პერიოდისათვის: „აკადემიკოსი პაპავა აკეთებს პროგნოზს ციფრებზე დაყრდნობით, რომელსაც ვეთანხმები და ამ თვალსაზრისით ჩვენი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა: საქართველო არ არის მზად უახლოეს წლებში ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდეს. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი ევროკავშირის წევრობისა არის მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, რომელიც დღეს საქართველოში 3500 დოლარს მცირედ აღემატება, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრისთვის კი მარტო ეს მაჩვენებელი არანაკლებ 10-12 ათასი დოლარი უნდა იყოს. ბატონი ლადოს გაანგარიშებით, 5 პროცენტიანი ზრდის შემთხვევაშიც კი, რომელიც დღეს სამწუხაროდ არ გვაქვს, 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი დაახლოებით 7400 დოლარის ფარგლებში იქნება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ სხვა პარამეტრები ამოქმედდეს და სასურველი შედეგი დროულად მივიღოთ,“ — აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას ავთანდილ სილაგაძემ.

„მართალია, წიგნს აწერია, რომ ეს არის საქართველოს ეკონომიკაზე, რეფორმებზე დაა ანტირეფორმებზე, მაგრამ წიგნის პროფილი, ჰორიზონტი გაცილებით ფართოა“, — აღნიშნა გამოსვლისას უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა. მისი თქმით: „აქ ლაპარაკია საარსებო მინიმუმის განსაზღვრისა და სიღარიბის პრობლემებზე, სოციალური დაცვის სხვადასხვა მეთოდოლოგიებზე და ა.შ. ამიტომ, სრული უფლებით ვუწოდებდი ამ წიგნს საქართველოს სოციალური პოლიტიკის ისტორიას. გარდა ამისა, წიგნს ბოლომდე გასდევს ე.წ. პოლიტიკური ფონი, ანუ მასში ლაპარაკია საქართველოს შესაბამისობაზე დემოკრატიის ისეთ მნიშვნელოვან სტანდარტთან, როგორიცაა ხელისუფლების დანაწილება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და ა.შ., რაც მკითხველს სრულიად დასაბუთებულ წარმოდგენას აძლევს იმის შესახებ, რომ ეკონომიკაზე ლაპარაკი შეუძლებელია პოლიტიკის გარეშე და პოლიტიკა და ეკონომიკა ურთიერთ გადაჯაჭვული სფეროებია.

კიდევ ერთი ღირსება, რასაც მინდა ხაზი გავუსვა ის არის, რომ ეს წიგნი დაცლილია მახინჯი თაყვანისცემისგან: ავტორი ძალიან მძაფრად აკრიტიკებს იმ პერიოდს და ხელისუფლებას, როდესაც თავად გახლდათ საქართველოს ეკონომიკის მინისტრი. ასევე, აქ ვერ ვხედავთ არსებული ხელისუფლების თაყვანისცემას, ესეც, დამეთანხმებით, რომ ხშირად არ ხდება და ბოლოს, ეს წიგნი დაცლილია ძალიან გავლენიანი საერთაშორისო ეკონომიკური და არაეკონომიკური ორგანიზაციების თაყვანისცემისგანაც. ამ წიგნში წაიკითხავთ ამ ორგანიზაციების უმწვავეს და, ჩემი აზრით, ობიექტიურ კრიტიკას. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს სამეცნიერო მემკვიდრეობაში არც თუ იშვიათად გვაქვს ასეთი ფაქტები და, ამდენად, ამგვარი პოზიცია ამ წიგნის სერიოზული მეცნიერული ღირებულებაა.

წიგნში გამჭვირვალედ, საინტერესოდ და ობიექტიურად არის გაანალიზებული ბევრი ისეთი პრობლემა, რომელიც დღემდე დისკუსიის საგანია და ერთმნიშვნელოვანი პასუხი კი არ არსებობს. მაგალითად, ჩემთვის საინტერესო იყო ქართული ლიბერტარიანიზმის ანალიზი. ბატონი ლადო მიიჩნევს, რომ ეს იყო მოჩვენებითი ლიბერტარიანიზმი და საკმაოდ მკაფიოდ ასაბუთებს ამას. ავტორს ასევე დაძებნილი აქვს ელიტარული კორუფციის ემპირიული ინდიკატორები იმ რეალობაში, რასაც წინა ხელისუფლების მმართველობა ერქვა. ბოლოს, ხაზი მინდა გავუსვა იმ პროგნოზს, რომელსაც ბატონი ლადო გვთავაზობს: მისი აზრით, 2020 წლისათვის საქართველო ეკონომიკური დონის პარამეტრებით, უკეთეს შემთხვევაში, დაემსგავსება რუმინეთს ან ბულგარეთს. ზოგიერთებისთვის ეს შეიძლება პესიმისტური პროგნოზი იყოს, მაგრამ ჩემთვის საკმაოდ ოპტიმისტურია და ვუსურვებ საქართველოს, რომ ამ პერსპექტივას ჯანსაღად უპასუხოს” — აღნიშნა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

თსუ-ის თეორიული ეკონომიკის კათედრის პროფესორის ელგუჯა მექვაბიშვილის აზრით კი: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წიგნში გამოთქმული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა, როგორია ჩვენი პერსპექტივა, რა მოდელი უნდა ავირჩიოთ, რათა მივაღწიოთ იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც დღეს საქართველოს ეკონომიკის და, ზოგადად, საზოგადოების წინაშე დგას. მით უმეტეს, რომ დღესდღეობით ეს საკითხები არ არის ნათლად განსაზღვრული“.

თავად ავტორის ვლადიმერ პაპავას მოსაზრებით კი: „გრძელვადიან პერსპექტივაში სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ვერ გახდება საქართველოს განვითარების ქვაკუთხედი. სტაბილური განვითარებისათვის ჩვენ, ინოვაციური ეკონომიკის გარდა, სხვა რესურსი არ გაგვაჩნია. საქართველო არც აზერბაიჯანია, არც რუსეთი და ეს, შეიძლება, სულაც არ არის ცუდი, რადგან ნიშნავს, რომ ინტელექტით უნდა მოვახდინოთ მეტი ინვესტირება ქვეყნის მომავალ განვითარებაში“.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

როგორ მიმდინარეობს სამეცნიერო საგრანტო კონკურსები თსუ-ის ფაკულტეტებზე

ნატო ოგოლაძე

თსუ-ში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს, პირველად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში 525000 ლარი გამოიყო. თანხა შვიდ ფაკულტეტს შორის თანაბრად გადანაწილდა და თსუ-ის რექტორის ლადო პაპავას 2014 წლის ბრძანებით (2014 წლის 30 დეკემბერი, დოკუმენტი №22/04) მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის სპეციალური პროგრამა ამოქმედდა.

ფაკულტეტები მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამებს დამოუკიდებლად განახორციელებენ. წესდების თანახმად, კვლევით თემატიკას ფაკულტეტის საბჭო წყვეტს, დასაფინანსებელ პროექტებს, ასევე, ფაკულტეტის საბჭო კონკურსის წესით არჩევს. დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ფაკულტეტის საბჭო განახორციელებს. თითოეული პროექტის ღირებულება მაქსიმუმ 20000 ლარს უნდა შეადგენდეს და მათში არანაკლებ 2 სტუდენტის ჩართვაა სავალდებულო. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე მკვლევრების ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება გახლავთ პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში საკვლევი თემის შესახებ პუბლიკაციის წარდგენა.

რაც შეეხება ამ დროისთვის არსებულ ვითარებას, მედიცინისა და იურიდიულ ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისთვის საპროექტო განაცხადების მიღება მიმდინარეობს. მედიცინის ფაკულტეტზე კონკურსი მაისში დასრულდება. როგორც ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ დიმიტრი კორძაიამ განაცხადა, ფაკულტეტის ადმინისტრაცია შოთა რუსთაველის ფონდში წარდგენილი საპროექტო წინადადებებზე პასუხის მიღებას ელოდება, რათა აღნიშნული ფონდისა და თსუ-ის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტების თანხვედრა არ მოხდეს.

„გასულ წლებში მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ რამდენჯერმე დასვა საკითხი შიდასაუნივერსიტეტო (შიდასაფაკულტეტო) საგრანტო სისტემის დამკვიდრების არა მხოლოდ მიზანშეწონილობის, არამედ აუცილებლობის თაობაზე. ამდენად, უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ახალ ინიციატივას და რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივ ბრძანებას (№22/04 – 2014-12-30) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ ფრიად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მხრიდან.

ფაკულტეტის საბჭომ თებერვალში მიიღო გადაწყვეტილება, რომ მედიცინის ფაკულტეტისთვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებულიყო კონკურსი კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიური კვლევების სფეროს პროექტებისთვის. აგრეთვე, მოხდა შეთანხმება, რომ მიმდინარე წელს დაფინანსდებოდა არა უმეტეს 5 პროექტისა. კონკურსის პირობების შესამუშავებლად შეიქმნა კომისია 5 კაცის შემადგენლობით, მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, ეროვნული სამეცნიერო ფონდის, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის ზოგიერთი უმაღლესი სამედიცინო სკოლის გამოცდილებას.

ფაკულტეტზე გამარჯვებული პროექტების გამოვლენა დასრულდება 2015 წლის მაისის მეორე ნახევარში. მისასალმებელია, რომ თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანების თანახმად, თითოეულ პროექტში საავალდებულოა უნივერსიტეტის არანაკლებ 2 სტუდენტის (აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის არანაკლებ 150 კრედიტის და არანაკლებ 3.0 -ის რეიტინგის მქონე სტუდენტი ან მაგისტრატურისა ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი) ჩართულობა. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტთა ინტეგრაციას ფაკულტეტზე მიმდინარე კვლევებში, ასევე დაეხმარება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კვლევით პროგრამებს", — განაცხადა დიმიტრი კორძაიამ.

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ დროისთვის საკონკურსო კომისიაში არც ერთი განაცხადი არ არის შესული. მიზეზი რექტორის ბრძანების (№22/04) მე-6 პუნქტთან დაკავშირებით გაჩენილი კითხვებია, რაც უკვე ფაკულტეტის საბჭოს ორ სხდომაზე განიხილეს.

„მეცნიერების განვითარებისთვის თანხის გამოყოფა ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი პროფესორებისთვის დამატებითი მოტივაციაა, რომ სამეცნიერო საქმიანობა გააორმაგონ, შექმნან ნაშრომები, რომელსაც შემდეგ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ. რექტორის ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი კვლევით პროცესში სტუდენტების მონაწილეობის აუცილებლობა, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია. თუმცა, ბრძანების მე-6 პუნქტში არის ჩანაწერი, რის გამოც კითხვის ნიშები გაჩნდა. კერძოდ, პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მიმღებმა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სამეცნიერო სტატიის წარდგენა. ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ჩვენ უნდა შევქმნათ კვლევები, რომლებსაც სასწავლო პროცესში სტუდენტებიც გამოიყენებენ. მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიისა თუ ქიმიის დარგებისგან განსხვავებით სამართლის განვითარება ისეთ ქვეყნებზეა დამოკიდებული, რომელთა ჟურნალებშიც ჩვენ სტატიების გამოქვეყნება გვევალება. ის ეტაპი, რომელსაც ახლა გავდივართ, მათ დაახლოებით 15 წლის წინ დაასრულეს, ამდენად არა მგონია, ქართველი მკვლევრების სტატიები ამ მიმართულებით მათთვის რაიმე სიახლეს წარმოადგენდეს. გარდა ამისა, 12 თვის განმავლობაში ჩვენ ვერ მოვასწრებთ, სტატიის მოწონების შემთხვევაშიც, მის გამოქვეყნებას, რადგან საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში საკმაოდ დიდი რიგებია. დიდი დრო მიაქვს ნაშრომის თარგმნას, რედაქტირებას, რადგან სამართლის საკითხების კვლევები, თუნდაც, ზუსტ და საბუნებისმეტყველო დარგებში შექმნილი ნაშრომებისგან განსხვავებით, გაცილებით მოცულობითია. ჩვენ ფაკულტეტის საბჭოს 2 სხდომაზე ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და პროფესორებმა, სწორედ, ეს კითხვები დასვეს. მათი მხრიდან პასუხისმგებლობა ძალიან დიდია და ამიტომ სურთ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ყველა ვალდებულება პირნათლად შეასრულონ. ამ დროისთვის მხოლოდ ერთმა პროფესორმა, კონსტიტუციონალისტმა ლალი ჭიღლაძემ გამოთქვა პროექტის წარმოდგენის სურვილი, თუმცა ახლა სალექციო პერიოდია და ჯერჯერობით არც ერთი განაცხადი არ შემოსულა“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მორის შალიკაშვილმა.

საკონკურსო ეტაპი სხვა ფაკულტეტებზე უკვე დასრულებულია. შედეგების თანახმად, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე კომისიის გადაწყვეტილებით 4 კვლევითი პროექტი შეირჩა — 1. „მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების ინტეგრირებული 300 კრედიტიანი პროგრამის პედაგოგიური მოდულების (პედ-დისციპლინები, პედ-პრაქტიკა, კვლევითი ნაწილი) შემუშავება/ VII-XII კლასების მასწავლებელი“, — ხელმძღვანელი პროფესორი ქ. ჭკუასელი. 2. „ემიგრაცია და დაბრუნება სამშობლოში: მიგრანტების რეინტეგრაცია, იდენტობა და ოჯახთან ადაპტაციის პრობლემები“ — ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მ. მესტვირიშვილი. 3. „პოსტტრავმული ზრდა ბავშვებსა და მოზარდებში: პიროვნული ფაქტორების, ადაპტაციისა და სოციალური მხარდაჭერის როლი“ — ხელმძღვანელი პროფესორი მ. ჩიტაშვილი. 4. „თვითსტიგმატიზაციის ფენომენი ეპილეფსიის მქონე მოზარდებთან“ — ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ლ. სურმანიძე. როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, საკონკურსო კომისიის აღნიშნულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის საბჭო უახლოეს მომავალში ოფიციალურად დაამტკიცებს.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აღნიშნული კვლევითი პროგრამის ფარგლებში 16 პროექტი დაფინანსდება. მათში მონაწილე სტუდენტების ჯამური რაოდენობა 50-ს შეადგენს. თუმცა, კონკრეტულად, რა დასახელების კვლევითი პროექტებია, ცნობილი არ არის.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჯერჯერობით 3 გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა — „გარემოსდაცვითი სოციალური მოძრაობები საქართველოში“ (9500 ლარი), „ეუთოს მისიების ანატომია საქართველოსა და უკრაინაში: შედარებითი ანალიზი“ (9751 ლარი), „თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობა და მათი ეკონომიკურ-კულტურული ინტერესები საქართველოსთან მიმართებით, ქალაქ კურგანის და მისი შემოგარენის ქართული დიასპორას მაგალითზე“ (10 300 ლარი). ამ დროისთვის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განმეორებითი კონკურსი მიმდინარეობს ერთი საპროექტო წინადადების შესარჩევად. განცხადებების წარდგენა 20 აპრილიდან დაიწყო და 30 აპრილს დასრულდება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მიმდინარე წელს 6 კვლევითი პროექტი დაფინანსდება: 1. „ფერმერული მეურნეობის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები — ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში“ — ხელმძღვანელი პროფესორი ეთერ ხარაიშვილი. 2. „თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკური კვლევა“ — ხელმძღვანელი სიმონ გელაშვილი. 3. „პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია საქართველოში და ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების ძირითადი მიმართულებები“ — ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია. 4. „კათედრის მართვისა და ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარების ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და დანერგვა“ — ხელმძღვანელი პროფესორი დემურ სიჭინავა. 5. „შპს „თბილისის სატრანსპორტო საწარმო“-ს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები“ — ხელმძღვანელი ელენე ხარაბაძე. 6. „ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე“ — ხელმძღვანელი პროფესორი იაშა მესხია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საკონკურსოდ წარმოდგენილმა პროექტებმა, ვიდრე მათ ფაკულტეტის საბჭო დაამტკიცებდა, რამდენიმე ეტაპი გაიარა. სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილმა თავდაპირველად ტექნიკური ექსპერტიზა გაიარა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სამსახურში, რის შემდეგაც პროექტები განიხილა და დაამტკიცა წარმომდგენი სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის საბჭომ, საბოლოოდ კი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (2015 წლის 31 მარტი, ოქმი 5) სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ფაკულტეტის 17 სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი 20 პროექტი. ესენია: ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: „რუსთველის ვეფხისტყაოსანი და შექსპირის ციმბელინი (ციმბელინის პერსონაჟები: პარალელები ვეფხისტყაოსანთან)“ — ხელმძღვანელი პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე. თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი: „დრამის პოეტიკა და ქართული ორიგინალური დრამის ფორმირება (ანტიკური ეპოქიდან მე-20 საუკუნემდე)“ — ხელმძღვანელი პროფ. ირმა რატიანი. კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი: „თანამედროვე კავკასიის ეთნოლინგვისტურ მონაცემთა ბაზა“ — ხელმძღვანელი პროფ. ცირა ბარამიძე. საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი: „ქართველთა კოლექტიური მეხსიერების ხატები ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოების მიხედვით“ — ხელმძღვანელი პროფ. მარიამ ჩხარტიშვილი. საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი: „მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება“ — პროფ. თედო დუნდუა. არქეოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: „არქეოლოგიური ძეგლების წინასწარული საპრევენციო რეგისტრაცია“ — ხელმძღვანელი პროფ. ვახტანგ ლიჩელი. ეთნოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: „ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა სოციალური და კულტურული განვითარების თავისებურებანი და გეოგრაფიული გარემო“ — ხელმძღვანელი პროფ. როლანდ თოფჩიშვილი, თანახელმძღვანელი ასოც. პროფ. გიორგი ჟუჟუნაშვილი. ეთნოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: „რელიგიის ნორმატიული და პრაქტიკული ასპექტების კორელაცია (ლომისობის დღესასწაულის მაგალითზე)“ — ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ქეთევან ხუციშვილი. მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი: „დასავლეთის თვალით დანახული XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე)“ — ხელმძღვანელი პროფ. თეიმურაზ პაპასქირი. მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა: „ლიონის, ფერარა-ფლორენციის კრებების უნია და საქართველო“ — ხელმძღვანელი პროფ. მურმან პაპაშვილი. კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკის და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი და მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრა (ერთობლივი პროექტი): „თუკიდიდეს „ისტორია“ ინტერდისციპლინურ კონტექსტში“ — ხელმძღვანელები: პროფ. ლევან გორდეზიანი, პროფ. ირინა დარჩია. აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი: „იდიომატური გამოთქმები არაბულში (ეგვიპტისა და სირია-ლიბანის დიალექტები, სალიტერატურო ენა)“ — ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ნინო ეჯიბაძე. დასავლეთევროპული ფილოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: „შექსპირის თარგმნისა და კვლევის ისტორია საქართველოში“ — ხელმძღვანელი პროფ. მანანა გელაშვილი. სლავისტიკის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: „ენობრივი თამაში და მისი რეალიზაციის საშუალებები გლამულური ჟურნალისტიკის ტექსტების სათაურებში (2014 წლის ყოველთვიური ჟურნალ „Tatler“-ის მაგალითზე)“, ხელმძღვანელი პროფ. ბასილაია ნატალია. ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი: „დისკურსი და თავისუფლება“ — ხელმძღვანელი პროფ. ვალერიან რამიშვილი. ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტი: „ქართული ვალერიან რამიშვილი. ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტი: „ქართული სიძველეები საზღვარგარეთ: ათონის მთის ფილოთეოსის მონასტრის ფრესკები“ — ხელმძღვანელი პროფ. ზაზა სხირტლაძე. ვიზუალური ხელოვნების სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი: „სახვითი ხელოვნების სწავლების მიზნები და მეთოდიკა თსუ-ს სტუდენტებისათვის (კვლევის I ეტაპი — ხატვა)“ — ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ლევან სილაგაძე. კულტურის კვლევათა ინსტიტუტი: რელიგიური და ეთნიკური იდენტობის მიმართების პრობლემა საქართველოში (მე-20 საუკუნის დასაწყისი)“ — ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ქეთევან კაკიტელაშვილი. თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი: „გივი მარგველაშვილის „მუცალი“: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციის პრობლემა“ — ხელმძღვანელი პროფ. ნანა გაფრინდაშვილი.

სამეცნიერო კვლევით პროექტებზე მუშაობის საბოლოო ვადად მოიაზრება 2015 წლის 25 დეკემბერი. ფაკულტეტის საბჭო პროექტებზე მუშაობის შუალედურ ანგარიშს მოისმენს და განიხილავს 2015 წლის ოქტომბერში, საბოლოო ანგარიშს კი 2016 წლის თებერვალში.

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის მიმდინარეობას — თუ როგორ წარიმართება კვლევითი პროცესი, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ პერმანენტულად გააშუქებს.

თამაზ გამყრელიძე — მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაცნობი და უცნობი მხარეები

შვილებისათვის ევროპული აღზრდა-განათლების მიცემის მოთავე მამა

„განამდიდრე შვილნი მეცნიერებითა, რათა იყვნენ სასარგებლო სიცოცხლენი მათნი“ — გამოჩენილი ქართველი პედაგოგის გაიოზ რექტორის ეს შეგონება ჩემი ცხოვრების დევიზად გავიხადე და ჩემს უპირველეს ამოცანად შვილებისათვის აღზრდა-განათლების მიცემა ვაქციე. ჩემს შვილებს, როგორც რეზოს, ასევე მეორე ვაჟს — თამაზს დედამისისა და ბებია-ბაბუის ალერსი და მთავარი საზრუნავი — სკოლისათვის მზადება არ მოჰკლებიათ, ამიტომ მათი ცხოვრებისა და აღზრდის საქმე, მე მგონი, თავიდანვე სწორად წარიმართა. რაც მთავარია, ისეთ მძიმე კატაკლიზმებს — როგორიც ჩემს ცხოვრებაში თებერვალი და ოქტომბერი იყო, ჩემი შვილებისთვის ზიანი არ მიუყენებიათ“ — წერს ვალერიან გამყრელიძე თავის დღიურში შვილებზე გადაფოფრილი იმ მამის პათოსით, რომელსაც გასული საუკუნის 20-იანი წლების თებერვლისა და ოქტომბრის სუსხი მწარედ შეჰხებია, როგორც „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა“ ორგანიზაციის მაშინდელ ხელმძღვანელს. ვალერიან გამყრელიძე ევროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ შემადგენლობასთან ერთად 1922 წელს დაუპატიმრებიათ. მას სატუსაღოშიც არ დაუმალავს, რომ აქტიურად მონაწილეობდა ბოლშევიკების დასამხობად გამიზნული აჯანყების მომზადებაში და ჩეკას არსენალში არსებული წამების მრავალნაირ მეთოდსაც კი ვერ გაუტეხავს — ვალერიან გამყრელიძეს არც ერთი თანამზრახველი არ დაუსახელებია, რაც ძიების მასალებით დასტურდება. იგი დახვრეტას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ახალგაზრდა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ამნისტია შეეხოთ. ამ პიროვნების ისტორიაში სამომავლოდ მხოლოდ ის გარდატეხა მოხდა, რომ იგი შემოიფარგლა იმ ქართველ მოაზროვნეთა ნაშრომების გამოცემით, ვინც, ბოლშევიკების აზრით, ოპოზიციურად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. სწორედ ასეთ ქარტეხილ-გამოვლილ და მრავალ გამოცდა-ჩაბარებულ კაცს ჰქონდა შვილების აღზრდის საკითხი ოჯახში პრინციპულად დაყენებული. ცოლი — ოლიმპიადა ასათიანი — 20 წლისამ შეირთო. უფროსი ვაჟი რევაზი 3 წლის იყო, როდესაც 1929 წლის 23 ოქტომბერს თამაზი ქალაქ ქუთაისში დაიბადა. ოჯახი მალე თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ბავშვები თბილისის გერმანულ საბავშვო ბაღში და შემდეგ კი გერმანულ ათწლედში მიაბარეს.

„გერმანულის გარდა, მაშინდელ დროს ძნელად საპოვნელ ფრანგულისა და ინგლისურის მასწავლებლებზეც ვიყავით ჩაჭიდებულნი, რომ ჩვენს ბავშვებს მეცადინეობა არ მოჰკლებოდათ და პრაქტიკის გამდიდრების მიზნით შინამოსამსახურედ გერმანელი ქალიც დავიქირავეთ. გვინდოდა, შვილები ასეთ გარემოში გაგვეზარდა და ამ მცდელობამ მალე გამოიღო ნაყოფი — ისინი მალე ამეტყველდნენ და მშობლიურ ენასთან ერთად რუსულად, გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად დაიწყეს ლაპარაკი“ — ასეთ ჩანაწერს აკეთებს ვალერიან გამყრელიძე თავის დღიურებში, სადაც მის ოჯახზეა საუბარი. ამ დიდ ოჯახში მან კვალი დატოვა თავისი, როგორც შვილებისთვის ევროპული აღზრდა-განათლების მიცემის მოთავე მამამ, რომელმაც ქვეყანას მსოფლიოს მრავალი აკადემიის აკადემიკოსები — თამაზ და რევაზ გამყრელიძეები აღუზარდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა ეროვნული უნივერსიტეტის იდეას, კერძოდ კი საუნივერსიტეტო საგამომცემლო საქმის დიდ თავკაცად მოიხსენიებენ.

სამეცნიერო კარიერა

1937 წლის რეპრესიებგამოვლილი, ივანე ჯავახიშვილის ეგრეთწოდებული „ანტისაბჭოთა ჯგუფის“ წევრად მიჩნეული, შემდგომში აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი გიორგი წერეთელი დიდ როლს ასრულებს მისი გამორჩეული მოწაფის — თამაზ გამყრელიძის მომავლის დაგეგმვაში. თამაზ გამყრელიძემ 1952 წელს სწორედ აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ფილოლოგიის განყოფილება სემიტოლოგიის განხრით, ხოლო შემდეგ მასწავლებლის რჩევითა და დახმარებით გაიგზავნა ლენინგრადში — ასპირანტურაში, რათა გამოჩენილი რუსი ორიენტალისტის — დიაკონოვის — ხელმძღვანელობით ემუშავა. ასპირანტურის კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ თამაზ გამყრელიძემ ფართო ზოგადლინგვისტური და აღმოსავლეთმცოდნეობითი მომზადება მიიღო. სხვადასხვა სისტემათა ენების ზედმიწევნით კარგად ცოდნამ მას საშუალება მისცა 1956 წელს დაეცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები“.

მზეძალა შანიძე, პროფესორი: „თამაზმა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. როცა თამაზი იქ სწავლობდა, იმთავითვე მიიქცია ყურადღება თავისი არაჩვეულებრივი ნიჭით და თავისი უჩვეულო მონდომებითაც. მოგეხსენებათ, ჩვენში, ქართველებში, ნიჭიერები ბევრნი არიან, მაგრამ ყველა ვერ ახერხებს თავისი ნიჭის რეალიზებას. მაშინ, როცა, ბევრი, დროს ფუჭად ხარჯავდა, თამაზ გამყრელიძე დაბეჯითებით სწავლობდა და სწავლობდა არა მარტო იმას, რაც სასწავლო პროგრამით იყო გათვალისწინებული, არამედ იმასაც, რაც ფართო თვალთახედვას გამოუმუშავებდა. ამიტომ მისი სამეცნიერო კარიერა თავიდანვე წარმატებით წარიმართა. მახსოვს ერთი ასეთი შემთხვევა: მან ძალიან ადრე დაიცვა დისერტაცია, სულ ახალგაზრდა იყო. ეს მაშინ უჩვეულო ამბავი გახლდათ. 25, 28, 30 წლის ასაკში დისერტაციის დაცვა არ იყო უჩვეულო ფიზიკოსებთან, მათემატიკოსებთან... ჩვენი დარგი კი ისეთია, რომ წარმატების მისაღწევად ძალიან ბევრი მეცადინეობაა საჭირო, ძალიან ბევრი ფაქტის შეკრება და ძალიან დიდი ფაქტობრივი მასალის დაგროვებაა საჭირო. ამიტომაა, რომ ჩვენს დარგში ასე ადრე დისერტაციების დაცვა იშვიათია ხოლმე. უკვე მაშინვე იყო ეს სალაპარაკო. ამასთან დაკავშირებით ასეთ შემთხვევას გავიხსენებ: სადღაც მივდიოდით. ეს ის დროა, როცა ჯერ კიდევ ტროლეიბუსები დადის უნივერსიტეტთან. მე და თამაზი ჩავსხედით ტროლეიბუსში და ერთად მივდივართ სადღაც. ბევრი ხალხი იყო და თამაზი უცაბედად ვიღაც მოხუცებულ კაცს გამოედო. როგორც ახასიათებს, მაშინვე ბოდიში მოიხადა და გაჩერდა. მოხუცებული აბუზღუნდა. თამაზმა არაფერი უპასუხა მოხუცს და თავისთვის ოდნავ ჩაიღიმა. მოხუცი ამაზე გაღიზიანდა და მიაძახა: — იცინე, იცინე, თუ არა „პრაფესორი“ არ გამოუხვიდე მამაშენსო. ამაზე ჩვენ აგვიტყდა საშინელი სიცილი. დავუწყეთ დარწმუნება ამ მოხუცებულს, რომ ეს კაცი უკვე „პრაფესორია“, მაგრამ მან, რა თქმა უნდა, არ დაგვიჯერა“.

მართლაც, 1962 წელს თამაზ გამყრელიძე იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“. ამ სფეროში შესრულებულმა სამუშაოებმა მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა და საბჭოთა კავშირში ხეთოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნიეს. 1967 წელს მისი მუშაობის შედეგები აკადემიკოსებმა გიორგი წერეთელმა და გიორგი ახვლედიანმა ასე შეაფასეს: დიდი ერუდიციისა და განსაკუთრებული ნიჭის მეცნიერმა, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, უკვე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ლინგვისტთა შორის“. თამაზ გამყრელიძის მიერ შესრულებულ მრავალ სამეცნიერო ნაშრომთაგან ქართველური ენათმეცნიერების განვითარების ახალ ეტაპად არის მიჩნეული გივი მაჭავარიანთან თანაავტორობით შექმნილი მონოგრაფია „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. ეს მონოგრაფია გერმანულ ენაზე საზღვარგარეთაც გამოიცა. თუმცა, ციდან ტუნგუსკის მეტეორის ჩამოვარდნის ტოლფასი ეფექტი თამაზ გამყრელიძემ აკადემიკოს ვიაჩესლავ ივანოვთან თანაავტორობით შექმნილი ფუნდამენტური გამოკვლევით მოახდინა. ცნობისათვის: ასეთი შედარების ავტორი ცნობილი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე დიაკონოვია. „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ — ამ გამოკვლევის ძირითადი იდეები, რომელთაც თამაზ გამყრელიძე ფუნდამენტური ორტომეულის გამოცემამდე საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე აცნობდა კოლეგებს და აქვეყნებდა სხვადასხვა სტატიებს, ინგლისურად ითარგმნა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წიგნად გამოვიდა. ამ კვლევამ მსოფლიოს წამყვან ლინგვისტთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. დასავლეთის მეცნიერებმა თამაზ გამყრელიძის ამ ახალ იდეას „გლოტალური თეორიის“ სახელით იცნობს, რომელიც არსებითად ცვლის მეცნიერულ თვალსაზრისს ინდოევროპულ ენათა ისტორიასა და განვითარებაზე. საუბარია იმ თვალსაზრისის გადასინჯვაზე, რომელიც კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში 150 წლის მანძილზე ბატონობდა.

როინ მეტრეველი, აკადემიკოსი: „ინდოევროპეისტიკის პრობლემებზე დიდი სამუშაო შესრულდა ვიაჩესლავ ივანოვთან ერთად და გამოსცეს ორტომეული წიგნი, ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც ლენინური პრემიით დაჯილდოვდა. მაშინ ეს პრემია უმაღლეს ჯილდოდ ითვლებოდა. მე თითქმის ყველა საერთაშორისო გამოფენას ვესწრებოდი ხოლმე მოსკოვში, სადაც წიგნების გამოფენები იმართებოდა (გამოფენაზე ენციკლოპედიებს წარვადგენდი ხოლმე) და მახსოვს, პავილიონში რიგი იდგა გამყრელიძე-ივანოვის ორტომეულის სანახავად, იმდენად დიდი ინტერესი იყო ამ წიგნისადმი ფართო საზოგადოებისა“.

ოთარ ჯაფარიძე, აკადემიკოსი: „პირველი ტომი, ძირითადად, ენობრივ მასალებს ეხება. მეორე ტომში კი ძალიან ფართოდ იყენებენ არქეოლოგიურ მასალას, ენათმეცნიერულ მითოლოგიას. ავტორებს ძალიან საინტერესოდ და ახლებურად აქვთ გაანალიზებული ინდოევროპელების თავდაპირველი ადგილსამყოფელი და მათი მიგრაციის გზები. აქ სრულიად შეიცვალა თამაზმაც აზრი და ინდოევროპელების პირველ ადგილსამყოფელს მცირე აზიაში ვარაუდობდა და შემდეგ მათი აღმოსავლეთით მოძრაობას აღნიშნავდა. ამ ორტომეულმა მონოგრაფიამ მათ მართლაც საქვეყნო სახელი მოუტანა, რამაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერებში“.

საქართველოში მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ თამაზ გამყრელიძის თეორია მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ და მასალობრივ ჩვენებას წარმოადგენს ინდოევროპული ენების ქართველურ ენებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც.

ავთანდილ არაგული, თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი: „უპირველეს ყოვლისა, სწორი არ არის, რომ თამაზ გამყრელიძე წარმოდგენილია იმ მოსაზრების მომხრედ თუ დამამკვიდრებლად, რომელიც ქადაგებს, რომ ქართველური ენები არის ინდოევროპული ენების მონათესავე — ეს ბატონ თამაზს არ უთქვამს და ეს არც არის მის რომელიმე ნაშრომში. მას აქვს ტიპოლოგიური მსგავსება და მასალობრივი შეხება ინდოევროპულ, ქართველურ და სემიტურ ენებს შორის, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს ნათესაობაა, არ ხერხდება. ბატონმა

თამაზმა რამდენჯერმე ხაზი გაუსვა, მათ შორის ზეპირ მოხსენებებსა და ლექციებზეც, რომ, იმის მიხედვით, რა მონაცემებიც გვაქვს, ჯერჯერობით საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმაზე, რომ ამ პრაენებს შორის არსებობდა უშუალო შეხება, კონტაქტი ახლო აღმოსავლეთის წინა ტერიტორიაზე, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს არის ნათესაობა.

ბატონი თამაზი იმ კატეგორიის ლინგვისტი და ენათმეცნიერია, რომ, მკაცრი მეთოდებისა და ემპირიული მასალების გამოყენების გარეშე, არ იტყვის იმას, რაც არ შეიძლება თქვას მეცნიერმა. რაც შეეხება იბერიულ-კავკასიური მეცნიერების პრობლემებს, ბატონი თამაზი დაინტერესებულია იმ ჰიპოთეზითაც, რომლის თანახმადაც მონათესავენი არიან იბერიულ-კავკასიური ენები, თუმცა ეს ჰიპოთეზა ბატონი თამაზისთვის დამტკიცებული თეორია არ არის“.

მეცნიერული მუშაობის მიღმა თამაზ გამყრელიძე მნიშვნელოვან საორგანიზაციო მოღვაწეობასაც ეწევა. თავიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა ძველაღმოსავლური ენების განყოფილებას, ხოლო 1960 წლიდან, აკადემიის სისტემაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ, მას ირჩევენ ამ ინსტიტუტის წინა აზიის ენათა განყოფილების გამგედ. თამაზ გამყრელიძე პარალელურად იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი აირჩიეს კიბერნეტიკის ფაკულტეტზე ახლად ჩამოყალიბებული სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგედ. პროფესორის წოდება მას 1964 წელს მიენიჭა. 1973 წლიდან თამაზ გამყრელიძე აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს ჩაუდგა სათავეში მისი მასწავლებლის — გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ და ამ ინსტიტუტს იგი 2005 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1974 წლიდან თამაზ გამყრელიძეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად ირჩევენ.

თამაზ გამყრელიძე ავტორიტეტს იხვეჭს ევროპასა და ამერიკაში გასული საუკუნის ჯერ კიდევ 70-იან წლებში, როგორც მიწვეული ლექტორი და მომხსენებელი საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებში და როგორც საერთაშორისო ლინგვისტური კონგრესებისა და ფორუმების უცვლელი მონაწილე.

1971 წელს იგი ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი ხდება. 1979 წელს ირჩევენ ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად. 1980 წელს — ბრიტანეთის აკადემიის კორესპონდენტ წევრად; 1983 წელს ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის კორესპონდენტ წევრად. სულ მალე მას ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრად და შემდეგ ამ საზოგადოების პრეზიდენტად ირჩევენ.

1984 წელს თამაზ გამყრელიძე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს.

აღიარებული მეცნიერი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1985 წელს საკავშირო უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის დეპუტატი ხდება.

მე-12 გვერდზე

თამაზ გამყრელიძე — მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაცნობი და უცნობი მხარეები

მეთერთმეტე გვერდიდან



СЪЕЗД
НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР

БЮЛЛЕТЕНЬ
№ 6
Часть II
30 мая 1989 г.

ИЗДАНИЕ ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР • 1989

რომ არა 9 აპრილი...

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, ქალაქ თბილისში, მთავრობის სახლის მოედანზე მანიფესტაციის მონაწილე ათასობით ქართველი, სამშობლოს თავისუფლებისთვის მომღერალი გოგო-ბიჭები დაწამლეს და უმოწყალოდ დაჩეხეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ავრცელებს განცხადებას: ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 კაცი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო 11 აპრილს გლოვის დღედ აცხადებს და სამძიმარს უცხადებს მოედანზე არეულობის დროს დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს, ნათესავებს, ახლობლებს.

ოფიციოზის ამ მიმართვების ტირაჟირების ფონზე, კონტრასტს ქმნის ქართული ინტელიგენციის „ხმა ერისა“: გავრცელდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიმართვა ასეთი პოზიციით: „ეს იყო საშინელი ბარბაროსული აქტი, რითაც არმიის ამ ნაწილმა დაამტკიცა, რომ იგი გარდაქმნის წინააღმდეგია, ხოლო საქართველოს მთავრობამ დაადასტურა დემონსტრანტთა მიერ მთავრობის გადადგომის მოთხოვნის სამართლიანობა, რადგან, მთავრობა, რომელიც თავის ხალხს ტანკებს და ჯარებს შეუსევს, ხელს აწერს თავის უუნარობას და გადადგომას“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომამ კი ასეთი შეფასება გაასაჯაროვა: „აღმაშფოთებულია ის ფაქტი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, განსაკუთრებით ცენტრალური პრესა და საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“ ყალბად და ტენდენციურად აშუქებენ მოვლენებს, თითქოს ადამიანთა მსხვერპლი მოხდა წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად. როგორც ცნობილია, ამ აქციის გამოსაძიებლად, შექმნილია სამთავრობო კომისია. ვინაიდან, საკდესის ცნობით, მიტინგის მონაწილეთა დაშლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, შეუძლებელია გამოძიება დაევალოს მის მიერვე შექმნილ სამთავრობო კომისიას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კატეგორიულად მოითხოვს მომხდარი ტრაგედიის გამოსაძიებლად შეიქმნას სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და საზოგადოების კომპეტენტური წარმომადგენლები“.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა

გენიალობა და ბოროტება
ერთიმეორეს ვერ ეწყობიან
ვოლფგან ამადეუს მოცარტი

ადამიანის ხასიათი შეიცნობა
გადამწყვეტ წუთებში
შტეფან ცვაიგი

„მითხარ, ვისთან ხარ, გეტყვი, ვინცა ხარ“ — პიროვნების ამოცნობის და პიროვნების ფასეულობების განსაზღვრის გოეთეეულმა ამ პრინციპმა კიდევ ერთხელ მაშინ შეიძინა აქტუალობა საქართველოში, როცა 9 აპრილის ტრაგედიის რეალური გამოძიებისა და შეფასების დრო დადგა. 9 აპრილს მომხდარ გარემოებათა გამოსაკვლევად, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან. კომისიაში შეყვანილ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის გვერდით კომისიის წევრად დასახელებულნი იყვნენ: რევაზ თაბუკაშვილი, ჯანსუღ კახიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნადირაშვილი, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, პარმენ მარგველაშვილი, ელდარ შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, თემურ ჩხეიძე, რეზო ჩხეიძე, რამაზ ჩხიკვაძე, სულხან ცინცაძე, სერგო ჯორბენაძე და სხვა საზოგადო მოღვაწეები.

„მორჩილების დემოკრატიამ ერთხელ კიდევ მოგვატყუა. არ გვეშველება, თუ ერთ დღეს სისხლად არ იქეც მელანო. ჩვენი მელანი უკვე იქცა სისხლად და ჩვენი თავისუფლებაც დაიწყო, აღარაფერმა უნდა შეგვაშინოს“ — საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი აკაკი ბაქრაძე ამ მოწოდებით უერთდება თანამოაზრეთა ბრძოლას, მაგრამ ამ ბრძოლას სათავეში კაცი სჭირდებოდა — კაცი, მოლაპარაკე მსოფლიოსთვის. არ დაგვავიწყდეს, რომ გორბაჩოვისეული ეგრეთწოდებული გარდაქმნა ითვალისწინებდა იმ რისკებსაც, რომ შესაძლო იყო სამხედრო დიქტატურის დამყარება, რაც საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ რესპუბლიკებს.

და აი, მოსკოვში, 25 მაისს იხსნება საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა. ტრიბუნასთან საქართველოს დეპუტაციის წევრი, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი თამაზ გამყრელიძე მიდის. თუკი მისი მეცნიერული თეორია მანამდე მეტეორის ჩამოვარდნას შეადარეს, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე მისი პოლიტიკური სიტყვით გამოსვლა საბჭოთა იმპერიის დაშლის მანიშნებელ გაბედულ ისტორიულ სიტყვად შეფასდა — და ამ შემთხვევაში შემფასებელი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გახლდათ.

ივანე კიღურაძე, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი: „1989 წლის 29 მაისს, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, ბატონმა თამაზმა გააკეთა მოკლე, მაგრამ ძალიან მკაცრი განცხადება, რითაც თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედია შეაფასა როგორც დანაშაული არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ საბჭოთა კავშირის ხალხების წინაშე; როგორც დანაშაული ადამიანობის წინაშე. მან მოითხოვა, ასევე, 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის დაგმობა. ვინც იცის — რა იყო საბჭოთა კავშირი, თამაზ გამყრელიძის ამ მოთხოვნას დიდ გმირობად შეაფასებს. ამას წინ უძღვოდა ბატონი თამაზის ანალოგიური გამოსვლა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წინასაარჩევნო კონფერენციაზე. და ბოლოს, 1989 წლის 30 მაისს შედგა ბატონი თამაზის ისტორიული გამოსვლა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, სადაც ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი. ყოველთვის, როცა ვიგონებ ამ გამოსვლას, თვალწინ მიდგას მისი სახე — იგი, ალბათ, საკუთარ სიკვდილს შეგუებული იყო მაშინ, რადგან ისეთი ძლიერი იყო ის „დამსჯელი მანქანა“, რომ კაცი ვერ იწინასწარმეტყველებდა, თამაზ გამყრელიძის მიერ საბჭოთა სისტემის დემონტაჟის მოთხოვნას, ქვეყნის სპეცსამსახურების სამარცხვინო ბოძზე გაკვრას ვინმე აპატიებდა თუ არა მას, დარჩებოდა თუ არა ეს გამოსვლა დაუსჯელი. მე როცა წარმოვიდგენ მაშინდელ თამაზს, ასე მგონია, რომ მას თავზე ნათელი ედგა. სხვათაშორის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მოღვაწეობის დროს, მან განმეორებით დააყენა საკითხი ანექსიის დაგმობისა და 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. წარმოიდგინეთ, ესეც როგორი ვაჟკაცური ნაბიჯი იყო. უფრო მოგვიანებით დააყენა საკითხი საქართველოს და უკლებლივ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის გაეროში გაწევრიანების თაობაზე. ეს ახლა არის იოლად სათქმელი, როცა უკვე გაეროს წევრები ვართ. და ამ საკითხებს იგი აყენებდა საჯაროდ, მსოფლიოს გასაგონად. ეს იყო შეგნებულად თავგანწირვა სამშობლოსათვის“.

თამარ ჩიქოვანი, ჟურნალისტი: „როდესაც დიდი ხანი გაქვს ნაცხოვრები იმ სისტემაში, რასაც საბჭოთა კავშირი ჰქვია, ალბათ, ნებისმიერი ადამიანის შიგნით ზის იმის შიში, რომ ვაი, თუ ხვალ ისევ დაიწყოს ის ცუდი, რაც ცოტა ხნის წინ იყო და დავისაჯო რაღაცის თქმისთვის, ანუ, ერთი მხრივ, თითქოს საფრთხე იმ წუთიერი არ არსებობდა, მაგრამ არავინ ვიცოდით, რით დამთავრდებოდა ეს „პერესტროიკა“, ან რა შეიძლებოდა მომხდარიყო ქვეყანაში 9 აპრილის შემდეგ. გარდა ამისა, ერთია, რომ 9 აპრილს ტრაგედია დატრიალდა რუსთაველზე, მაგრამ ტრაგედია იყო ისიც, როდესაც ადამიანები, რომელთა თვალწინ ეს ყველაფერი ხდებოდა, საკავშირო ტელევიზიის ეკრანზე ხედავდნენ „ამოტრიალებულ ამბებს“. ძალიან მტკივნეული იყო უძალობის თუ რაღაც დაუცველობის, უსუსურობის განცდა, რადგან ტრაგედიის დატრიალებასთან ერთად შენ თითქოსდა დაგცინიან, გატყუებენ... ამიტომ ძალიან მნიშვნელოვნად ითვლებოდა — ამბავი გასულიყო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ — რა მოხდა რეალურად რუსთაველზე 9 აპრილს. ერთ-ერთი, ვინც ეს ამბავი გაიტანა, იყო ბატონი თამაზ გამყრელიძე“.

თამაზ გამყრელიძე, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ ფარული გეგმის ერთ-ერთი მონაწილე გახდა, რამაც საბჭოთა სისტემა მოარყია და საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების ჩასატარებლად საფუძველი შეამზადა. და კიდევ, რაც მთავარია, ამ ყველაფერმა საქართველოში ეროვნული მოძრაობის მიწისქვეშეთიდან პირდაპირ სახელისუფლო საბრძოლო არენაზე გასვლას შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ თამაზ გამყრელიძე 1990 წელს დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი გახდა, იგი დიდ პოლიტიკაში შეღწეული საზოგადო მოღვაწის რანგში უფრო განიხილებოდა, ვიდრე პოლიტიკოსად. 1990 წლის 28 ოქტომბერს იგი ხელს აწერს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებაში მასაც აქვს უშუალო წვლილი შეტანილი.

კეთილი საქმის საკეთებლად ერისკაცობა რომ სჯობს, ამაზეც უფიქრია დიდ მეცნიერს და დამოუკიდებლობის პირველ მძიმე წლებში, ქვეყნის პოლიტიკური მარტოსულობის კომპლექსის დასაძლევად, ევროპაში თავისი ქვეყნის დესპანობაც შეითავსა. 1991 წლის 15 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დელეგაცია აკაკი ასათიანის ხელმძღვანელობით ვიზიტით გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. დელეგაციის წევრთაგან თამაზ გამყრელიძე ცნობილ პოლიტიკოს ზბიგნევ ბჟეზინსკისაც შეხვდა, რომელმაც მას მიაწოდა იდეა — როგორ შეიძლებოდა განხორციელებულიყო საქართველოსა და ამერიკას შორის კონტაქტები.

პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის აგვისტოში თამაზ გამყრელიძე უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა, მაგრამ ამ პოსტიდან იგი საკუთარი სურვილით ერთ კვირაში წავიდა.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც და შემდგომ წლებში უკვე ქვეყნის პირველი პირი ედუარდ შევარდნაძეც თანამებრძოლთა რიგებში განიხილავდნენ თამაზ გამყრელიძეს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სფეროში თანამოღვაწეობდა ქვეყნის ორ სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური ორიენტაციის ლიდერთან. მძიმე კატაკლიზმებმა, რაც ქვეყანამ სამოქალაქო ომის დროს გამოიარა, ალბათ, თამაზ გამყრელიძის პირად ემოციებში ჰპოვა ასახ-

მე-13 გვერდზე

თამაზ გამყრელიძე — მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაცნობი და უცნობი მხარეები



მეთორმეტე გვერდიდან

ვა და გადაფასება. შემდეგ კი 1992 წლიდან 2003 წლამდე იგი აგრძელებს თავის მისიას რამდენიმე მოწვევის საქართველოს პარლამენტში, რომელშიც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს და მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების საკოორდინაციო საბჭოს.

„დასავლურ-აღმოსავლური დივანიდან“

„პოსტკომუნისტური დემოკრატიული გარდაქმნები და გეოპოლიტიკა ამიერკავკასიაში“ — ამ გლობალური პრობლემის ირგვლივ სამსჯელოდ და კონკრეტული მოქმედებისთვის პოტენციური მზაობა, ისეთ პატარა სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, მსოფლიოს პირველად ედუარდ შევარდნაძემ და მისმა თანამებრძოლებმა აჩვენეს. დიდი აბრეშუმის გზის განახლებაც იმ კონცეფციის სტრატეგიული ქმედების ნაწილი იყო, რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაკავშირების იდეას, ასევე ამ ორი პოლუსის სახელმწიფოთა მთავარი ფასეულობებისა და კულტურების დაახლოების იდეას ემსახურებოდა. ამ დიდი ამოცანების საკვლევად, ჯერ კიდევ 90-იან წლებში ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი“, რომლის თავმჯდომარე აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე გახლდათ. ცენტრის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე იყო. ცენტრის ორგანიზებით გამართულ სხდომებში, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სემინარებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ მსოფლიოში აღიარებული მაღალი რანგის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. ამ ღონისძიებებზე ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე გახლდათ, რომელიც, საქართველოს გეოპოლიტიკური ამოცანების ჭრილში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთიანობის იდეაზე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე აგრძელებდა პუბლიკაციების გამოქვეყნებას. „შესაძლოა, უფრო გამართლებული იქნებოდა ლაპარაკი არა ისტორიული დიდი აბრეშუმის გზის აღდგენასა და გაცოცხლების შესახებ, არამედ ახალი აბრეშუმის გზის შექმნაზე, რომლის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის მაკავშირებელი არტერია სწორედ საქართველოზე გაივლის, რაც სავსებით შეესაბამება დასავლურ-აღმოსავლური ცივილიზაციებისა და ნაკადების კულტურული შერწყმისა და გაერთიანების საქართველოს ისტორიულ მისიას. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო გოეთეს სიტყვები: „ვინც თავისი თავი და სხვანი შეიცნო, აქ იმასაც შეიმეცნებს, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს აღარ უნდა დავაცილოთ“ — ამონარიდი თამაზ გამყრელიძის წერილიდან: „რატომ არის საქართველო ევროპის ნაწილი და რატომ არიან ქართველები ევროპელები“.

წუთშესვენებაზე

1993-1995 წლებში აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე აქტიურად მონაწილეობდა ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის სესიებზე ნატოში საქართველოს გაწევრიანების იმედით. ერთმანეთს ცვლის საქართველოს სახელით მისი გამოსვლები საერთაშორისო ორგანიზაციების — ეუთოს, გაეროს სხდომებზე, სადაც თამაზ გამყრელიძე მუდმივად სვამს ქვეყნისთვის გარედან თავსმოხვეული შიდა კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხს. და აი, როდესაც წუთშესვენებაზე მას ჟურნალისტი უსვამს კითხვას, თუ რამ განაპირობა დიდი მეცნიერის ჩართვა პოლიტიკაში, იგი პასუხობს: „ესეც კარგი ცხოვრების გამო არ ხდება. ეს ჩემთვის დიდი მსხვერპლია! მე როგორც კი დავინახავ, რომ სიტუაცია წყნარდება, ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში დგება, თავს დავანებებ ამ საქმეს“.

ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილი

ქვეყანა ვერა და ვერ წყნარდება. ქართული საზოგადოების მორიგი პოლიტიკური ეიფორია და ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებების იმედი 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“ დაუკავშირდა. ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე ეკლესიის დანგრევით დაიწყო ხალხის გაოცება და... აი, ქართველი ერის სულიერებისა და განათლების ტაძარს — უნივერსიტეტსაც მოადგნენ. 2005 წლიდან ეგრეთწოდებულმა „ლომაიას რეფორმებმა“ უნივერსიტეტში სამეცნიერო სექტორი გააუქმა და სულ მალე გამოცხადდა კონკურსები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 4-ჯერ შემცირებულ ადგილებზე. ამას მოჰყვა საუნივერსიტეტო საზოგადოების დიდი ნაწილის ბოიკოტი და აზვირთდა საუნივერსიტეტო მოძრაობა. უნივერსიტეტი იყო პირველი დაწესებულება, რომელიც ღიად დაუპირისპირდა ხელისუფლების შემოთავაზებულ რეფორმას. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მოძრაობას თავისი წერილით გამოეხმაურა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე გახლდათ. „მესამე სიკვდილი“ ივანე ჯავახიშვილმა განიცადა უკვე ჩვენს დღეებში, როდესაც მის მიერვე შექმნილ და მისივე სახელობის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტი უქმდება, უქმდება უმაღლესი განათლების კანონში არსებული მთელი რიგი ხარვეზებისა და ამ კანონის შესაბამისად უნივერსიტეტში ნაჩქარევად და გაუაზრებლად ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების გამო. ამავე მიზეზით ჩვენს მთავარ ეროვნულ უნივერსიტეტში უქმდება ისეთი ეროვნული კერები, როგორიცაა „რუსთაველის კაბინეტი“, „ვაჟა-ფშაველას კაბინეტი“, „გალაკტიონის კაბინეტი“ და მრავალი სხვა ეროვნული სასწავლო-სამეცნიერო კერა და... უნივერსიტეტის უამრავი თანამშრომელი, პირდაპირი გაგებით, ქუჩაში გაშვებული აღმოჩნდა... თუ ამ კანონის შესაბამისად ჩატარებული რეფორმისა და რეორგანიზაციის შედეგად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უქმდება ამგვარი სამეცნიერო კაბინეტები და სასწავლო-კვლევითი უჯრედები, ეს ნიშნავს, რომ ასეთ „რეფორმირებას“ არაფერი აქვს საერთო ეროვნულ უნივერსიტეტში სასწავლო-კვლევითი სისტემის გააზრებულ რეორგანიზაციასა და მის საერთო ოპტიმიზაციასთან“ — წერს თამაზ გამყრელიძე წერილში, რომელიც პრესის საშუალებით ვრცელდება.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როდესაც, 1988 წელს უნივერსიტეტის 70 წლის საიუბილეო სხდომაზე თამაზ გამყრელიძემ უნივერსიტეტისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების წინადადება წამოაყენა, ამ იდეას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. თუმცა დიდი მეცნიერის ავტორიტეტი საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეს ინიციატივა მაინც გასულიყო. და საქმე მოჰყვა კიდეც იმ სიტყვას, რომელიც უნივერსიტეტის ისტორიის კუთვნილებად იქცა.

SOS! ქართული მეცნიერება საფრთხეშია

სიტყვა, რომელიც მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველი რგოლებისთვის არ იყო გამიზნული, მსოფლიოს წამყვან აკადემიებში თანაგრძნობასა და ადეკვატურ გამოხმაურებას იმსახურებდა. თამაზ გამყრელიძე, 2005 წლის 20 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევის დღიდან აკადემიის გადარჩენის სადარაჯოზე იდგა და უნივერსიტეტის შემდეგ უკვე აკადემიის ეგრეთწოდებული რეფორმირების სახელისუფლო გეგმებს ენინააღმდეგებოდა. „SOS: ინგრევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ქართული მეცნიერება!“ — ამ მოწოდებით მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი არაერთგზის მიმართავს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებს, მათ შორის სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციას. და მიმართვებს ავრცელებს მას შემდეგ, რაც მისი წერილობითი პოზიციები — გაგზავნილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი, არ იქნა გათვალისწინებული. ასევე არ იღეს ყურად ქართულ პრესაში აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მიერ მანამდე არაერთგზის გამოთქმული შენიშვნები: „ნუ ვათქმევინებთ შთამომავლობას, რომ „ვარდების რევოლუციამ“ დაანგრია საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მოსპო ქართული მეცნიერება“. თამაზ გამყრელიძე მაშინ დაუპირისპირდა იმ სახელისუფლო იდეას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთგვარ ასოციაციად, ერთგვარ „სტიპენდიატთა კლუბად“, აკადემიკოსთა არსებითად უფუნქციო საზოგადოებად გადაქცევას ითვალისწინებდა. „ნაციონალური მოძრაობის“ სახელისუფლო ფრთამ ბოლოს თავისი მაინც გაიტანა, აკადემიას ჩამოაშორეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და დაშალეს არსებული სამეცნიერო სისტემა. ფაქტობრივად დაიხურა დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი. განადგურების პირას მივიდა არაერთი ცნობილი სამეცნიერო სკოლა და გაიყიდა ინსტიტუტების შენობები, მოიშალა კვლევითი ბაზები.

ივანე კიღურაძე, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი: „ძნელად თუ მოიძებნება სხვა პიროვნება, რომელსაც ასეთი პროტესტი შეიძლება გამოეთქვას „ნაციონალების“ მიმართ და ასე მედგრად დამდგარიყო ქართული მეცნიერებისა და განათლების გადასარჩენად. რატომ ვერ კიდებდნენ ხელს? იმიტომ, რომ ამას მოჰყვებოდა დიდი საერთაშორისო სკანდალი. თორემ, რა თქმა უნდა, გაუსწორდებოდნენ, ჩამოაშორებდნენ აკადემიის მართვას. „ნაციონალები“ ბოლშევიკებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. და გარდა ამისა, აკადემიის პრეზიდენტად ბატონი თამაზის არჩევა — ეს იყო საერთო აზრი ქართველი მეცნიერებისა. საბოლოოდ, ამიტომაც ვერ მოსწყვეტდნენ აკადემიას.“

მე-14 გვერდზე

თამაზ გამყრელიძე — მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაცნობი და უცნობი მხარეები

მეცამეტე გვერდიდან

თამაზ გამყრელიძე, ვატიკანი

როინ მეტრეველი, აკადემიკოსი: „თამაზ გამყრელიძემ მსოფლიო აკადემიების ასოციაციას მისწერა წერილი. ამ ასოციაციის პრეზიდენტი ჩამოვიდა საქართველოში და მან საქართველოს მთავრობაში განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლების ნაბიჯები არ იყო სწორი. თუმცა არავინ მოისმინა ეს განცხადება. შედეგიც სახეზეა — მეცნიერება ისე დაკნინდა, რომ თუკი ადრე საქართველოში 50000 მეცნიერ-თანამშრომელი იყო, დღეს მათი რიცხვი მხოლოდ 3000-4000-ს მოითვლის“.

ამ ბრძოლების მიღმა თამაზ გამყრელიძის ბიოგრაფია კვლავაც მნიშვნელოვანი სამეცნიერო რეგალიებით მდიდრდებოდა. მას, როგორც დიდ მეცნიერსა და ქართული აკადემიის ღირსეულ პრეზიდენტს, ქვეყნის გარეთ კვლავ უღებდნენ ფართოდ კარს.

ქართული მეცნიერების დიდ აღიარებას ნიშნავდა, 2006 წელს, საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის არჩევა ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის უცხოელ წევრად. მეცნიერებათა ნაციონალური აკადემია 1863 წელს პრეზიდენტ აბრაჰამ ლინკოლნის მიერ დაარსდა, როგორც სამეცნიერო პრიორიტეტების განმსაზღვრელი უზენაესი ავტონომიური სამეცნიერო ორგანო და ხელისუფლების მრჩეველი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში. ამ აკადემიის წევრები იყვნენ და არიან ისეთი მეცნიერები, როგორიცაა ალბერტ აინშტაინი, ნილს ბორი, ვერნერ ჰაიზენბერგი, ჯეიმზ უისტონი, ჯონ ფლემინგი, ანდრეი სახაროვი, მარეი გელმანი და სხვა. ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალურ აკადემიაში წევრად არჩევა საყოველთაოდ მიჩნეულია იმ უმაღლეს პატივად, რაც კი შეიძლება მეცნიერს მიეგოს. გარდა ამისა, სწორედ 2006 წლიდან ირჩევენ თამაზ გამყრელიძეს ევროპის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, შემდეგ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად და ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

რწმენა და მეცნიერება

„თავისუფლება ნიშნავს არა იმის კეთებას, რაც მოგეპრიანება, არამედ უფლებას — აღასრულო შენი ვალი. თუ თავისუფლებას არ აქვს მიზანი, თუ იგი არ ცნობს ადამიანის სულზე აღბეჭდილ ზნეობრივ კანონს და ყურს არ უგდებს სინდისის ხმას, მაშინ იგი საზოგადოებას უპირისპირდება“ — წერდა რომის კათოლიკური ეკლესიის 264-ე პაპი — იოანე პავლე მეორე დიდი, რომლის სახელსაც უკავშირდება საბჭოეთის კომუნისტური რეჟიმის დამხობის, ბერლინის კედლის დანგრევის, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და საქართველოს რესპუბლიკის გათავისუფლების ეპოქაც. იოანე პავლე II მოუწოდებდა სხვა ქრისტიანულ კონფესიებს აქტიური თანამშრომლობისკენ. იგი გახდა პირველი პაპი, რომელმაც მოინახულა ლუთერანული და ანგლიკანური ეკლესიები, მან პირველმა შეაბიჯა სინაგოგასა და მეჩეთში. თავისი 27 წლიანი მოღვაწეობის პერიოდში იგი მსოფლიოს 104 ქვეყანას ეწვია და 1999 წლის 8 ნოემბერს საქართველოსაც ესტუმრა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან, ილია მეორესთან და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისა და საპატივცემულო სტუმრის აღსანიშნავი ცერემონიალის გამართვის შემდეგ რომის პაპი კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს შეხვდა. სიტყვა, რომელმაც რომის პაპზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს ეკუთვნოდა.

თამაზ გამყრელიძე მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრეზიდენტად არჩევისთანავე პირველ ნაბიჯს მეცნიერებასა და რწმენას შორის არსებული იქამდე უხილავი ძაფების განმტკიცებისკენ დგამს. 2005 წლის 11 მარტს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავის საპატიო წევრად — საპატიო აკადემიკოსად ირჩევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს, რომელიც ასეთ სიტყვას წარმოთქვამს: „ეს ისტორიული აქტი, რომელიც ამ წუთებში ხდება, წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის დროს. რომაელები ამბობდნენ: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად“, თუმცა თქვენ იცით, რომ როცა დავით აღმაშენებელმა დააარსა გელათის აკადემია, მას ასეთი წოდება თუ გეგმა მისცა, რომ ის უნდა ყოფილიყო ახალი იერუსალიმი — თავისი დიდი სულიერებით და მეორე ათინა — თავისი დიდი მეცნიერებით. ჩვენი მთელი ისტორიის მანძილზე ვცდილობთ განვახორციელოთ ეს ანდერძი დიდი მეფისა“.

2 წლის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი და მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი ილია მეორე აკადემიას უცხოელ საპატიო წევრად ასარჩევად მსოფლიო პატრიარქს, მის ყოვლადწმინდესობა ბართლომეოს პირველს წარუდგენს. მსოფლიო პატრიარქს სათანადო საპატიო დიპლომს აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე გადასცემს. საპატიო სტუმარი თავის გამოსვლას თამაზ გამყრელიძეზე საუბრით ასრულებს: „ადამიანს რომ შესძლებოდა სრულყოფილი ცოდნა ჰქონოდა საგანთა და მოვლენათა შესახებ, მიხვდებოდა, რომ არსებითად არც არის წინააღმდეგობა მეცნიერებასა და რელიგიას შორის, მეცნიერებასა და ბიბლიას შორის. ამის მაგალითად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ცნობილი ენათმეცნიერის ბატონ თამაზ გამყრელიძის გამოკვლევებს დავასახელებდით. მისმა თეორიამ ინდოევროპელებისა და ინდოევროპული ენის შესახებ ახალი განზომილებები მისცა ინდოევროპელთა წარმომავლობის საკითხს. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის მათ მიერ დადგენილი საზღვრები კავკასიის სამხრეთით და მესოპოტამიის ჩრდილოეთით, სავსებით ეთანხმება ბიბლიის გენეალოგიას.“

აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ერთობლივი მოღვაწეობის ქრონიკა შორს წაგვიყვანს, თუმცა ზოგიერთი ფაქტიც ბევრის მეტყველია: აკადემიაში იქმნება ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისია, რომელსაც პატრიარქი უდგას სათავეში. უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის რჩევას, რომ აკადემიამ ერთგვარი რეკომენდაციები უნდა შეიმუშაოს საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში, აკადემია გაფართოებული საჯარო სხდომებით პასუხობს, რომელზეც სამეცნიერო პრობლემებთან ერთად ქვეყნის უსაფრთხოებისა და მისი შემდგომი განვითარების პრობლემატიკას განიხილავენ. საქართველოს პატრიარქს, რომელიც რუსეთის პატრიარქის მიწვევით 2007 წლის 4 მარტს მოსკოვში ჩადის საქართველოსა და რუსეთს შორის უკიდურესად დაძაბული ვითარების დროს, თან ახლავს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომელიც ამ ვიზიტს თავის წერილში ასე ასათაურებს: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კეთილი ნების მისია რუსეთში...“

ჯილდოები — დრო, მოვლენა, პერსონები

1988 წელი. თამაზ გამყრელიძე გახდა ლენინური პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში.

1989 წელი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. თამაზ გამყრელიძეს მიენიჭა ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემია.

1990 წელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რექტორი ნოდარ ამაღლობელი. თამაზ გამყრელიძე ივანე ჯავახიშვილის პრემიის ლაურეატი გახდა.

1999 წელი. პარლამენტარი თამაზ გამყრელიძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2000 წელი. თამაზ გამყრელიძეს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

2003-2012 წლები. „დუმილია“.

2013 წლის 13 დეკემბერი. მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა.

2016 წლის 16 აპრილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია ლადო პაპავა. უნივერსიტეტი აღნიშნავს მისი პროფესორის, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრის, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის 85 წლისადმი მიძღვნილ იუბილეს და გამოსცემს წიგნს — „თამაზ გამყრელიძე, რჩეული წერილები და გამოსვლები“. წიგნის შესავალში ასეთი აქცენტია: „პუბლიკაციებს შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ გამოვყოფდი 2005 წელს ჩვენს ერთობლივ მიმართვას საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დასაცავად და მეცნიერებათა აკადემიის მნიშვნელობის თაობაზე ჩვენი ერისა და კულტურისათვის, სადაც ჩვენ ვამბობთ, რომ მაღალი სულიერება, დიდი მეცნიერება და კულტურა ისეთივე აუცილებელი კომპონენტია წარმატებული ქვეყნის უსაფრთხოებისა, როგორიც მძლავრი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი...

ღმერთმა დალოცოს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე — დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ამჟამად უკვე საპატიო პრეზიდენტი“, — ილია მეორე — საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი.

ჩანართი მოამზადა
ნინო კაკულია

To all Persons to whom these Presents shall come
GREETING.
This Diploma Witnesseth
that Thomas V. Gamkrelidze has been duly elected a Foreign Associate
of the National Academy of Sciences of the United States of America,
in conformity with the provisions of the Charter and Constitution of said Academy, and hence is entitled to enjoy all the rights of Fellowship in said Academy with all the Liberties, Immunities and Privileges thereunto belonging. In testimony whereof, the said Academy have caused their Corporate Seal to be affixed to this Diploma and the same to be attested by the names of the proper Officers this twenty-fifth day of April, in the year of our Lord Five thousand six.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები მალე გასაჯაროვდება

მეცნიერები სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის იმ გარემოს იკვლევენ, რომელშიც ქართული უმაღლესი სასწავლებლების, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ლექტორებს უხდებათ მოღვაწეობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კვლევა, რომელიც 2014 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება. კვლევა დააფინანსა „ღია საზოგადოება — საქართველომ“ და მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები გიორგი გოგსაძე, იაგო კაჭკაჭიშვილი და ნანა მაჭარაშვილი აწარმოებენ.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 2015 წლის 31 მარტის ნომერში გამოქვეყნდა სტატია — „როგორია და როგორი უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლება“, რომელშიც ამ კვლევის შუალედური ანგარიში იყო მიმოხილული. სტატიაში, სხვა უნივერსიტეტებში არსებულ მდგომარეობასთან ერთად, წარმოდგენილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევითი გარემოს ხარვეზები და რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად.

„თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციამ კვლევის შუალედურ შედეგებში ასახული მონაცემების და მკვლევართა რეკომენდაციების შესახებ კომენტარი სთხოვა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თამარ ვეფხვაძეს.

მაია ტორაძე

— ქალბატონო თამარ, კვლევაში, რომელსაც თსუ-ის პროფესორები აწარმოებენ, მითითებულია რამდენიმე საკითხი, რომელიც, მათი აზრით, უნდა გამოსწორდეს. კერძოდ, ერთ-ერთი ხარვეზი, რაზეც ისინი მიუთითებენ, შეეხება სტუდენტთა უკუკავშირს — ანონიმურ სემესტრულ გამოკითხვას სემესტრის ბოლოს. მკვლევართა აზრით, ამ გამოკითხვის მეთოდოლოგია ხარვეზიანია, რადგან ისეთ ინდიკატორებს შეიცავს, რაც არ მიეკუთვნება სასწავლო კურსს. ეთანხმებით თუ არა შენიშვნას და თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა ამ ხარვეზის გამოსწორება?

— საზოგადოებას შევახსენებ, რომ სტუდენტთა გამოკითხვა — სასწავლო პროცესით კმაყოფილების კვლევის შესახებ — საშემოდგომო სემესტრის მიწურულს წარიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს სამივე საფეხურის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა.

ჩემთვის ცოტა გაუგებარია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელი ჩვენი პატივცემული კოლეგების შეფასება, რადგან ეს კითხვარები შემოგვთავაზა სწორედ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა. კერძოდ, ამ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დალი ოსეფაშვილი რამდენიმე ხნის წინ იმყოფებოდა ბუდაპეშტში და ესწრებოდა მიზნობრივ სამიტს ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ იქ მოიპოვეს ერთერთი ანკეტა-კითხვარის ანალოგი სტუდენტთა გამოკითხვისთვის. შემდგომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (მხედველობაში მაქვს როგორც ცენტრალური, ასევე საფაკულტეტო ოფისები) მოხდა ამ კითხვარის ადაპტირება თსუ-ის რეალიებთან. ამ პროცესში ძალიან დიდი დამსახურება აქვს როგორც საუნივერსიტეტო, ასევე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

როდესაც ჩვენ გავაანალიზეთ შედეგები რეპრეზენტატიული მასალის თვალსაზრისით, ამ ციფრმა 9 ათას სტუდენტს გადააჭარბა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სულ 21 500-მდე აქტიური სტუდენტი გვყავს, მაშინ, ცხადია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხვაში სტუდენტების 40% მონაწილეობდა, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია.

კითხვარი ახლაც ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაეცნოს. შეკითხვები ეხება სასწავლო პროცესით, ან კონკრეტული სასწავლო კურსის ლექტორებითა და სემინარის ხელმძღვანელებით სტუდენტების კმაყოფილების ხარისხს. გარდა ამისა, კომენტარებისთვის დატოვებულია თავისუფალი სივრცე, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ განათავსონ კომენტარები და გამოთქვან მოსაზრებები.

წინა გამოკითხვებისგან განსხვავებით, ამ გამოკითხვას ტექნიკური პრობლემა არ შექმნია და კვლევის შედეგებიც დროულად მივიღეთ. შედეგების რანჟირება მოხდა ფაკულტეტების მიხედვით, ხოლო ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ბაზაზე მომზადდა გაერთიანებული ანგარიში შესაბამისი რეკომენდაციებით, რომელიც ძალიან მალე გასაჯაროვდება.

მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ პედაგოგს დაურიგდა საკუთარი სასწავლო საგნით სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები. ეს გამოკითხვა არ ითვალისწინებს პედაგოგების დასჯას, ის ორიენტირებულია სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, რეკომენდაციებიც შეიცავს სასწავლო პროცესების გაუმჯობესების სურვილს, რაც ანგარიშშიც იქნება მოცემული.

— ისინი ასევე მიუთითებენ, რომ გამოკითხვის დროს არ არის უზრუნველყოფილი რეპრეზენტატულობა...

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოკითხვა რეპრეზენტატულია. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სტუდენტს ვერ ვაიძულებთ, მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვაში, თუმცა, sms.tsu.ge და ბაზა ისე არის ორგანიზებული, რომ სტუდენტი ამ პროცესს მაინც გადის. ამასთანავე, კითხვარი სტუდენტს უტოვებს მანიპულირების საშუალებას. მას შეუძლია, რომ გარკვეული კითხვები გამოტოვოს. კითხვარი შევსებულად ითვლება, თუ ის საჭირო ინფორმაციის შემცველი იქნება.

— შუალედურ ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციებში ასევე მითითებულია, რომ გამოკითხვის მონაცემები უნდა გაანალიზდეს სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, როგორიცაა, მაგალითად, სტუდენტის აკადემიური მოსწრება. რამდენად შესაძლებელია და რა შედეგს მოგვცემს ამ ტიპის ანალიზი?

— როგორც აღვნიშნე, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის, ასევე, დოქტორანტურის სტუდენტებმაც, გასაჯაროებულ დოკუმენტში, რომელიც მალე გამოქვეყნდება, გაეცნობით, თუ რა ხვედრითი წილი აქვთ ამა თუ იმ მიმართულების სტუდენტებს გამოკითხვაში. ციფრები კონკრეტულად არის მითითებული და დაჯგუფებული პროცენტების მიხედვით.

თამარ ვეფხვაძის პასუხი თსუ-ში სასწავლო-კვლევითი გარემოს ხარვეზებზე და მათ გამოსასწორებლად შემუშავებულ რეკომენდაციებზე

რაც შეეხება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მიხედვით გამოკითხვას, ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და ამას მომავლისთვის ვგეგმავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვა იყო მოთელვითი ხასიათის, რის შედეგადაც გამოვავლინეთ ის მგრძნობიარე საკითხები, რაზეც ყურადღებას აუცილებლად გავამახვილებთ. მომავალში სტუდენტის აკადემიური მოსწრება ანგარიშგასაწევი იქნება, რადგან ეს სასწავლო კურსის ეფექტურობის გაზომვის ერთერთი საშუალებაა.

— არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რეკომენდაციას, რომელიც შეეხება სტუდენტთა შეფასების ჩართვას აკადემიურ კონკურსებზე პროფესორთა შესარჩევ კითხვარებში... გათვალისწინებულია თუ არა ეს მომავალ აკადემიურ კონკურსებში და რა ფორმით გეგმავთ გამოკითხვის შედეგების ასახვას კონკურსანტის შერჩევის პროცესში?

— ჩვენ მივესალმებით გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებას აკადემიურ კონკურსებზე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული პროფესორის შედეგი გასაჯაროვდეს. ეთიკის საკითხია, რომ ნებისმიერმა პედაგოგმა თავად იზრუნოს მიღებული შენიშვნების გათვალისწინებაზე და ეს კოლექტიური მსჯელობის საგანი არ გახდეს, მაგრამ თუ გამოკითხვებში წლიდან წლამდე ერთი და იგივე ტიპის შენიშვნა ან რეკომენდაცია დაფიქსირდება, ამას უსათუოდ გაითვალისწინებს საკონკურსო კომისია. ასეთი ჩანაფიქრი გვაქვს.

— შუალედურ ანგარიშში საუბარია ასევე თავისუფალი კრედიტების და არჩევითი საგნების პრობლემაზეც... რა მდგომარეობაა ამ მხრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — რამდენადაა გათვალისწინებული საგნის არჩევის თავისუფლება?

— უდავოა, სტუდენტს უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. რაც უფრო მეტია არჩევითი კურსების პალიტრა, მით მეტი საშუალება აქვს მას, გაიფართოვოს ცოდნის არეალი. ჩვენი აკადემიური პროგრამები ისეა დაბალანსებული, რომ გვაქვს საფაკულტეტო-სავალდებულო კურსები, რის გარეშეც კვალიფიკაციის მინიჭება ვერ მოხდება, გვაქვს საფაკულტეტო-არჩევითი კურსები, რომელიც საბოლოოდ გააღრმავებს და ხელს შეუწყობს სტუდენტის ცოდნის დონის ამაღლებას და ასევე გვაქვს თავისუფალი არჩევითი საგნებიც...

თუ რაოდენობრივ მაჩვენებელს გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ ზოგიერთი არჩევითი კურსი, იმ მაჩვენებლების მიხედვით, თუ რამდენი სტუდენტია მასზე დარეგისტრირებული, არაა ეფექტური. ამდენად, გამოსაკვლევია, ხომ არ არის მიმართულებებზე ისეთი კურსები, რომლებზეც სტუდენტების რეგისტრაცია ნომინალურია. თუ ასეთი კურსი არის, ის უნდა ჩანაცვლდეს უფრო ეფექტური სასწავლო კურსით. ჩვენს მიზნებში არ შედის თავისუფალი არჩევითი კურსების შეზღუდვა, რადგან ეს არის სტუდენტის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

2015 — მეცნიერების წელი

მარტო შარშან ტომსონის ბაზაში მითითებულ ჟურნალებში ჩემი 9 სტატიაა გამოქვეყნებული

უშანგი გოგინავა, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკური ანალიზის მიმართულების სრული პროფესორი — არის 140-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, 2003 წლიდან დღემდე აქტიურად არის დაკავშირებული უნგრეთის და სომხეთის მათემატიკურ სამეცნიერო ჯგუფებთან და კითხულობს ლექციებს მათემატიკურ ანალიზში. 2007 წლიდან, მეცნიერთა ჯგუფებთან ერთად, მუშაობდა 5 სამეცნიერო გრანტზე. ამჯერად შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნირო ფონდის დაფინანსებით კიდევ 2 კვლევას ახორციელებს.

უშანგი გოგინავას სამეცნიერო სტატიები (უცხოელ მეცნიერთა ჯგუფებთან ერთად) იბეჭდება ევროპისა და ამერიკის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში მისი H ინდექსი Thomson Reuters-ის Web of Science-ის მიხედვით არის 8; ხოლო Scopus-ის მიხედვით – 9.



— ბატონო უშანგი, თქვენ სტუდენტობის პერიოდიდანვე დაიწყეთ სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. ეს იმ პერიოდში არც ისე ადვილი საქმე იყო. როგორ მოახერხეთ ადრეული ასაკიდანვე გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე?

— ეს არ იყო მხოლოდ ჩემი დამსახურება. ამაში ორ ადამიანს მიუძღვის დიდი წვლილი, ესენი იყვნენ უდიდესი მათემატიკოსები: ჩემი მასწავლებელი — ბატონი ლევან ჟიჟიაშვილი და ჩემი ხელმძღვანელი — პროფესორი გიორგი ტყებუჩავა (ისინი ძალიან ადრე წავიდნენ ამ ქვეყნიდან).

მე წარმოშობით აფხაზეთიდან ვარ. სოხუმის უნივერსიტეტში ვაბარებდი და პირველ წელს ვერ მოვხვდი. მერე, იქაურების რჩევით, თბილისში ჩამოვედი და აქ ჩავაბარე.

სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება სტუდენტობიდანვე დავიწყე, თუმცა ხელი შემიშალა აფხაზეთის ცნობილმა მოვლენებმა. 1993 წელს, სოხუმის დაცემის შემდეგ, მეც სხვებივით მომიწია უღელტეხილიდან გადმოსვლა. აქ რომ ჩამოვედი, ასპირანტურაში მიღება უკვე დამთავრებული იყო. არანაირი პირობები არ მქონდა — არც თავშესაფარი, არც ის ვიცოდი, ჩემი მშობლები სად იყვნენ (გადმოსვლისას დავიფანტეთ. აქ რომ ჩამოვედი, რამდენიმე დღე და ღამე ვეძებე ჩემები. ვიღაცამ მითხრა — დაიხოცნენო, მერე კი აღმოჩნდა, რომ იქ დარჩნენ და მხოლოდ ორი თვის მერე მოვახერხეთ გადმოყვანა, თუმცა მამა ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა — ძალიან ინერვიულა, რომ ამდენი ხნის ცხოვრების შემდეგ აღარც სახლი ჰქონდა და ჩაის ხის ჩხირებით ურევდა).

მახსოვს, აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ ბატონი ლევან ჟიჟიაშვილის ოთახში რომ შევედი, ჯერ გაუხარდა, რომ დამინახა, მერე კი მკითხა, მინდოდა თუ არა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება. ჩემი თანხმობის შემდეგ, რახან მიღება უკვე დამთავრებული იყო, თავად შევიდა მაშინდელ რექტორთან, როინ მეტრეველთან და რიგგარეშე მიაღებინა ჩემი თავი. დღეს მე სიამაყით ვამბობ, რომ აკადემიკოს ლევან ჟიჟიაშვილის სკოლა გავიარე. ბატონი ლევანი იყო ბრწყინვალე ადამიანი და მეცნიერი. ეს ის დრო იყო, როცა თბილისში ტრანსპორტი თითქმის არ დადიოდა, მაგრამ ოთხშაბათ დღეს, ყველა შემთხვევაში — ქარში, სიცივეში, წვიმაში ტარდებოდა მისი სემინარები, რომელზეც ვსაუბრობდით იმ შედეგებზე, რომელიც ჩვენს კვლევებში გვქონდა. ბატონი ლევანი მორწმუნე ადამიანი იყო და ის სემინარები მარტო მათემატიკას კი არა, სხვადასხვა ტიპის საინტერესო თემებს ეხებოდა.

შემდეგ იყო ჩემი ხელმძღვანელი, უდიდესი მათემატიკოსი და თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანი — გიორგი ტყებუჩავა, რომელიც, ბატონ ლევანთან ერთად, ძალიან დიდ სტიმულს მაძლევდა. მაგალითად, ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ყაზახეთში წავედი სამუშაოდ, რადგან აქ არაფერი არ გამაჩნდა. იქ დამიკავშირდნენ ბატონი გიორგი და ბატონი ლევანი და მითხრეს, თუ მათემატიკას გინდა გაჰყვე, უნდა ჩამოხვიდე და მიხედო ამ საქმესო. გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი და გამეგრძელებინა მუშაობა, რაშიც დედამ ძალიან შემიწყო ხელი. სამწუხაროდ, ბატონი ლევანი და ბატონი გიორგი ერთ პერიოდში, 2006 წელს, გარდაიცვალნენ და ძალიან დამაკლდნენ თავიანთი პროფესიონალიზმით და რჩევებით.

1996 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია და გავაგრძელე მოღვაწეობა მათემატიკის განხრით. თავდაპირველად ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. 3 წელში უკვე სადოქტორო დისერტაციაც მზად მქონდა და 2000 წელს წარვადგინე დასაცავად. შემდეგ კი, თსუ-ში გადმოვედი და მას შემდეგ აქ ვმუშაობ. მაშინ ჩემი სამეცნიერო თემატიკა იყო ფურიეს ანალიზი, რომლის ძალიან კარგი სკოლა არსებობს საქართველოში.

რაც შეეხება უცხოეთში სტატიის გამოქვეყნებას, ადრე ეს მართლაც ძალიან ძნელი იყო და ძირითადად რუსულ ჟურნალებში ვაქვეყნებდით. 2000 წლიდან თავად დავიწყე ძიება გზებისა, თუ როგორ შეიძლებოდა უცხოეთში გამომექვეყნებინა სტატია. მინდა აღვნიშნო, რომ პირველად ამ გზის გაკვალვაში დამეხმარა თსუ-ის ასოცირებული პროფესორი მალხაზ ბაკურაძე. პირველი სტატია იაპონიაში სწორედ მან გამაგზავნინა. ეს სტატია გარკვეული ხნის შემდეგ დაიბეჭდა და დიდად განსაზღვრა ჩემი მომავალიც.

2003 წელს მომივიდა წერილი უნგრეთიდან. უნგრელ მეცნიერთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი მწერდა და თანამშრომლობას მთავაზობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ თავად დააფინანსეს ჩემი უნგრეთში ჩასვლა და ცხოვრება (5 წელი მაფინანსებდნენ). იქ თემატიკა უკვე სხვა იყო — ორობითი ანალიზი, რომელიც ეხება სიგნალების ისე წარმოდგენას, რომ ფუნქციამ მიიღოს მხოლოდ 2 მნიშვნელობა. ეს დაკავშირებულია სიგნალების ციფრულ გავრცელებასთან.

— ეს თანამშრომლობა დღესაც გრძელდება?

— დიახ, გრძელდება და საკმაოდ ღრმა ურთიერთობებსაც ჩაეყარა საფუძველი. დღეისათვის, უნგრელ მეცნიერთა ამ ჯგუფთან ერთად, 30-ზე მეტი სტატია მაქვს გამოქვეყნებული. მაქვს ასევე ძალიან მჭიდრო ურთიერთობები სომეხ მეცნიერებთან, რომლებთან ერთადაც 20-მდე ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული. ვმუშაობ კლასიკურ ფურიეს ანალიზის პრობლემებზე, რომელიც 1970-იანი წლების შემდეგ ღია არის.

ასეთი საერთაშორისო თანამშრომლობა ძალიან ნაყოფიერია — მათგან მოგაქვს იდეები, მერე შენსას ამატებ და იქმნება საინტერესო მიგნებები და ამოხსნები.

— სად ქვეყნდება თქვენი სამეცნიერო სტატიები და რა მონაცემებს ფლობთ ამ დროისათვის?

— მარტო შარშან ტომსონის ბაზაში მითითებულ ჟურნალებში ჩემი 9 სტატიაა გამოქვეყნებული. სულ ამ ბაზაში დაფიქსირებულ ჟურნალებში 100-მდე სტატია მაქვს.

რაც შეეხება სხვა საერთაშორისო ჟურნალებს, მათ შორის AMC-ის (ამერიკის მათემატიკოსთა საზოგადოების) ჟურნალებს, 135-მდე სტატია მაქვს გამოქვეყნებული.

ჩემთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ჟურნალების სამეცნიერო ხარისხს, რომელშიც ვაქვეყნებ მასალებს. მაგალითად, შარშან გამოქვეყნდა ორი სტატია ამერიკულ ჟურნალებში, რომლებიც მსოფლიოს მაღალრეიტინგული ჟურნალების 30-ეულში შედის. აქ საკმაოდ ძნელია დაბეჭდვა. სტატიებს თითქმის არ იღებენ, მაგრამ, თუ მიიღეს, მალევე აქვეყნებენ და ეს ორი სტატია, რომელიც სომეხ და უნგრელ კოლეგებთან ერთად გავაკეთე და გავგზავნე, ორ თვეში უკვე დაიბეჭდა, რაც წარმოუდგენელი რამაა (1. G. Gat , U. Goginava and G. Karagulyan , On everywhere divergence of the strong Phi-means of Walsh–Fourier series. *J. Math. Anal. Appl.* **421** (2015), no. 1, 206--214. 2. G. Gat, U. Goginava, and G. Karagulyan, Almost everywhere strong summability of Marcinkiewicz means of double Walsh-Fourier series.*Anal. Math.* **40** (2014), no. 4, 243--266. 3. G. Gat and U. Goginava, Triangular Fejer Summability of Two-Dimensional Walsh-Fourier series, Anal. Math. 40 (2014), no. 2, 83--104. G. Gat, U. Goginava, and G. Karagulyan, A remark on the divergence of strong power means of Walsh-Fourier series, Mathematical Notes November 2014, Volume 96, Issue 5-6, pp 897-903; U. Goginava, L. Gogoladze and G. Karagulyan, BMO-estimation and almost everywhere exponential summability of quadratic partial sums of double Fourier series. *Constr. Approx.* 40 (2014), no. 1, 105–120. U. Goginava and L. Gogoladze, Strong approximation by Marcinkiewicz means of two-dimensional Walsh-Fourier series. *Constr. Approx.* 35 (2012), no. 1, 1–19.)

რაც შეეხება ციტირების ინდექსს, დღეს ითვლიან H ინდექსებს. ეს მაჩვენებელი, ტომსონის მიხედვით, მაქვს — 8, ხოლო სკოპუსის მიხედვით – 9; ტომსონში 200-დეა ციტირების ინდექსი, სკოპუსში — 250-მდე, ხოლო თუ Google Scholar-ის მიხედვით ციტირების ინდექსით დაინტერესდებით, ეს 400-მდეა.

— უნდა ვახსენოთ თქვენი დოქტორანტები და ბაკალავრიატის სტუდენტები, რომლებთან ერთადაც მუშაობთ და დიდი წარმატებებიც გაქვთ. რა მეთოდით მუშაობთ მათთან, როგორ აღწევთ ასეთ წარმატებებს, მაშინ, როცა დღეს ყველა იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდობას მეცნიერება აღარ უნდა...

— იმავე მეთოდით ვმუშაობ, რა მეთოდითაც ჩემი მასწავლებლები მუშაობდნენ ჩემთან. მათ მარტო მათემატიკას არ ვასწავლი, მე მათ ვასწავლი, იყვნენ გუნდი და უყვარდეთ ერთმანეთი. მათემატიკა იმხელაა, ყველას ეყოფა საკვლევად, მთავარია ნიჭი, მონდომება, შრომა და თანამედროვე მოთხოვნებისთვის ფეხის აწყობა. დღეს თუ უცხო ენა არ იცი და მათემატიკურ კომპიუტერულ პროგრამებს არ ფლობ, არაფერი გამოგივა, ამდენად ვაკვირდები, რომ ჩემი სტუდენტები ამ გზას არ ასცდნენ.

რაც შეეხება ჩემს სტუდენტებს, მონდომებული და ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. მათთვის კვირაში ორჯერ ვატარებ სემინარებს. 2 წელია მათთან ვმუშაობ და უკვე გამოქვეყნებული აქვთ სტატიები. ამ სემინარებზე ერთ დღეს ვარჩევთ ახალ წიგნებს, მეორე დღეს უკვე ამოცანებს ვსვამთ და ვხსნით... ისინი უკვე მყავდა სომხეთში სემინარებზე და იქ წაიკითხეს მოხსენებები, მაისში კი ეს ჯგუფი უნგრეთშიც მიმყავს (აქ უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ფაკულტეტის დეკანი ძალიან დამეხმარა სტუდენტების დაფინანსებაში). მათ ხშირად ვახსენებ ხოლმე ჩემი დოქტორანტის — გიორგი ტეფნაძის მაგალითს. ისიც მე წავიყვანე პირველად უნგრეთში. ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით და დილით თვალებდაწითლებული შემოდიოდა, უძინარი — რომ ვკითხე, რატომ არ გძინავს-მეთქი, მიპასუხა, იმ სემინარებზე რომ ამოცანებს მაძლევთ, ისინი ხომ უნდა ამოვხსნა და ღამე ვმუშაობო... ჩემი თავი გამახსენდა, მეც ასე ვიყავი – სანამ დასმულ ამოცანას არ ამოვხსნიდი, არ ვეშვებოდი. გიორგი დღეს უკვე თავად სვამს ამოცანას და ხსნის კიდეც... უნგრელები აქეთ მთხოვენ — კიდევ ჩემოიყვანეო.

მინდა, ახალგაზრდები გაიზარდნონ არა მხოლოდ იმისთვის, რომ დისერტაცია დაიცვან, არამედ, თანამედროვე ტიპის მოაზროვნე მეცნიერებად ჩამოყალიბდნენ. ასეთი იყო ჩემი ხელმძღვანელი, ბატონი გიორგი ტყებუჩავა და ასე მინდა დავეხმარო მეც ჩემს მოსწავლეებს.

ესაუბრა **მაია ტორაძე**

გამოიცა ქართულ-მეგრულ-სვანურ-ლაზურ-ინგლისური ლექსიკონი

14 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხუთენოვანი (ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური) ლექსიკონის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოში შვეიცარიის სრულუფლებიანი ელჩი გიუნტერ ბეხლერი, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების ოფისის რეგიონული დირექტორი რუდოლფ შოხი, სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ლექსიკონი ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე მომზადდა. იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია თსუ-ის პროფესორი **რამაზ ქურდაძე**. *მისი ინგლისური ვერსია მოამზადა* **თამარ გელაშვილმა**, *ქართველოლოგიური ნაწილის რედაქტორია* **ზურაბ ჭუმბურიძე**, *ინგლისური ნაწილისა —* **ირინა გველესიანი**, *ხოლო ლექსიკონის ექსპერტები არიან —* **მაია ლომია, ომარ მემიშიში** *და* **ქეთევან მარგიანი-სუბარი**.

გამოცემა განხორციელდა სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

მაია ტორაძე



შესავალ ნაწილში, რომელიც ლექსიკონს ახლავს, ნათქვამია, რომ „გამოცემა 10 წლის განმავლობაში მესამე სამეცნიერო პროექტია, რომელიც საქართველოში შვეიცარიის საელჩოს თანადგომით შესრულდა. 2006-2007 წლებში გამოიცა თეორიული და პრაქტიკული კურსი კოლხურ (მეგრულ-ლაზურ) და სვანურ ენებში მცირე ლექსიკონით. ამ გამოცემათა სერიის გაგრძელებაა წინამდებარე ლექსიკონი, რომელიც მოიცავს სამხრეთ კავკასიის ოთხი მონათესავე ენის 6000-მდე ლექსიკურ ერთეულს ინგლისური თარგმანით. მისი ბეჭდურად გამოცემა ძალიან აქტუალურია, რადგან, ერთი მხრივ, წარმოაჩენს ქართველური ტომების ერთიანობა-სიახლოვის სურათს, ხოლო, მეორე მხრივ – ქართველურ ენებში არამონათესავე ენების (რუსულის, ბერძნულისა და თურქულის) გავლენის კვალს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს უმწერლობო ქართველური ენების ლექსიკის არა მარტო შესწავლას, არამედ მოხმარების გააქტიურებასაც, რაც გარკვეულ შემთხვევებში თავიდან აგვაცილებს ამა თუ იმ ძირძველი ქართველური ლექსემის დავიწყებასა და გაუჩინარებას“.

ნაშრომი არის პირველი ცდა ერთდროულად ყველა ქართველური ენის ლექსიკის წარმოდგენისა ინგლისური თარგმანით. ქართველურ ენათაგან ამოსავალია ქართული ენის მონაცემები, შემდეგ მოცემულია სხვა ქართველური ენების შესაბამისი ნიმუშები და ბოლოს ინგლისური შესატყვისები. ამ კუთხით ლექსიკონი შეძლებს მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესის დაკმაყოფილებას როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთშიც.

ლექსიკონი განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო წრისთვის, მასში მოცემული არ არის ლექსიკურ ერთეულთა გრამატიკული კვალიფიკაცია. ასევე არ არის მითითებული უცხო ენიდან შემოსული სიტყვების წარმომავლობა დიდი ხნის ნასესხობებთან, რომელთაც საუკუნეების წინ შეავსეს ქართველური ლექსიკური ფონდი.

პროექტის ხელმძღვანელის, პროფესორ რამაზ ქურდაძის შესავალ ნაწილში, რომელიც ხუთენოვან ლექსიკონს ახლავს, მოცემულია პრინციპები, რომლითაც შეირჩა ლექსიკური ერთეულები. კერძოდ, ნათქვამია, რომ: „ლექსიკონში სვანური მასალა ბალსზემოურ კილოს (უპირატესად უშგულურ კილოკავს) ეყრდნობა, რომელიც გამოირჩევა არქაულობით. ლექსიკონში ხშირად პარალელურად ან დამოუკიდებლად დაფიქსირებულია ზემოსვანურის უფრო გავრცელებული გრამატიკული ფორმა თუ ლექსემა მესტიურ-მულახური კილოკავიდან. ქართულ და ინგლისურ მონაცემებთან უფრო სრული ნიუანსური თანხვედრის მისაღწევად მოხმობილია სხვა დიალექტების მონაცემებიც.

მეგრული ლექსიკა წარმოდგენილია სამივე არეალის (აღმოსავლურის, ცენტრალურისა და დასავლურის მიხედვით, თუმცა უპირატესობა მიენიჭა დასავლურს ანუ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოს, რადგან ძირძველი ლექსიკა იქ უკეთ არის შენახული. გარდა ამისა, ქართულიდან შესულ ლექსემებში სრულყოფილად არის ასახული მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები — მეტათეზისი, ბგერის განვითარება და სხვ.; ასევე, ზმნური მოდელები ნაკლებად ტრანსფორმირებულია.

ლაზური მასალა მოხმობილია ძირითადად ხოფური კილოს მიხედვით, რაც განპირობებულია იმით, რომ ხოფური კილოს სარფული მეტყველება უკეთ წარმოაჩენს ქართულთან საერთო ელემენტებს.

ქართველურ ენებში ზმნა მოცემულია საწყისის ფორმით, ხოლო ინგლისურში — ინფინიტივით“.

პირველი ხუთენოვანი ლექსიკონის გამოსვლის პრეცედენტს მაღალი მეცნიერული შეფასება მისცა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ. მხარდაჭერისა და ფინანსური უზრუნველყოფისათვის მან მადლობა გადაუხადა შვეიცარიის საელჩოს, საქართველოში შვეიცარიის სრულუფლებიან ელჩს, გიუნტერ ბეხლერს და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების ოფისის რეგიონულ დირექტორს რუდოლფ შოხს. „ეს ლექსიკონი ჩვენი ლინგვისტური მეცნიერების ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოპოვებული ცოდნის აკუმულირებას წარმოადგენს. მასში თავმოყრილია დიდძალი მასალა, რომელზეც ჩვენი ქართველოლოგები, როგორც უცხოელი, ისე ქართველები, ათეული წლების განმავლობაში მუშაობდნენ, ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევაც ერთგვარ ანუ პარალელურ სიტყვებს ქართველურ მონათესავე ენებში,“ — განაცხადა მან და აქვე აღნიშნა, რომ 14 აპრილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველური ენების ლექსიკონის პრეზენტაციას, რადგან ეს დღე 1978 წლის 14 აპრილიდან აღინიშნება, როგორც ქართული ენის დღე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ხუთენოვანი ლექსიკონი სამაგიდო წიგნი გახდება ძალიან ბევრი დარგის სპეციალისტისთვის, რადგანაც მასში თავმოყრილია უნიკალური ინფორმაცია: „მიუხედავად იმის, რომ ქართულ-ინგლისური ლექსიკონებით ვერავის გავაკვირვებთ, ასე მთლიანობაში წარმოდგენილი ქართველური ლექსიკა და მათი ბმა ინგლისურ ენასთან უნიკალურობას სძენს ამ გამოცემას“, — აღნიშნა მან და აქვე მისივე ინიციატივით დაარსებული „რექტორის სტიპენდია“ გადასცა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს ანა სვიმონიშვილს, რომელიც საუკეთესო აკადემიური მაჩვენებლებისათვის სტიპენდიას ერთი სემესტრის განმავლობაში მიიღებს.

ლექსიკონის იდეის ავტორმა, თსუ-ის ქართული ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რამაზ ქურდაძემ მოკლედ ისაუბრა იმ ეტაპებზე, რომელიც ლექსიკონის გამოცემას წინ უძღოდა. „ლექსიკონის შედგენის იდეა გაჩნდა ჭავჭავაძის პროსპექტზე სეირნობის დროს. ერთ-ერთ ბუკინისტურ მაღაზიაში ვნახე გერმანულ-ინგლისურ-ფრანგულ-ესპანური ლექსიკონი და ვიფიქრე, რატომ არ უნდა ყოფილიყო ასეთი ქართული ლექსიკონი, რომელშიც იქნებოდა ქართული, მეგრული, სვანური და ლაზური — შესაბამისი თარგმანით ინგლისურ ენაზე. წიგნის შექმნაში მონაწილეობდა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 10 სპეციალისტისაგან და რომლებმაც მასალა შეკრიბეს. პირველი გახლდათ ქართული ინდექსი, რომელიც მე შევადგინე ქართული ენის განმარტებით რვატომეულ ლექსიკონსა და ქართულ ლექსიკონზე დაყრდნობით. მეგრული ნაწილი შეკრიბა დოდო შონიამ, სვანური — ლელა ნიჟარაძემ, ლაზური ნაწილი კი — ლილე თანდილავამ. შემდეგ ჩვენივე ფაკულტეტის თანამშრომლის თამარ გელაშვილის მიერ ლექსიკური ერთეულები ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ლექსიკონს ჰყავს რედაქტორები და ექსპერტები. ამ ლექსიკონში შევიდა მხოლოდ 6 ათასამდე სიტყვა. ჩვენ მოვაგროვეთ 11 500 სიტყვა, რომელთა ელექტრონული ვერსიაც გვაქვს, მაგრამ ის ნაწილი ჯერ არ არის გადამუშავებული. ვვარაუდობთ მუშაობის გაგრძელებას და ელექტრონული ლექსიკონის შექმნასაც“, — განაცხადა რამაზ ქურდაძემ.

ლექსიკონის შექმნას დიდი მნიშვნელობის მოვლენა უწოდა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ. „ეს არის დიდი ეტაპის დასასრული, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია განვსაჯოთ, თუ რაოდენ დიდი სამუშაო არის უნივერსიტეტში ჩატარებული. უნდა შეგახსენოთ, რომ ქართველური ენების შესწავლა უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იყო მისი დამაარსებლების ყურადღების ცენტრში. 1920 წელს აკაკი შანიძე, პირველ ექსპედიციაში სამეგრელოსა და სვანეთში, უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის დავალებით გაემგზავრა. ქართველოლოგიური მუშაობა უნივერსიტეტში და იმ დაწესებულებებში, რომლებიც უნივერსიტეტის საფუძველზე წარმოიშვა, წლები გრძელდებოდა და ძალიან ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ რამდენიც არ უნდა გაკეთდეს ენის შესწავლის თვალსაზრისით, შეუძლებელია დასასრული ჰქონდეს, რადგან ენა არის ცოცხალი ორგანიზმი. ქართულს დიდი მწიგნობრული ტრადიცია აქვს, ის 1500 წლისაა, მაგრამ უმწერლობო ენებს ჩვენში საფრთხე ემუქრება, ეს ძალიან სერიოზული საკითხი გახლავთ. ქართველური ენები მნიშვნელოვანი არის არა მხოლოდ წმინდა აკადემიური თვალსაზრისით, ქართველოლოგიური მუშაობა საჭიროა იმისთვის, რომ სწორად განვსაზღვროთ ამ ენების ადგილი საერთო კულტურაში“, — აღნიშნა მან.

პროფესორმა დამანა მელიქიშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ლექსიკონი პრაქტიკული თვალსაზრისით არის ძალიან სასარგებლო, ყოფითი თვალსაზრისით კი, ნებისმიერი მომხმარებელი, რომელსაც გარკვეული ენათმეცნიერული ინტერესები აქვს, ამ ხუთ გრაფაში საინტერესო სურათს დაინახავს. „მე ვხედავდი, როგორ მუშაობდა სარედაქციო ჯგუფი, როგორ ამოხეთქა თანამშრომლებს შორის მეცნიერულმა ჟინმა, როგორ უშურველად და დიდი მისწრაფებით ისხდნენ მთელი თვის განმავლობაში და რა დიდი ენთუზიაზმით მიდიოდა მუშაობა. ეს იყო სწორედ უნივერსიტეტის გამოღვიძება“, — აღნიშნა დამანა მელიქიშვილმა.

ლექსიკონის სამეცნიერო ღირებულებაზე გაამახვილა ყურადღება აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა. „ლექსიკონში, რომელიც ხუთენოვანია, მნიშვნელოვანი შრომაა ჩადებული მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ეს არის გამოხატულება მსოფლიო პოლიტიკისა ენების დაცვის თვალსაზრისით. ამავე დროს, აუცილებელია ვთქვათ, რომ ასეთივე პოლიტიკა არის შესამუშავებელი სახელმწიფო ენის კუთხითაც. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ნაკლებად მიმდინარეობს მუშაობა“, — განაცხადა მან.

გერმანიის ქალაქ ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორმა მანანა თანდაშვილმა ხაზი გაუსვა რამდენიმე გარემოებას: „უპირველეს ყოვლისა, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც დამწერლობის არმქონე ენების ამ დონეზე შეკრება და ლექსიკონის სახით გამოცემა ხდება. მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს ლექსიკონები მაგრამ, სამწუხაროდ, როდესაც თუნდაც სტუდენტებთან ან კოლეგებთან მისი გამოყენება გვჭირდება, ამ გარემოებას ხელს უშლის ის, რომ ისინი არ არის თარგმნილი ინგლისურ ენაზე. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართველური ენების მასალა არის დაჯგუფებული და ნათარგმნი, რაც ხელმისაწვდომს გახდის და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მიმოქცევას გაუადვილებს ამ ლექსიკონს“, — აღნიშნა მან.

ამავე ასპექტზე გაამახვილა ყურადღება თსუ-ის პროფესორმა ალექსანდრე კარტოზიამ და განსაკუთრებით გამოკვეთა ლექსიკონის მნიშვნელობა ლაზურენოვანი მოსახლეობისთვის. „პირადად ვიცი, არაერთ ადამიანს, რომელიც თურქეთის ლაზეთში ჩადის, უნდა იქაურებთან საუბარი, ლაზებსაც ბიძაშვილებად მიაჩნიათ ქართველები, მაგრამ ენის ბარიერი ხელს უშლის მათ. ასეთი ლექსიკონი ძალიან კარგი რამ არის ამ კომუნიკაციის გასაღვივებლად. პირადად მაქვს ნანახი, როგორ დაჟინებით უარობდა ლაზურის ერთერთი მკვლევარი, რომ ლათინური შრიფტით გამოეცა საკუთარი ხელით ჩაწერილი ლაზური ტექსტები. მას უნდოდა, ქართულად გამოეცა ისინი, რომ ლაზებს სცოდნოდათ — მათი ენა ჩაიწერება, იწერება და შეიძლება იწერებოდეს ამ ანბანით. სხვათაშორის, იზმირის ბაზრობაზე ლაზები იპარავდნენ ამ წიგნს, აჩვენებდნენ თანამოქალაქე თურქებს და ეუბნებოდნენ, რომ მათაც აქვთ წიგნი. აი, ამ კუთხითაც ძალიან მნიშვნელოვანია ეს გამოცემა“, — განაცხადა ალექსანდრე კარტოზიამ.

ლექსიკონის პრეზენტაციაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ასევე საქართველოში შვეიცარიის სრულუფლებიანმა ელჩმა გიუნტერ ბეხლერმა და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების ოფისის რეგიონულმა დირექტორმა რუდოლფ შოხმა. მათ აღნიშნეს, რომ ამ თანამშრომლობით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოსა და შვეიცარიის მეგობრობას.

პრეზენტაციაზე გამოითქვა სურვილი, რომ ხუთენოვანი (ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური) ლექსიკონის ელექტრონული ვერსია მალე შეიქმნას და მას დაემატოს ის ლექსიკური მასალა, რაც დაბეჭდილ ვარიანტში ვერ მოხვდა.

„ფისკალური მდგრადობის დიაგნოსტიკა და ფისკალური რისკების მართვა“

„პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“

თამარ დადიანი

 განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, დღეს, საქართველოს ჰაერივით სჭირდება იმის მკაფიო ხედვა, თუ რას ნიშნავს ეკონომიკური განვითარება და რა შედეგები უნდა მოუტანოს მან საზოგადოებას. ამ საკითხებზე დისკუსიებისა და მსჯელობის მიზნით დაარსდა თსუ-ის რექტორის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი „პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან”.

სემინარებზე გამოთქმული განსხვავებული პოზიციების მქონე ადამიანების შეხედულებების ანალიზი საინტერესოა არა მარტო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, არამედ ყველა იმ სპეციალისტისთვის, ვინც ეკონომიკის განვითარების საკითხებითაა დაინტერესებული.

„მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეხვედრების მიმართ, სამეცნიერო საზოგადოების დაინტერესება გაიზარდოს. ვფიქრობთ, ეს აქტივობა გამოაცოცხლებს ეკონომიკურ აზრს და გაიზრდება ყველა იმ მკვლევარის დაინტერესება, ვინც ეკონომიკაში და მასთან დაახლოებულ სფეროში მუშაობს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ.

„პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან” ფარგლებში, დღემდე, რამდენიმე საინტერესო სემინარი გაიმართა, რომელიც ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს შეეხო. ერთ-ერთი ასეთი სემინარი 3 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა. პროფესორმა მარინა მუჩიაშვილმა, საჯარო ლექცია გამართა თემაზე „ფისკალური მდგრადობის დიაგნოსტიკა და ფისკალური რისკების მართვა“.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, კოლეგებთან, რომლებსაც უდიდესი გამოცდილება აქვთ. ასეთი ფართო აუდიტორიისთვის ჩემი მოსაზრებების გაცნობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მათგან ბევრ საინტერესო შენიშვნას და მოსაზრებას მოვისმენ, რაც სამეცნიერო მუშაობის დროს დამეხმარება“, — განაცხადა მარინა მუჩიაშვილმა.

პროფესორმა უნივერსიტეტის დოქტორანტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ფისკალური სტაბილურობის, ფისკალური რისკების გამოვლენისა და მართვის მნიშვნელობა გააცნო.

როგორც მოგეხსენებათ, ფისკალური სტაბილურობა აუცილებელი პირობაა ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. ბოლო წლების მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა ფისკალური მდგრადობის შესწავლა. რამდენიმე განვითარებული ქვეყანა დეფოლტის წინაშეც კი აღმოჩნდა. მსგავსი სცენარი რომ არ განმეორდეს, საჭიროა წინასწარ შეფასდეს ქვეყნის გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობა, რამდენად მზად არის ქვეყნის ეკონომიკა უპასუხოს შესაძლო ნეგატიურ გამოწვევებს. როგორც პროფესორმა მარინა მუჩიაშვილმა აღნიშნა: „ფისკალური მდგრადობა გულისხმობს ისეთ ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც თავსებადია მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და ზრდასთან. მისთვის დამახასიათებელია: ინფლაციის დაბალი დონე; ვალის მდგრადობა; პრო-ციკლური პოლიტიკის თავიდან აცილება; საშუალოვადიანი ზრდა.

ინფლაციის მაღალი დონე, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, ფინანსური კრიზისი, დაბალი კერძო ინვესტიციები, პროციკლური პოლიტიკა (მაგალითად, მაღალი დანახარჯები, როცა შემოსავლები მაღალია), ზედმეტად გამყარებული გაცვლითი კურსი არამდგრადი ფისკალური პოლიტიკის სიმპტომებია.

ფისკალური მდგრადობა არის სახელმწიფოს უნარი შეინარჩუნოს მისი მიმდინარე ხარჯები, საგადასახადო და სხვა პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში, სახელმწიფოს გადახდის უნარიანობისთვის საფრთხის წარმოქმნის, ან მისი ცალკეული სახის ვალდებულებებზე და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების (მ.შ. საპენსიო, ჯანდაცვისა და სხვა) გაწევაზე უარის თქმის გარეშე. პრაქტიკაში, ფისკალური მდგრადობა თავდაპირველად ფასდება იმით, თუ რამდენადაა შესაძლებელი მიმდინარე ფისკალური პოლიტიკის შენარჩუნება, „ზრდადი ვალის ბილიკზე” დადგომის გარეშე“, — განაცხადა მარინა მუჩიაშვილმა.

პროფესორის მოხსენებაში ასევე საინტერესოდაა გაანალიზებული და შეფასებული 2008 წლის კრიზისის შემდეგ პერიოდში მკვეთრად გაზრდილი ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის მართვის თავისებურებანი: „ქვეყნის ვალის ტვირთის სრულყოფილი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია მთლიანი ვალების მოცულობისა და სხვადასხვა სახის ვალების დინამიკის შესწავლა. თუ 2003 წლის მონაცემებით ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2014 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 13,5 მილიარდ დოლარს (მშპ-ს 88 %-ს) აღემატებოდა. მასში მთავრობისა და ეროვნული ბანკის წილი შეადგენდა 33%-ს (2004 წლის მაჩვენებლით 63%-ის ნაცვლად), დანარჩენი კი კერძო სექტორზე მოდიოდა. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილება ერთი მხრივ დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან ამ სექტორის დაფინანსების ზრდა ხელს შეუწყობს ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ცვლილება ზრდის სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებს და შესაბამისად, გასათვალისწინებელია ქვეყნის ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავების დროს“, — აღნიშნა მარინა მუჩიაშვილმა.

პროფესორმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტორს, რომ სწორი ფისკალური მართვის შემთხვევაში, საქართველოს ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება, როგორც საშუალოვადიან ისე გრძელვადიან პერიოდში რეალურად შესაძლებელია. ამისათვის საჭიროა მაქსიმალურად ზუსტად იქნას პროგნოზირებული მომავალი შემოსავლები და ხარჯები, უნდა მივაღწიოთ დაბალანსებულ ბიუჯეტს, რაც კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს ეკონომიკის სიმტკიცეს შესაძლო ფისკალური რისკების წინააღმდეგ.

„ფისკალური პოლიტიკა არის მდგრადი, თუ მომავალი პერიოდების პირველადი პროფიციტების მიმდინარე ღირებულება უტოლდება სახელმწიფო ვალის არსებულ ღირებულებას. ეს განსაზღვრება გამომდინარეობს პერიოდთაშორისი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობიდან და მდგრადობის დასადგენად რამდენიმე ინდიკატორის შედგენის საშუალებას იძლევა. სახელმწიფო გადახდისუნარიანია, თუ დაცულია პერიოდთაშორისი საბიუჯეტო პირობა. ფისკალური მდგრადობის კარგი ინდიკატორი იძლევა ნათელ და ადვილად ინტერპრეტირებად შეტყობინებას იმის შესახებ, მიგვიყვანს თუ არა მიმდინარე პოლიტიკა ვალი/მშპ თანაფარდობის ზრდამდე. მდგრადობის ინდიკატორები იძლევიან არა მარტო შესწორების აუცილებლობის შესახებ შეტყობინებას, არამედ საჭირო შესწორების ზომის განსაზღვრის საშუალებასაც“, — განაცხადა პროფესორმა მარინა მუჩიაშვილმა, რომელმაც თავის მოხსენებაში ფისკალური რისკების გამოვლენის და მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანესია ფისკალური რისკების მართვა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ფისკალური რისკების შეფასების და მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ფისკალური რისკების გამოვლენის, შესწავლის და გამჟღავნების მიზნით. მას ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობად ფისკალური რისკების გამოვლენისა და შესწავლის მეთოდოლოგიისა და რისკების გამჟღავნების სტანდარტის დახვეწა მიაჩნია.

მოხსენების დასკვნითი ნაწილი ფისკალური სტაბილიზაციის შენარჩუნების მნიშვნელობაზე საუბარს დაეთმო. „დღეისთვის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი. მხედველობაშია მისაღები, რომ ამ პოლიტიკის გატარებას ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ბიუჯეტებიც კი ვერ ართმევენ წარმატებით თავს. მაშინ როდესაც საქართველოს ეკონომიკურ ზრდას დიდი სიძნელეები აქვს (სუბიექტური და ობიექტური) ამ მასშტაბით სოციალური პროგრამების დაფინანსება, მნიშვნელოვანი მოცულობის შიდა და საგარეო ვალების აღების ხარჯზე, სერიოზული გამოწვევაა ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის მდგრადობისა და ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების მიღწევისთვის. აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში, საქართველო ვალების აღების ტემპებით (შიდა და საგარეო) რეგიონში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. ამ ტენდენციის გაგრძელება საშუალოვადიან პერიოდში სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. საქართველოში ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ხარჯვითი და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, საპენსიო რეფორმების გატარება (მოსახლეობის დაბერების ზრდადი ტენდენციის გათვალისწინებით), პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ოპტიმიზაცია, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ფისკალური სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორებია“, — განაცხადა მარინე მუჩიაშვილმა.

პროფესორის მოხსენებას მაღალი შეფასება მისცა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. „სასურველია მისი წიგნად გამოცემაც, რადგან მასში არა მარტო მეთოდოლოგია, არამედ პრაქტიკული ანალიზიც საინტერესოდ არის წარმოდგენილი და სპეციალისტების ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებს“, — აღნიშნა რექტორმა.

საჯარო ლექციის ბოლოს მომხსენებელმა დიდი მადლობა გადაუხადა სემინარის ორგანიზატორებს, თსუ-ის რექტორს და კოლეგების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

შეხვედრა თსუ დოქტორანტებთან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა რუსთაველის ფონდის კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტებს შეხვდა და წარმატებულ სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამახსოვრო მედალი და სერტიფიკატები გადასცა.

„ჩვენმა დოქტორანტებმა მოახერხეს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის მოპოვება, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა სრულფასოვანი კვლევა ჩაატარონ და ეს კვლევა იყოს არამარტო იმისთვის, რომ დისერტაცია დაწერონ, არამედ წვლილი შეიტანონ მეცნიერებაში. უნივერსიტეტი ამაყობს ასეთი ახალგაზრდებით და დარწმუნებულები ვართ, რომ ისინი მომავალში მეცნიერთა რიგებს გაამდიდრებენ“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„ეს კონკურსი მეორედ გამოცხადდა, სადაც ვიღებდი მონაწილეობას და მოვიპოვე გამარჯვება, უკვე ტრადიციად იქცა, რომ წარმატებულ დოქტორანტებს რექტორი აჯილდოებს, ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია და მოხარული ვარ ამ ჯილდოს გამო“, — აღნიშნა თსუ-ის დოქტორანტმა გიორგი ამირანაშვილმა.

2014 წლის დეკემბერში გამოცხადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის შედეგად შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში 376 საკონკურსო განაცხადი (თსუ-დან 150 განაცხადი) დარეგისტრირდა. დამოუკიდებელმა ექსპერტებმა კონკურსის შედეგად 87 გამარჯვებული პროექტი გამოავლინეს. აქედან ნახევარზე მეტი — 45 პროექტი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტების მიერ არის წარდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ გამარჯვებული პროექტების ქულების მიხედვით რანჟირებულ სიაში რეიტინგულ პირველ ათეულში 7 პროექტი თსუ-ის დოქტორანტებს ეკუთვნით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 45 დოქტორანტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაუნიშნავს სტიპენდიას, დაუფინანსებს სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას ან კონფერენციაზე გამგზავრებას და მონაწილეობას.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი პირველად 2013 წელს გამოცხადდა. აღნიშნულ წელსაც თსუ იყო ლიდერი — გამარჯვებულ 135 პროექტს შორის 60 პროექტი თსუ-ის დოქტორანტის მიერ იყო წარდგენილი.

„მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის შესახებ“

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ აგრძელებს ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სტატიების გეჭდვას. 23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად ჩვენი გაზეთის ფურცლებს ვუთმობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მალხაზ მაცაბერიძის რედაქტორობით გამოცემული წიგნის — „მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის შესახებ“ მიმოხილვას.



„ჯავახიშვილი რომ იმ დროს დაბადებულიყო, იგი იქნებ სხვა ექვთიმე ან გიორგი მთაწმინდელი, ან ეფრემ მცირე ყოფილიყო ან, თუ გინდა, გრიგოლ ხანძთელი, რადგან იგი ახალ საქართველოში იგივე მოვლენა იყო, როგორიც იყვნენ ეს დიდნი მამანი ძველ საქართველოში“ — ეს სიტყვები ეკუთვნის მიხაკო წერეთელს, რომელიც, როგორც ივანე ჯავახიშვილის თანამედროვე, ზედმიწევნით ზუსტად აფასებდა მის დამსახურებას ქართველი ერის წინაშე.

2014 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, მალხაზ მაცაბერიძის რედაქტორობით გამოიცა წიგნი „მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის შესახებ“, რომელშიც შესულია ავტორის მოხსენებები და წერილები დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის შესახებ.

წიგნი იწყება მიხაკო წერეთლის სიტყვით, რომელიც წარმოუთქვამს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის აღსანიშნავ ქართველთა კოლონიის კრებაზე ბერლინში 1941 წლის 5 იანვარს: „ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა“! — ეს საზარელი ამბავი მომესმა ამ რამდენიმე კვირის წინად და ლახვარივით მეცა გულს, და, ვეჭვობ, მან ყოველი ქართველის გული ისევე განგმირა, როგორც ჩემი, — ყოველი ქართველისა, რომელმაც იცოდა ის, თუ ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი. არ ვამბობ „პროფესსორი ივანე ჯავახიშვილი“, „მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი“, არამედ მას მისი სახელითა და გვარით ვიხსენიებთ, ვინაითგან იგი ერთი იყო, როგორც ილია ჭავჭავაძე... იგი იყო პროფესსორი, აკადემიკოსი, მეცნიერი, დიდი ხნის განმავლობაში რექტორი უნივერსიტეტისა, როგორც აკადემიური თანამდებობის მქონე... რამდენი გვყოლია აკადემიკოსიც, პროფესსორიცა, უნივერსიტეტის რექტორიცა, მაგრამ იგი ივანე ჯავახიშვილი არ ყოფილა“, — ასე იწყებს მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილზე საუბარს და მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიმოიხილავს.

ამავე წიგნში მოცემულია მიხაკო წერეთლის მოსაზრებები ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხულ ლექციებზე, რომლებიც ქართული სამართლის ისტორიასა და ქართულ საისტორიო მწერლობას შეეხებოდა.

იგი ერთგან აღნიშნავს, რომ ქართული სამართლის ისტორიის ლექციას ცოტა ხალხი დაესწრო და ცდილობს, გააანალიზოს, რა არის ამის მიზეზი, როგორია იმ საზოგადოების ფსიქოლოგია, რომელსაც „რაღაც დეკადენტური სიმახინჯე თუ არ მიაწოდე, ან თუ უცნაური გრძნობები არ აღუგზენი, — ზედაც არ შემოგხედავს“: „ცირკში, პროჟექტორებში და მყვირალა ლექტორების ლექციებზე ჩვენში აუარებელ ხალხსა ჰნახავ, ხოლო თუ წელიწადში ერთხელ მაინც ბედი გვეწვია და ნამდვილმა მეცნიერმა ინება ჩვენი განსწავლა, თქვენც არ მომიკვდეთ, მკითხველო, ჩვენმა საზოგადოებამ თავი არ აიტკიოს! განსაკუთრებით თუ საქართველოსა და მის წარსულ ისტორიას და კულტურას შეეხება მეცნიერის კვლევა“, — წერს იგი და ახასიათებს ივანე ჯავახიშვილს, როგორც ნამდვილ მეცნიერსა და თავისი საქმის უდიდეს პროფესიონალს.

„ივანე ჯავახიშვილი ნამდვილი, წმინდა მეცნიერის ტიპია. იგი ნამდვილი მათემატიკოსია თავის მეცნიერებაში. მისი კრიტიკა ისტორიულ ნაშთებისა, საბუთებისა და ცნობებისა ისეთი ულმობელი, ღრმა, სწორი და ცივია, რომ რვა საათის განმავლობაში ვუგდე ყური და არ მახსოვს, რომ ერთი მეტი სიტყვა წამოსცდენოდეს უსაბუთოდ ან რაიმე გატაცებულ ჰიპოტეზებით შეემკოს საერთო სურათი და პერსპექტივა ჩვენი სამართლის განვითარების მიმდინარეობისა საუკუნეთა განმავლობაში“, — ასე აღწერს მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის რაციონალურ მეცნიერულ აზროვნებას და ადასტურებს, რომ, მართლაც, უფრო ძნელია ამგვარად მოლაპარაკე ლექტორის მოსმენა, ვიდრე სხვისა, რომელთაც მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ აქვთ და მოსასმენად კი ადვილი და სასიამოვნოა.

მიხაკო წერეთელი წერილში დაწვრილებით არ განიხილავს ამ კონკრეტულ ლექციას, რადგან იგი „ვრცელია და სპეციალურია“, თუმცა აღნიშნავს, რომ მასზე ივანე ჯავახიშვილმა ორ სამართლებრივ მიმართულებაზე ისაუბრა: 1) კონვენციონალური ნორმები და 2) ნამდვილი, ძალდატანებითი სამართალი;

რაც შეეხება ლექციებს ქართულ საისტორიო მწერლობაზე, ის ივანე ჯავახიშვილს 1910 წლის 13-14-15-16 იანვარს წაუკითხავს. მიხაკო წერეთელი წერს, რომ ამ ლექციების „მთავარი ღირებულება იყო სიუხვე ცნობათა და მათი კრიტიკა. მერმე კიდევ მოხერხებული კონცენტრაცია აუარებელი მასალისა, რითაც ბატონი ივანე ჯავახიშვილი მართლაც განირჩევა ჩვეულებრივ პროფესორთაგან. 4 ლექციაში ისეთნაირად გაცნობა მთელი ამ აუარებელი მასალისა, მისი დახასიათება და კრიტიკა ისე, რომ არცერთი მნიშვნელოვანი წვრილმანიც არ იქმნას გამოტოვებული, ძლიერ ძნელი საქმეა და ყველა პროფესორს არ შეუძლია“.

წიგნის — „მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის შესახებ“ — უაღრესად საინტერესო სეგმენტია მიხაკო წერეთლის წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი. „ძვირფასო ბატონო ვანო“, „ღრმად პატივცემულო ბატონო ვანო“, მოგვიანებით კი — „ძვირფასო ძმაო ვანო“ — ასე მიმართავს იგი ივანე ჯავახიშვილს პირად წერილებში, საიდანაც ჩანს, რომ მიხაკო წერეთელი უცხოეთში ივანე ჯავახიშვილის წერილების თარგმნასა და გამოცემაზე ზრუნავდა. „თქვენი მონოგრაფიებისა და წიგნების გამოცემა დიადი საქმეა არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ თვით ჩვენი განკაცებისათვისაც. საუკეთესო პროპაგანდაა იგი საქართველოს იდეისა. მე ეს დაკვირვებითა და გამოცდილებით ვიცი. ჯერ თბილისში რომ ვიყავი, თვალით ვნახე, რამდენი ურწმუნო და უმეცარი მოარჯულა თქვენმა ლექციებმა და საქართველო აწამებია. არა იციან რა, არც გაუგონიათ არაფერი საქართველოს წარსულზედ. ჩვენმა გადარჯულებულმა ხალხმა აბა ვინ უნდა შეიყვაროს, რას უნდა ეთაყვანოს, როცა ჩვენი ხალხის არც წარსული იცის, არც აწმყო.!“ — მიმართავს იგი ივანე ჯავახიშვილს და განსაკუთრებულად იწონებს მის ღვაწლს სამეცნიერო ტერმინოლოგიის ქართულად დადგენაში: „სამეცნიერო ტერმინების შემუშავებას დიდი როლი შეუძლია ითამაშოს მწერლობის განვითარებაში. ეხლა ყოველი მწერალი წერის დროს თხზავს ტერმინებს, როცა გვაქვს ეს ტერმინები მეცნიერებისა და ფილოსოფიის ყველა დარგში. ეხლა თქვენის აღმოჩენით, ცხადია, რომ ხელოვნების ტერმინებიც ყოფილა. მხოლოდ შესწავლა უნდა, მუშაობა, და თქვენს წინაშე დიდი მადლობით თავს მოვიხრით მთელი საქართველოს ახალგაზრდობაც და ყველანიც, თუ ერთს დიდ წიგნს დასწერთ, სადაც ყოველნაირი ნამდვილი ქართული ტერმინები იქნება აღნიშნულ-განმარტებული“, — წერს მიხაკო წერეთელი.

წიგნი — „მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის შესახებ“ — კიდევ ერთხელ ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის თანამედროვეთა დამოკიდებულებას დიდი მეცნიერისადმი. აქ თავმოყრილია ბევრნაირი მოსაზრება ჯავახიშვილის დამსახურების შეფასებისა, რაც მეცნიერ-მკვლევართათვის და მომავალი თაობისათვის მეტად საგულისხმო და საინტერესო ინფორმაციაა.

წიგნის რედაქტორი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, რომელიც დიდი ხანია უნივერსიტეტის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს, მისი გამოცემის მიზნადაც სწორედ ამას მიიჩნევს — გააცნოს დაინტერესებულ საზოგადოებას ივანე ჯავახიშვილის თანამედროვეთა დამოკიდებულება მეცნიერისადმი და, ზოგადად, უნივერსიტეტისადმი. „მიხაკო წერეთელი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი. ივანე ჯავახიშვილში ის ხედავდა თავის იდეურ თანამოაზრეს, რომელიც ქართველი ერის ისტორიას იკვლევდა. როდესაც მიხაკო წერეთელმა მეცნიერებაში მოსვლა გადაწყვიტა, ხელმძღვანელობდა სწორედ იმ იდეით, რომ ეკვლია ქართველი ერის წარსული, ეპოვა მისი ფესვები და ამიტომ, მან დაიწყო ძველი ახლო აღმოსავლური ენების შესწავლა. გარდა ამისა, მას ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან სისტემატიური ურთიერთობა, მას წერდა წერილებს, მისგან იღებდა რჩევებს, თუ როგორ მოქცეულიყო, ის ზრუნავდა ჯავახიშვილის ნაშრომების ინგლისურ ენაზე თარგმნასა და გამოქვეყნებაზე ევროპაში. ივანე ჯავახიშვილმა საქართველოში ჩამოსული მიხაკო წერეთელი უნივერსიტეტში პროფესორად მიიწვია, ხოლო როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა — მიხაკო წერეთელი ისევ საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა. იგი ივანე ჯავახიშვილზე ამბობდა — თავად ივანეს ერთი წუთითაც არ უფიქრია თავისი პირმშოს მიტოვებაო. მოხსენება, რომელიც მიხაკო წერეთელმა ბერლინში, ქართული სათვისტომოს წინაშე წაიკითხა და რომელიც ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებას ეძღვნებოდა, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს მიხაკო წერეთელი ჯავახიშვილის მოღვაწეობას და დამსახურებას ქართველი ერის წინაშე“, — განაცხადა მალხაზ მაცაბერიძემ ჩვენთან საუბარში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მალხაზ მაცაბერიძე არის ასევე ავტორი წიგნისა „უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში“, რომელშიც დაბეჭდილია ივანე ჯავახიშვილის ცნობილი მიმართვა სტუდენტებისადმი, როცა რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოს ანექსიისთვის ემზადებოდნენ. აი, რას ამბობს იგი ამ მიმართვის პირველწყაროს შესახებ: „დიდი ხანია ვმუშაობ თბილისის 1918-21 წლების ისტორიაზე. ერთერთი პირველი წერილი ამ ისტორიიდან, რომელიც სწორედ უნივერსიტეტის გაზეთში გამოქვეყნდა, შეეხებოდა უნივერსიტეტის სტუდენტს მარო მაყაშვილს, რომელიც რუსის ჯართან შეტაკების დროს დაიღუპა 1921 წლის თებერვალში. ამას მოჰყვა მასალები სხვა დაღუპული სტუდენტებისა და იმდროინდელი ქალაქის და უნივერსიტეტის მდგომარეობის შესახებ, რაც დაიბეჭდა კიდეც 100 გვერდიან წიგნში — „უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში“. ეს არის წიგნი, რომელიც მოგვითხრობს, თუ რას აკეთებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იანვრის დასაწყისიდან მარტის ჩათვლით, როცა უნივერსიტეტში სწავლა შეწყვეტილი იყო, რადგან საქართველო 21 თებერვალს უკვე რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული (თბილისის უნივერსიტეტმა 3 მარტს განაახლა სწავლა, რადგან მას გაუქმება ემუქრებოდა — გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ახალ ხელისუფლებას შესთავაზეს, თბილისში ქართული უნივერსიტეტის ნაცვლად გადმოსულიყო რუსული უნივერსიტეტი. ისინი ხელისუფლებას შეჰპირდნენ რუსი სამხედროების სასწავლებელში მიღებას და ახალი ხელისუფლებისთვის მისაღები საგნების შემოტანას სასწავლო პროგრამაში)“, — აღნიშნა მალხაზ მაცაბერიძემ.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის მიმართვას სტუდენტებისადმი, რომელშიც იგი სამშობლოს იარაღით დაცვისკენ მოუწოდებდა მათ, მალხაზ მაცაბერიძის თქმით, მისი სრული ტექსტი არ გვაქვს და არ ვიცით, არსებობდა თუ არა იგი წერილობითი სახით, რადგან ეს მიმართვა 70 წლის შემდეგ გაიხსენეს ამ შეკრებაზე მყოფმა ქართველებმა. „ეს არის იმ ადამიანის გულიდან მომდინარე სიტყვები, რომელიც ხედავს, თუ რა საშინელება ემუქრებოდა საქართველოს და მის პირმშოს — თბილისის უნივერსიტეტს. აქ ალოგიკური ისაა, რომ ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ახალგაზრდებს მუდმივად სწავლისაკენ მოუწოდებდა, ამ შემთხვევაში სთხოვს, იარაღით ხელში დაიცვან ქვეყანა და უნივერსიტეტი. საქმე ისაა, რომ 1921 წლის იანვარში უნივერსიტეტის 3 წლისთავზე, რომელსაც ემიგრაციაში მყოფი აკაკი ჩხენკელი იხსენებს, უკვე თვალნათლივ ჩანდა, რომ უნივერსიტეტმა იმაზე მეტ წარმატებას მიაღწია, ვიდრე მოსალოდნელი იყო და გავიდა საშუალო ევროპული უნივერსიტეტების დონეზე (აქ უკვე ჰყავდათ რუსეთში მოღვაწე პროფესორები, ცდილობდნენ ევროპიდანაც მოეწვიათ ისინი. აქაურ ასპირანტებს აგზავნიდნენ ევროპაში, რომ ჩამოსულიყვნენ და განევითარებინათ უნივერსიტეტი, ასევე აპირებდნენ იურიდიული ფაკულტეტის გახსნასაც). დღეს უნივერსიტეტი გაცილებით წარმატებული იქნებოდა, რომ არ შეწყვეტილიყო იმ ადამიანების მოღვაწეობა და სხვა სახე არ მიეცათ უნივერსიტეტისთვის“, — აღნიშნავს მალხაზ მაცაბერიძე.

ივანე ჯავახიშვილს სამართლიანად უტოლებენ დიდ ქართველებს. მისი ღვაწლი იძლევა იმის საშუალებას, რომ ილიას გვერდით თანასწორად მოიხსენიონ და გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების საქართველოში მიუჩინონ ბინა.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

უნივერსიტეტის XXI-ე საუკუნის მისია — უწყვეტი განათლება

„ცოდნა უძველეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის“ — წერდა დიდი ილია. განსაკუთრებით აქტუალურია ეს აზრი ჩვენი ეპოქისთვის, როდესაც გლობალიზაციის პროცესებში არა მხოლოდ ღრმავდება და ძლიერდება ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, არამედ მწვავდება მათ შორის დაპირისპირება, რომელიც ხშირად საომარ მოქმედებებშიგადაიზრდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ბოლო დროს „დაიხვეწა“ საომარი ტექნოლოგიები (ეს გახლავთ: ქიმიური იარაღი, ბიოლოგიური, საინფორმაციო და ენერგეტიკული ომები, ხაკერული იერიშები კომპიუტერულ ქსელებზე, და ა.შ.), ადვილად გავაკეთებთ დასკვნას - ამ ბრძოლაში გამარჯვებული იქნება ის მხარე, რომელსაც გააჩნია უფრო მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი და მისი გამოყენების უნარი.

საქართველო უძველესი დროიდან საყოველთაოდ იყო ცნობილი თავისი საგანმანათლებლო ცენტრებით: (ფაზისის ფილოსოფიისა და რიტორიკის სკოლა კოლხეთში (IV საუკუნე), გელათისა და იყალთოს აკადემიები (XII საუკუნე) და ა.შ. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც ქართველმა ხალხმა საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისას გადადგა გახლდათ თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება. კომუნისტურ პერიოდში, მიუხედავად თავსმოხვეული იდეოლოგიისა და მკაცრი ცენზურისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი ღირსეული მსახურება.

თანამედროვე მსოფლიოში, რეალიზებულია უნივერსიტეტების სხვადასხვა მოდელი: ლიბერალური, კონსერვატიული, მართლმადიდებლური, მუსლიმანური და ა.შ. მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს ერთი იდეა — უნივერსიტეტი უნდა აძლევდეს ადამიანს ცნობიერებას — რისთვის და როგორ უნდა იცხოვროს. ყველა მათგანი ემსახურება საუნივერსიტეტო განათლების ჰუმანისტურ ფუძემდებლურ პრინციპებს — ჭეშმარიტების ძიებისა და თავისუფალი სამეცნიერო შემოქმედების ერთგულებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი თავის მთავარ იდეას, დანიშნულებას აყალიბებს მისიის ცნების მეშვეობით. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: კემბრიჯის უნივერსიტეტი ძალიან ლაკონურად გვაუწყებს თავის მისიას, ეს გახლავთ — უმაღლესი საერთაშორისო დონის განათლების, სწავლებისა და კვლევების მეშვეობით წვლილი საზოგადოების განვითარებაში.

ამერიკის შტატ ჯორჯიის უნივერსიტეტი ასე ამბიციურად განსაზღვრავს თავის მისიას: „ჯორჯიის უნივერსიტეტი — მიწითა და ზღვით დაჯილდოებული, ფართო სახელმწიფო ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობით, არის უძველესი სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრულყოფილი და ყველაზე მრავალფეროვანი უმაღლესი განათლების ინსტიტუტი. მისი დევიზია — „სწავლება, მსახურება და ბუნების კვლევა“.

ამრიგად, სახელმწიფო და ერი ანიჭებს უნივერსიტეტს უნიკალურ მისიას — კაციობრიობის ინტელექტუალური, კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და გაძლიერებას. უნივერსიტეტის ძირითად ღირებულებებზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს მისი ისტორიული როლი: „უაღრესად განათლებული, ზნეობრივი, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი პიროვნების ფორმირება, რომელსაც გააჩნია პატივი და გამარჯვების უნარი, რომელიც დოგმებისგან თავისუფალი იღვწის თვითგანვითარებისთვის, იჩენს ნებას იპოვოს თავისი მოწოდება და იმოქმედოს კაცობრიობის და თავისი ერის კეთილდღეობისთვის“ (the University's integral and unique role in the conservation and enhancement of the state's and nation's intellectual, cultural, and environmental heritage.).

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თანამედროვე უნივერსიტეტები აქტიურად მუშაობენ მეცნიერების სფეროდან ცოდნის გადატანაზე ეკონომიკის, მრეწველობისა და სოციალურ სფეროებში, იკვეთება აგრეთვე უნივერსიტეტების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მისია.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ღირებულებები მარადიულია. მაგრამ დროთა განმავლობაში იცვლება უნივერსიტეტის წინაშე დასახული ამოცანები და მათი გადაჭრის მეთოდები. თუ ადრე სახელმწიფოთა განვითარება დიდ წილად იყო დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე და ფინანსებზე, დღეს უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ „ადამიანურ კაპიტალს“ (ადამიანურ კაპიტალში იგულისხმება ადამიანი+მისი ინტელექტი, ჯანმრთელობა, ხარისხიანი და ნაყოფიერი მუშაობა, სამეწარმეო უნარები და ა.შ.). როგორც კაპიტალის სხვა სახეობებს, დროთა განმავლობაში ადგილი აქვს ადამიანური კაპიტალის „მორალურ ამორტიზაციას“. ფრანგმა სოციოლოგმა პ. ბერტომ შემოიტანა კომპეტენციის დაშლის ნახევარ პერიოდის ცნება. ეს ის დრო გახლავთ, რომლის განმავლობაში ხდება ადამიანის მიერ სწავლის დროს მიღებული ცოდნის ნახევრის „დაძველება“. წინა საუკუნის 50-იანი წლებში დაწყებულ სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციამდე ეს პერიოდი შეადგენდა 10 წელს, ამჟამად კი ეს დრო შემცირდა 3-5 წლამდე (ზოგიერთ პროფესიებისთვის კი უფრო ნაკლებიცაა). ინოვაციურმა განვითარებამ განაპირობა ახალი დარგების ჩამოყალიბება (მედიცინაში — ახალი დიაგნოსტიკის, მკურნალობის მეთოდები; ეკონომიკაში — ახალი ანალიტიკური კომპიუტერული მეთოდები და ა.შ.).

ამრიგად, ადამიანური კაპიტალის განუწყვეტლივ განვითარებისა და განახლების აუცილებლობამ განაპირობა განათლების სისტემის ახალი პარადიგმის ჩამოყალიბება — უწყვეტი განათლების (Continuing Education), განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე (Life Long Learning).

თანამედროვე პირობებში არ არის უკვე საკმარისი მხოლოდ ხარისხიანი საბაზისო პროფესიული განათლების მიღება, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სოციალური უნარების შეძენას, როგორიცაა დიდი საინფორმაციო ნაკადების პირობებში ორიენტირების უნარი, ცვალებად გარემოში ადაპტაციის უნარი, ფორსმაჟორულ სიტუაციებში სწრაფი ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების უნარი, თავის თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარი და ბევრი სხვა. ყველა ეს ამოცანა მოითხოვს ადამიანისგან დამატებითი ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიღებას.

ფართო გაგებით უწყვეტი განათლების ცნება მოიცავს მთელ განათლების პროცესს — ადამიანის დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე. ამაში შედის საბაზისო განათლება (სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო განათლება, საშუალო პროფესიული და უმაღლესი), აგრეთვე დამატებითი განათლების სხვადასხვა ფორმები (კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება), განვითარებითი დამატებითი განათლება ბავშვების, ზრდასრულთა, მათ შორის ხანდაზმულთათვის.

ხანდაზმულთა განათლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნებისთვის. საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიოს მოსახლეობა „ბერდება“ — მედიცინაში მიღწევებით განპირობებულია „საშუალო ასაკის“ გაზრდა. ხოლო დემოგრაფიული პრობლემების (განსაკუთრებით დაბალი შობადობის) გამო იზრდება ხანდაზმულთა ხვედრითი წონა მოსახლეობაში. ამჟამად რუსეთის მოსახლეობა შეადგენს 145 მილიონ ადამიანს. მოსალოდნელია, რომ 2050 წლისთვის რუსეთის მოსახლეობა შემცირდება 100 მილიონამდე. გერმანიის მოსახლეობა ამჟამად შეადგენს 82 მილიონ ადამიანს. მიუხედავად მნიშვნელოვანი ემიგრანტთა ნაკადისა გერმანიის მოსახლეობა 2050 წლისთვის შეადგენს 67 მილიონს. ასევე შემცირდება ავსტრიის მოსახლეობა 9,3 მლნ ადამიანიდან 2050 წლისთვის იქნება 8,4 მილიონი. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის შესანარჩუნებლად სახელმწიფოები იძულებულნი იქნებიან გაახანგრძლივონ სამუშაო სტაჟი და უზრუნველყონ უწყვეტი განათლების განვითარება.

თანამედროვე უწყვეტი განათლების კონცეფცია იყო გაცხადებული UNESCO-ს მიერ 1972 წელს, სადაც ჩამოყალიბებულია უწყვეტი განათლების მისიისა და სტრატეგიების პრინციპები. 1991 წელს შეიქმნა უწყვეტი განათლების ევროპული უნივერსიტეტების ქსელი — the European University Continuing Education Network (EUCEN), რომელიც აერთიანებს 222 წევრს მსოფლიოს 43 ქვეყანაში. EUCEN-ი თამაშობს დიდ როლს ევროპის უნივერსიტეტებში უწყვეტი განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში.

უწყვეტი განათლების მნიშვნელობას ნათლად ასახავენ ის სახსრები, რომელიც იდება ამ სფეროს განვითარებაში:

შვედეთში ამ დარგზე იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის 14%. ამასთან ერთად დიდი წვლილი შეაქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

საფრანგეთში უწყვეტ განათლებაში საუნივერსიტეტო პროგრამების საგრანტო დაფინანსების მიზნით ტარდება კონკურსები. ამ გზით საფრანგეთის უნივერსიტეტები ღებულობენ სახელმწიფოსაგან საკმაოდ დიდ ანაზღაურებას — ეს გახლავთ დაახლოებით 240 მლნ. დოლარი წელიწადში.

პოლონეთის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლება აგრეთვე ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ბიზნესისა და მართვის სფეროში ჩატარებული უწყვეტი განათლების პროგრამების რეალიზაციიდან ვარშავის უნივერსიტეტი ღებულობს თავისი ბიუჯეტის 20%.

ბარსელონას უნივერსიტეტში უწყვეტი განათლება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ პილოტური პროექტის სახით, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ინდუსტრიასთან თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ გზით უნივერსიტეტში ყოველწლიურად შემოდის 21 მლნ. დოლარი.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პროცესებმა გაამძაფრა უნივერსიტეტებს შორის კონკურენცია — ბრძოლა მიდის მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლების და მიზანდასახული და უნარიანი სტუდენტების მოზიდვაზე. უნივერსიტეტები ზრუნავენ თავისი პროგრამების ხარისხზე, სწავლების ინოვაციური ფორმების და ტექნოლოგიების დანერგვაზე. ვინაიდან უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მისი განათლების ხარისხით, თანამშრომელთა დამატებითი განათლება და გადამზადება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

მსოფლიოს ყველა წამყვან და წარმატებულ უნივერსიტეტში არსებობს უწყვეტი განათლების ფაკულტეტი ან კოლეჯი, დეპარტამენტი და სხვა. ამ საუნივერსიტეტო ერთეულებს გააჩნიათ ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია — დამატებითი განათლება ფართო აუდიტორიისთვის და თავისი უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა, რაც საბოლოო ჯამში აისახება უნივერსიტეტის განათლების ხარისხზე. ამ მიზნით ტარდება სალექციო კურსები, პრაქტიკული მეცადინეობები, ტრენინგები სხვადასხვა ფორმით, განსაკუთრებით აღსანიშნავია დისტანციური სწავლება (Distant Learning), კამპუსებში (face to face), შერეულები (მულტიმედიის გამოყენებით). უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ერთეულები ზრუნავენ თანამშრომლების საზღვარგარეთ სტაჟირებაზე, საზაფხულო და ზამთრის სამეცნიერო სკოლების ორგანიზებაზე, სამეცნიერო ტურიზმის ხელშეწყობაზე, როდესაც ლაბორატორიებისა და კათედრების თანამშრომლები ახალი ცოდნის ან ტექნოლოგიების შესაძენად სტუმრობენ საზღვარგარეთ კოლეგებს, ფაკულტეტებს ეხმარებიან სალექციო კურსის ჩასატარებლად გამოჩენილი მეცნიერების მოწვევაში და ბევრი სხვა .

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უწყვეტი განათლების სისტემის პროგრამების ხარისხს და ამ სისტემაში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციას ექცევა დიდი ყურადღება. ინგლისში შემუშავებულია დამატებით განათლების სწავლების და მისი ხარისხის კონტროლის დახვეწილი სისტემა, სახელმწიფო აძლიერებს კონტროლს ამ სფეროში განათლების ხარისხზე. ამ მიზნით შემუშავდა შესაბამისი წესდება (The Further Education Teachers' Qualifications (England) Regulations, 2007). დამატებითი განათლების სფეროში მომუშავე მასწავლებელს მოეთხოვება სპეციალური დიპლომი (Qualified Teacher Learning and Skills, QTLS), რომელიც მან შეიძლება მიიღოს სათანადო მომზადების შემდეგ შესაბამის ინსტიტუტში (Institute for Learning, ifL).

თანამედროვე უნივერსიტეტებისთვის განათლების ხარისხის უზრუნველყოფა დიდ წილად დამოკიდებულია ორ საკვანძო საკითხზე: სწორი და ეფექტური საკადრო პოლიტიკა და სათანადო რეგულაციები; უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მოტივაცია და შესაძლებლობები.

მეორე საკითხი მეტად მარტივად გადაწყვეტილია ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ რექტორის მიერ ხელმოწერილი ბრძანება ავალდებულებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს განუწყვეტლივ იზრუნონ თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მათ შემუშავებული აქვთ კვალიფიკაციის ამაღლების აღრიცხვის ქულების სისტემა. ეს პოლიტიკა აძლევს უნივერსიტეტს საშუალებას ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად შეინარჩუნოს განათლების მაღალი ხარისხი და განახორციელოს ცოდნის წარმატებული ექსპორტი არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში.

ასევე ბუნებრივად ხორციელდება უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის უზრუნველყოფა შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში. აქ წარმოებული საკადრო პოლიტიკა აიძულებს პერსონალს თვითონ იზრუნოს საკუთარ პროფესიულ ზრდაზე, ახალი კომპეტენციების, უნარების შეძენაზე, ინოვაციური მეთოდების ათვისებაზე. საამისოდ არსებობს საგანმანათლებლო სერვისების ფართო არჩევანი — უფასოდან ძვირად ღირებულამდე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაწესებულებას, სადაც უნივერსიტეტის პერსონალი ღებულობს დამატებით განათლებას, რეიტინგს, პრესტიჟს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წელს შეიქმნა აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი. თავისი წესდების შესაბამისად ცენტრი მოწოდებულია უზრუნველყოს საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარება — დამატებითი განათლება, ახალი პროფესიული უნარების შეძენა და სხვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩატარებული „განათლების რეფორმის“ გამო ცენტრმა ვერ და არ იმუშავა სათანადო დონეზე. საბედნიეროდ, უნივერსიტეტის ახალმა რექტორატმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ გაიაზრა უწყვეტი განათლების მნიშვნელობა და ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა ცენტრის საქმიანობაში. ეს გვაძლევს იმედს, რომ უწყვეტი განათლების ცენტრი საკუთარ წვლილს შეიტანს ჩვენი უნივერსიტეტის აღორძინებაში, ვინაიდან უნივერსიტეტის მისია — უზრუნველყოს საზოგადოების განვითარება, შესაძლებელია მხოლოდ უმაღლესი საერთაშორისო დონის უწყვეტი განათლების, სწავლებისა და კვლევების მეშვეობით.

აველინა დავითულიანი

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ ᲣᲐᲮᲚᲔᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ

ᲜᲐᲤᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

თსუ-ის იურიდიულმა ფაკულტეტმა შრომის სამართლის საკითხებზე ორი კრებულის პრეზენტაცია გამართა. გამოცემებში „შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები“ და „შრომის სამართალი (III სტატიათა კრებული) შესული კვლევები 2013 წელს შრომის კოდექსის რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტებს ეხება. რეფორმის ფარგლებში არა ერთი საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევიდა და ახლებურად დარეგულირდა, მათ შორის, შრომის ხელშეკრულების დადება და შინაარსი, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, ზეგანაკვეთური სამუშაო დრო და მისი ანაზღაურების წესი.

„უკვე მესამე წელია, თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე შრომის სამართლის კრებული გამოიცემა. ეს უკვე უწყვეტი პროცესია — ახალი ნაშრომები სისტემატურად გამოდის, რომლებიც აქტუალური საკითხების მეცნიერულ დამუშავებას და სიღრმისეულ შესწავლას ეძღვნება. ეს ორი ახალი გამოცემა მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, პროფესურისთვის, დაინტერესებული მკითხველისთვის და, რაც მთავარია, ჩვენი მოსამართლეებისთვის. არაერთ მოსამართლესთან მისაუბრია, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ძალიან ბევრი გადაწყვეტილების გამოტანისას სამეცნიერო კვლევებს ეყრდნობიან. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თუ პრაქტიკაში კვლევას არ გამოიყენებენ, საქმიანობა ფასს კარგავს“, — განაცხადა პრეზენტაციაზე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

კრებულში „შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები“ 2013 წლის 24 ოქტომბერს გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებებია შესული. კონფერენციაზე სამეცნიერო წრის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ექსპერტები მონაწილეობდნენ. მათ კვლევებში დეტალურად არის გაანალიზებული შრომის კოდექსის ახალი რედაქციის ესა თუ ის ცვლილება და მისი შესაძლო სამართლებრივი შედეგები.

რაც შეეხება შრომის სამართლის III კრებულს, ამ გამოცემაში თავმოყრილია შრომის კოდექსის რეფორმის შემდეგ შექმნილი ანალიტიკური სამეცნიერო სტატიები. მათი ავტორები როგორც სამეცნიერო-სასწავლო, ისე შრომის სამართლის გამოყენების პრაქტიკულ სფეროებში მოღვაწეობენ.

„შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ძალიან ბევრი ნორმა განსხვავებულად მოწესრიგდა. კანონმდებლის ინტერესი დასაქმებულის ინტერესების დაცვა იყო, თუმცა ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა. არის მუხლები, რომლებიც ორაზროვნებას იწვევს და მისი განმარტება პრობლემურია. დასაზუსტებელია გარკვეული ტერმინებიც. ეს კრებულები სასამართლო პრაქტიკას დაეხმარება (მოსამართლეებს შეეძლებათ ამ კრებულში საკითხების ღრმა ანალიზი ამოიკითხონ) და მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვისაც, რადგან ამ გამოცემებში ახლებურად მოწესრიგებული ნორმების განმარტებაა (მანამდე არსებული კრებულები ძველ რედაქციაზე იყო მორგებული). კრებულებში შესულ ნაშრომებში, გარკვეულწილად, კრიტიკაც არის მოცემული, რადგან საჭიროა ზოგიერთი ტერმინისა და მუხლის დაზუსტება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნდოვანი კანონის არასწორმა განმარტებამ, შესაძლოა, არასწორი შედეგი გამოიღოს“, — განაცხადა კრებულების რედაქტორმა, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა სოფიო ჩაჩავამ.

გამოცემები „შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები“ და „შრომის სამართალი (III სტატიათა კრებული)“ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. ამ დროისთვის შრომის სამართლის IV კრებულის გამოცემისთვის მუშაობა უკვე დაწყებულია.

„კრებულების გამოცემას ქართული შრომის სამართლის დარგის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველი კრებული წარმოადგენს რიგით მესამე პუბლიკაციას იმ სერიიდან, რომელიც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ეგიდით 2011 წლიდან გამოიცემა. ეს წიგნი გამორჩეულია თავისი ფორმითა და შინაარსით. იგი მკითხველს არაერთ საინტერესო სიახლეს სთავაზობს. აქვე აღსანიშნავია, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა ამ სერიის IV ნაწილის გამოცემაზე. რაც შეეხება პრეზენტაციაზე წარდგენილ II კრებულს, მისი როლი განსაკუთრებულია, რადგან მასში მოცემული სტატიები ეძღვნება იმ უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს, რაც 2013 წლის ივნისში საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელდა“, — აღნიშნა თსუ-ის დოქტორანტმა, სტატიების კრებულთა პირველი სერიის პროექტის კოორდინატორმა და თანაავტორმა გიორგი ამირანაშვილმა.

„შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტებისა“ და „შრომის სამართლის (III სტატიათა კრებული)“ პრეზენტაცია 6 აპრილს გაიმართა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრებს შეხვდნენ. შეხვედრაში ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ქართველი ძიუდოისტები, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი, ნაკრების მწვრთნელთა კორპუსი მონაწილეობდნენ.

ქართველი ძიუდოისტები ავთანდილ ჭრიკიშვილი, ბექა ღვინიაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი და ფედერაციის წარმომადგენლები სტუდენტებს მიღწეულ შედეგებზე, ნაკრების მომავალ გეგმებზე, ვარჯიშის რეჟიმზე, სპორტული ცხოვრების წესზე და სხვა საინტერესო თემებზე ესაუბრნენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის დავით ქევხიშვილის ინფორმაციით, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ბექა ღვინიაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი და დავით ქევხიშვილი სოციალურად შეჭირვებულ 4 სტუდენტს სწავლის გადასახადს დაუფინანსებენ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის შალვა საბაურის განცხადებით: „სტუმრად გვყავდა ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელები, მოქმედი სპორტსმენები, ჩემპიონები. შეხვედრა ძალიან საინტერესოდ წარიმართა. ჩვენს გარშემო ხალხს აკლია წარმატებისკენ ლტოლვა და ჟინი, საჭიროა შრომისმოყვარეობა და წარმატება თავად მოგაკითხავს. სწორედ, ქართველი ძიუდოისტები არიან ამის მაგალითები“.

„დღევანდელი დღე შედგა, ჩვენი ურთიერთობა უნივერსიტეტთან კვლავ გაგრძელდება. შეხვედრაზე ვისაუბრეთ, რომ შეიქმნება ერთობლივი პროექტები. აღსანიშნავია, რომ სპორტსმენების სურვილია დაეხმარონ სოციალურად შეჭირვებულ სტუდენტებს. ეს არ იქნება ერთჯერადი დახმარება და ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ქართველი ახალგაზრდების განათლებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ“, — აღნიშნა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა.

„მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ სტუდენტს. სპორტსმენისთვის მნიშვნელოვანია ხალხის სიყვარული, როცა წარმატების შემდეგ გყავს გულშემატკივარი. როცა ეს ხალხი შენს უკან დგას — შენს თავს აღარ ეკუთვნი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მათ გასახარებლად“, — განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა.

ღონისძიება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა.

„ჩემი თვალით დანახული ჭაობი“

ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „თსუ ეკო კლუბი“-სა და „თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის“ ორგანიზებით, კონკურსი „ჩემი თვალით დანახული ჭაობი“ გაიმართა.

თამარ დადიანი

2 თებერვალი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო დღეა. სწორედ ამ პრობლემის გარშემო გაერთიანდა 1971 წელს საერთაშორისო საზოგადოება ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის შესახებ მიღებული რამსარის კონვენციით. 1997 წლიდან კონვენციას კოლხეთის დაბლობზე არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიებიც შეუერთდა და მათ მსოფლიო მნიშვნელობის ჭაობების სტატუსი მიენიჭა. ამ ფაქტით ხაზი გაესვა კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ლანდშაფტების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობას. ვიტყვით იმასაც, რომ დაცული ტერიტორიები გადამფრენი ფრინველებისთვის მეტად მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენს, რადგან გადასაფრენი ტრასების შემადგენელი პუნქტებია და ზოგიერთი აქ მოზამთრე ფრინველისთვის თავშესაფრის როლი აკისრიათ, რაც კოლხეთის დაბლობის ნაკრძალებს დამატებით რეკრეაციულ ფუნქციას მატებს.

სწორედ ამ საკითხებით დაინტერესებას ისახავდა მიზნად „თსუ ეკო კლუბის“ მიერ ორგანიზებული კონკურსი, რომელიც ჭაობების შესწავლასა და გამოყენებაში მოსწავლეების აქტიურ ჩართვას ითვალისწინებდა. „თსუ ეკო კლუბის“ წარმომადგენლებს სკოლის მოსწავლეებისთვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება სურდათ, რათა ბავშვებმა კარგად გააცნობიერონ ჭაობების შესწავლა-გამოყენების მნიშვნელობა.

„თსუ ეკო კლუბის” ხელმძღვანელი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების III კურსის სტუდენტი ნიკა წითელაშვილი თავის მოსაზრებას გვიზიარებს: „ეკო კლუბში მოდიოდნენ მოსწავლეები, რომლებსაც კითხვები უჩნდებოდათ ჭაობებთან დაკავშირებით... ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ კონკურსის ორგანიზება. მთელი საქართველოდან 150-მდე მონაწილე იყო. მოსწავლეებს ჭაობის მოდელი ან მაკეტი უნდა დაემზადებინათ და ნამუშევრისთვის შესაბამისი სახელი შეერჩიათ. მათ საშუალება მიეცათ, საკუთარი თვალით დანახული ჭაობი წარმოედგინათ. მონაწილეებმა რეალურად გაიაზრეს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ჭაობს და მის რესურსებს. მათ მიერ წარმოდგენილმა ნამუშევრებმა და ასეთმა ჩართულობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“.

კონკურსის პირველი ეტაპი 26 დეკემბერს დაიწყო და 24 იანვარს დასრულდა. აღმოსავლეთ საქართველოდან 15, ხოლო დასავლეთ საქართველოდან 16 საჯარო სკოლა მონაწილეობდა.

დასავლეთ საქართველოს სკოლებისთვის ფინალური ტური 1 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ფოთის მე-3-ე საჯარო სკოლაში გაიმართა, სადაც ფინალურ ტურში გამარჯვებული აღმოსავლეთ საქართველოს სკოლებიც მონაწილეობდნენ. დასავლეთ საქართველოდან კონკურსში მონაწილეობა მიიღეს აბაშის, ზუგდიდის, თერჯოლის, მესტიის, საჩხერის, ქობულეთის, წყალტუბოს, ჩოხატაურის, ჭიათურისა და ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. 16 საჯარო სკოლიდან, ჟიურის გადაწყვეტილებით, 5 გამარჯვებული გამოვლინდა: I ადგილი დაიკავა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევარმა, II ადგილი — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის საჯარო სკოლამ, ხოლო III ადგილი წილად ხვდა ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევარს. ,,თსუ ეკო-კლუბის“ რჩეული გახდა მესტიის სოფელ ლახამულას სკოლა, კოლხეთის ეროვნული პარკის „სიმპათია“ კი — აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვირის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დაიმსახურეს.

თსუ-ის პროფესორმა გიორგი დვალაშვილმა მაღალი შეფასება მისცა კონკურსზე წარმოდგენილ ნამუშევრებს და აღნიშნა, რომ კონკურსის მასშტაბები, გასულ წელთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა: „წელს კონკურსში საქართველოს სკოლების დიდი ნაწილი ჩაერთო. კონკურსი რამდენიმე ეტაპად დავყავით. ერთი ტური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავატარეთ, ხოლო მეორე ტური — ფოთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მე-3-ე საჯარო სკოლაში. ღონისძიებაზე თითქმის ყველა სამხარეო ადმინისტრაცია იყო წარმოდგენილი. ისეთი რეგიონის მოსწავლეებმაც კი მიიღეს მონაწილეობა, სადაც ჭაობი საერთოდ არ არის, მაგრამ ისინი მაინც დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხებით. საკონკურსოდ მოსწავლეებმა ორიგინალური ნაშრომები წარმოადგინეს. მომხსენებელთა პრეზენტაციები ეხებოდა საქართველოს ჭარბტენიან ტერიტორიებს, ჭაობებს და მათ მნიშვნელობას მსოფლიო ეკოსისტემაში. მოსწავლეებმა ისაუბრეს ასევე იმ საფრთხეების შესახებ, რასაც ჭაობების ამოშრობა და განადგურება გამოიწვევს.

სამწუხაროდ, დღევანდელ პერიოდშიც იკვეთება რიგი ტენდენციები, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ უხეში შეცდომების გამო დღევანდელი ქართული საზოგადოება კვლავ დგას ეკოლოგიური თვითშეგნების ამაღლების საჭიროების წინაშე. ახალგაზრდების ინფორმირებულობას კი, ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება“, — განაცხადა გიორგი დვალაშვილმა.

კონკურსში — „ჩემი თვალით დანახული ჭაობი“ — გამარჯვებულებმა თსუ-ის ადმინისტრაციისგან დიპლომები და სიმბოლური საჩუქრები მიიღეს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელშეწყობით გაიმართება ექსკურსია კოლხეთის ეროვნულ პარკში, სადაც სკოლის მოსწავლეებისთვის „თსუ ეკო კლუბის“ წარმომადგენლებმა ჭაობის თემაზე საინტერესო ლექციაც წაიკითხეს.

შპს „ჯინო პარკი“ სტუდენტურ პროექტებს დააფინანსებს

17 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „ჯინო პარკს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და შპს „ჯინო პარკის“ ინვესტორმა ნოდარ გიორგაძემ მოაწერეს. მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი პროექტების განხორციელება, რომელიც მიმართულია ახალი თაობების სრულფასოვანი განათლებისა და მათი შემოქმედებითი პოტენციალის წახალისებისკენ. კომპანია ასევე მზადაა უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტები სამუშაო პრაქტიკით, საუკეთესო სტუდენტებს კი შესთავაზოს დასაქმება.

თსუ-სა და შპს „ჯინო პარკს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე თსუ-ის სტუდენტები, პროფესორები და ადმინისტრაციის თანამშრომლები კომპანიისგან დაბადების დღეზე საჩუქრად უფასო მომსახურებას მიიღებენ.

„ჩვენი უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი შეთანხმება კერძო კომპანიებთან, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს ჩაერთონ მათ საქმიანობაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ „ჯინო პარკის“ განვითარებაში. ძალიან საინტერესო იდეები წამოვიდა კომპანიისგან და ეს მემორანდუმი იძლევა ბევრ შესაძლებლობას როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

„საინტერესო ხელშეკრულება გაფორმდა უნივერსიტეტსა და „ჯინო პარკს“ შორის, ბევრ სასიკეთო იდეას დაედო საფუძველი სტუდენტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. რაც ყველაზე საამაყოა, უნივერსიტეტმა გამოთქვა ინტერესი, სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოქალაქის გაშენებაში. ჩვენ ამ პროექტს აუცილებლად განვახორციელებთ. იმედია, გვექნება სახელმწიფოს მხარდაჭერა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თსუ-ის სტუდენტები“, — აღნიშნა შპს „ჯინო პარკის“ ინვესტორმა ნოდარ გიორგაძემ.

უახლოეს პერიოდში განხორციელდება პირველი ერთობლივი პროექტი, რომელიც სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ყველაზე კრეატიული პროექტებისთვის ფულად ჯილდოს ითვალისწინებს. ამასთან, პროექტში გამარჯვებულ სტუდენტებს საკუთარი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა მიეცემათ.

ღონისძიებას კომპანიის წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.

არ გაპატიებდა, თუ არ ივარგებდი...

ერთი წელი ნათელა ქუთელიას გარეშე

შურთხია ბეროშვილი

„ერთი წელი ნათელა ქუთელიას გარეშე — საგრძნობია ყველასთვის... მან იცხოვრა უნივერსიტეტში — უნივერსიტეტით, თავისი კოლეგებისთვის, სტუდენტებისთვის და ამიტომაც მისი სახელი ასე მჭიდროდ დაუკავშირდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. სწორედ ამიტომ მისი მშობლიური ფაკულტეტი პატივს მიაგებს მის ხსოვნას“, — ამ სიტყვებით მიესალმა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე ნათელა ქუთელიასადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამოზე შეკრებილ საზოგადოებას. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ-ის პროფესორები და სტუდენტებიც დაესწრნენ, სადაც მისი წიგნის — „ლაზური პარამითეფე“ — ახალი გამოცემის პრეზენტაცია და ნათელა ქუთელიასადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება გაიმართა.

ნათელა ქუთელია რომ „ჩვეულებრივი“ პროფესორი არ იყო, ეს მის ბიოგრაფიაშიც გამოიკვეთა, რომელიც პროფესორმა ცირა ბარამიძემ შეახსენა საზოგადოებას.

ნათელა ქუთელია დაიბადა სუაშაში 1928 წლის 18 აგვისტოს. 30-იანი წლების დასაწყისში იქ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ოჯახი გორში დასახლდა, სადაც ნათელა ქუთელიამ გორის მე-3 ქალთა საშუალო სკოლა დაამთავრა. 1946 წელს მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე ინგლისური ენის სპეციალობით. 1954-1956 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალობით, მისი ხელმძღვანელი იყო პროფესორი სერგი ჟღენტი. 1954 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებით. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჰარმონიულ ხშულთა ორი სისტემა ქართულ ენაში (ექსპერიმენტალური გამოკვლევა). 1986 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, სეგმენტური ფონემები და ფონემათა ჯგუფები: პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა“. იგი 2 მონოგრაფიის, 3 წიგნისა და მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორია.

პროფესორი ნათელა ქუთელია იყო პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს წევრი — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სიიდან. 1991 წლის 9 აპრილს მან ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ერთხანს

იდევნებოდა, როგორც უზენაესი საბჭოს წევრი და როგორც პირველი პრეზიდენტის მასწავლებელი. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ პროფესორთა შორის ერთადერთი იყო, რომელმაც ამხილა რუსეთის აგრესია შევარდნაძესა და რაზუმოვსკისთან შეხვედრაზე უნივერსიტეტში, რაც მაშინ გმირობის ტოლფასი იყო.

ნათელა ქუთელია თავის მოძღვარ-მასწავლებლებად მიიჩნევდა გიორგი ახვლედიანსა და ალი თანდილავას, რომელსაც იგი „ალი ეფენდით“ მოიხსენიებდა. მას განსაკუთრებით უყვარდა ლაზები, რომელთა ენის სისტემა- სტრუქტურისა და ეთნოკულტურის შესწავლას მოანდომა მთელი სიცოცხლე.

„ბიოგრაფიის „მშრალ ციფრებს“ სულ რამდენიმე წინადადება დაიტევს, მაგრამ ვერც ერთი მისი მოწაფის გული ვერ იტევს იმ სითბოსა და სიყვარულს, რომელსაც იგი თესდა ყოველ ჩვენგანში. პროფესორი ნათელა ქუთელია 60 წელზე მეტ ხანს მოღვაწეობდა უნივერსიტეტში. საღვთო ერთგულებით ემსახურა თეთრ ტაძარს და ერთი წლის წინ ქვეყნისა და თაობების წინაშე ვალმოხდილი აღესრულა. უნივერსიტეტმა გააცილა იგი, მაგრამ ქალბატონი ნათელასგან დაიტოვა უდიდესი სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრეობა.

ეპოქის მაჯისცემა პირდაპირ-პროპორციულია ჭეშმარიტი მამულიშვილის პულსაციისა. ასეთია ნათელა ქუთელია. ბედისწერამ არგუნა მას თავის ოჯახთან ერთად ყოფილიყო ერთგვარი მემატიანე XX საუკუნისა. იგი ბეწვის ხიდზე ატარა ცხოვრებამ. საბჭოთა მენტალობის მსხვრევას მიუძღვნა მან მთელი თავისი საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ ახალი თაობა შეძლებდა ამას, ამიტომ გამძაფრებული სიყვარული ჰქონდა სტუდენტებისადმი. აკვალიანებდა მათ, უჩენდა მოტივაციასა და მიზანს. არ გაპატიებდა, თუ არ ივარგებდი.

მის ბიოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგიური მოღვაწეობა, იგი იყო განუმეორებელი ლექტორი. სტუდენტები დიდი ინტერესით მოელოდნენ მის ყველა ლექციას. ქალბატონ ნათელას თავისი „რჩეულები“ ჰყავდა, რჩეულების მთავარი საზომი იყო სტუდენტის განსაკუთრებული ნიჭიერება, საქმისა და ქვეყნის ერთგულება, პატიოსნება, პრინციპულობა. ასეთი რჩეულებისთვის იგი მაქსიმუმს აკეთებდა და ბევრი რამ შეცვალა კიდეც მრავალი ადამიანის ცხოვრებაში. აჩვენა მათ მაგალითი სამშობლოსა და საქმის ერთგულებისა, განუმეორებელი პროფესიონალიზმით აზიარა სტუდენტები ენის საიდუმლოს. იგი წლების განმავლობაში უძღვებოდა სალექციო კურსებს კავკასიოლოგიის რუსულ სექტორზე კავკასიელ სტუდენტებთან.

ნათელა ქუთელიას ნააზრევი ლაზებისა და ლაზურის შესახებ ქართველთა კულტურულ-ისტორიულ არეალში მნიშვნელოვანია როგორც ლინგვისტიკისთვის, ასევე ქვეყნის ისტორიული რეალობის შესწავლისა და ქვეყნის ახლებურად მოწყობისთვის.

ქალბატონი ნათელას მთავარი ღირებულება თავისუფლება იყო. ჩვენი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს ამშვენებს კიდეც მისი ხელწერა. მან საკუთარი ხელწერა დატოვა ყველგან: მეცნიერებაში, პირად ცხოვრებაში, ქვეყნისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში, კავკასიის მეცნიერთა, სტუდენტთა, კოლეგების მეხსიერებაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე იყო ენერგიული, პრინციპული, შეურიგებელი და დაუმარცხებელი ოპონენტი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი პროფესიონალიზმი, არისტოკრატიზმი, არტისტიზმი და კრიტიკული აზროვნების უნარი ყველასგან გამოარჩევდა და ქმნიდა განუმეორებელ შთაბეჭდილებას.

„ნანინას“ (ასე ეძახდნენ მას უახლოესი ადამიანები) მთავარი თვისება იყო გაცემა: იგი უანგაროდ გასცემდა სიკეთეს: ცოდნას, სითბოსა და სიყვარულს. ქალბატონი ნათელას მიწიერი ცხოვრებიდან წასვლით უნივერსიტეტში ერთი დიდი ეპოქა დასრულდა. დიდია მისი ღვაწლი, დიდია ის ნათელი, რომელიც მისგან დათესილმა ცოდნამ გამოიღო. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, არ დავემალოთ ამ ნათელს, შევინახოთ, გავამრავლოთ და გადავცეთ, რათა არ ჩაქრეს ქართული მეცნიერების ცეცხლი“, — განაცხადა ცირა ბარამიძემ.

მეცნიერთან შეხვედრის პირველ შთაბეჭდილებაზე ისაუბრა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ: „უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა იმ ადამიანებით, რომლებიც თავისი საქმიანობით ქმნიდნენ უნივერსიტეტის ისტორიას. სწორედ ასეთი პიროვნება ბრძანდებოდა ქალბატონი ნათელა ქუთელია, რომელმაც 60 ათეულ წელზე მეტი გაატარა დედა უნივერსიტეტში. საყურადღებოა სფერო, რომელიც მან აირჩია საკვლევად. ქალბატონი ნათელა განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელიც ყოველთვის მედგრად იცავდა თავის შეხედულებებს.

მახსენდება ჩვენი პირველი შეხვედრა, რომელიც იმ პერიოდში შედგა, როდესაც ახლად არჩეული რექტორი ვიყავი და ჩვენი პროფესორები ჩემთან, ძირითადად, ერთმანეთის სალანძღავად შემოდიოდნენ. როდესაც ქალბატონმა ნათელამ შეხვედრა ითხოვა, ვიფიქრე, რომ იგივე მიზანი ამოძრავებდა, თუმცა შევცდი: საუბრისას მითხრა, რომ ჩემი გაცნობა უნდოდა და, ამავე დროს, ორი ახალგაზრდა მეცნიერისთვის ხელშეწყობა მთხოვა. ეს ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. მან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, იმედი მაქვს, მისი მოწაფეები ღირსეულად დააფასებენ თავიანთი პედაგოგის ამაგს, რადგან მის მიერ დაწყებული საქმე ახალგაზრდების გასაგრძელებელია“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

პროფესორი ნათელა ქუთელია გაიხსენა მისმა დიდი ხნის კოლეგამ და მეცნიერმა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ: „ნათელა ქუთელია ჩემთვის არა მხოლოდ ჩემი უახლოესი მეგობარი, არამედ მასწავლებელიც იყო. ნათელა ქუთელიას შრომებში, რომლებიც ქართველურ ენათა ბგერით აღწერილობას ეხება, აშკარად ვლინდება ენის ფონოლოგიური ანალიზის პრინციპები, რაც მისი დიდი მასწავლებლის, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის გავლენას უნდა მივაწეროთ.

სრულიად განსხვავებული იყო ნათელა ქუთელიას სტუდენტებთან ურთიერთობა. მას არაჩვეულებრივი ალღო ჰქონდა ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენისა და დაწინაურებისა, იგი სწავლის პერიოდშივე კურირებდა და ცდილობდა, ისინი სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულიყვნენ. ასე ჩამოყალიბდა ჩვენში არა ერთი მეცნიერი. მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში, როგორც გამორჩეული მკვლევარისა და პედაგოგის“, — განაცხადა თამაზ გამყრელიძემ.

ემოციურად გაიხსენა თავისი პირველი პედაგოგი პროფესორმა აპოლონ სილაგაძემაც: „ღვაწლმოსილი ადამიანების სახელები არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს. მისი ხსოვნის საღამოსადმი მიძღვნილ კრებულში ჩემს მოგონებას ასე დავარქვი: „ლამაზი ნათელა ქუთელია“, რადგან ჩემს მეხსიერებაში ასეთად დარჩა. ნათელა ქუთელია ყველაფერში ლამაზი ადამიანი იყო: ლამაზი — თავისი გარეგნობით, ლამაზი — თავისი ჩაცმულობით, საუბრებით ლინგვისტიკაზე, ერუდიციით, ნიჭით. მისი ზოგიერთი უცნაურობაც კი ლამაზი იყო.

იგი ყოველთვის იყო ჩემი უფროსი მეგობარი, რომელთანაც ნებისმიერ თემაზე შეიძლებოდა თავისუფლად საუბარი. საოცარია, რომ როგორც კი რაიმე პრობლემა მაწუხებდა, დაბარებულივით გამოცხადდებოდა ჩემს სამუშაო ოთახში, უაპელაციო ტონით წამიკითხავდა შეგონებას, მერე გაიქცეოდა თავის ლექციაზე. გიფრთხილდებოდა და გაფრთხილებდა — ესეც მისი თვისება იყო. საკუთარ სატკივარზე იშვიათად ლაპარაკობდა. მახსოვს მისი საუბრები პატრიოტულ თემებზე. ძალიან ბევრი რამ აწუხებდა და ბევრის გაკეთებას მოითხოვდა ყველასგან“, — აღნიშნა აპოლონ სილაგაძემ.

მეცნიერის ხსოვნას მიეძღვნა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, ამასთან თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით გამოიცა ნათელა ქუთელიასადმი მიძღვნილი კრებული, სადაც პროფესორის მოღვაწეობას იხსენებენ მისი მოწაფეები და კოლეგები: ცირა ბარამიძე, თამაზ გამყრელიძე, მერაბ ბაბუხადია, აპოლონ სილაგაძე, დარეჯან სირია, ფატი ანთაძე-მალაშხია, მერაბ ჩუხუა, ირინე ტატიშვილი, შალვა გაბისკირია და ნომადი ბართაია. კრებულის ბოლო ფურცელზე წერია, თუ რა დაუტოვა თავის ქვეყანას, უნივერსიტეტს და სტუდენტებს ვალმოხდილმა პროფესორმა:

„პროფესორმა ნათელა ქუთელიამ აჩუქა:

თსუ-ის ბიბლიოთეკას — თავისი წიგნადი ფონდი;

სვანეთის მუზეუმის ფონდს — ღირსების ორდენი;

ზუგდიდის მუზეუმს — რომანოვების დროინდელი (რუსეთის გერბით) სუფრა;

ხელნაწერთა ინსტიტუტს — წერილები, მასალები, შრომები, დოკუმენტები, მიძღვნილი წიგნები;

ჩვენ, მის მემკვიდრეებს მეცნიერებაში კი დაგვიტოვა ანდერძი: „გვიყვარდეს ერთმანეთი, სამშობლო, თავისუფლება“.

ვახტანგ გაფრინდაშვილის ხსოვნას

7 აპრილს 96 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ქიმიის ტექნოლოგიასა და მეტალურგიაში, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, დამსახურებულ გამომგონებელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ გაფრინდაშვილს. სულ ორი თვის წინ წავიდა იგი ამ ქვეყნიდან და ნათელი კვალი დატოვა ჩვენს ხსოვნაში. მისთვის, როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტისთვის დამახასიათებელი იყო საოცარი მოკრძალება, კეთილშობილება და სათნოება.

ვახტანგ გაფრინდაშვილი დაიბადა 1919 წლის 7 აპრილს ქალაქ ჭიათურაში ინტელიგენტისა და მეცენატის ოჯახში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მათი ოჯახის წევრები განიცდიდნენ რეპრესიას და ბატონ ვახტანგსაც ბევრი ჭირ-ვარამის გადატანა მოუხდა.

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონ ვახტანგს სამამულო ომმა მოუსწრო და იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მას ჩაბარეს ქიმიური საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლთა დანაყოფი. ბრძოლის დროს დაიჭრა და მკურნალობდა პოლონეთის ერთ-ერთ ჰოსპიტალში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის ბოლოს ვახტანგ გაფრინდაშვილმა დაიწყო მუშაობა ახლად გახსნილ მეტალისა და სამთო საქმის ინსტიტუტში, რომელსაც



ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი რაფიელ აგლაძე. იმ პერიოდისთვის აქტუალური გახდა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის ათვისება და ბატონ ვახტანგს, როგორც უკვე ასპირანტს, დაევალა, შეესწავლა მთიანი რაჭის ზოფხითოს საბადოს ოქროშემცველი ანთიმონის მადნების კომპლექსური გადამუშავების შესაძლებლობა და მოეძია გზები სასარგებლო კომპონენტების ამოსაღებად. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას მიუძღვნა თავისი საკანდიდატო დისერტაცია. ინსტიტუტი, რომელშიც იგი მუშაობდა, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში შევიდა.

ბატონი ვახტანგის ინიციატივით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა იშვიათი ელემენტებისა და მათი ნაერთების ტექნოლოგიის ლაბორატორია, რომლის სამეცნიერო პროფილის დადგენასა და თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვას, თანამედროვე კვლევითი მეთოდების ათვისებასა და პრაქტიკაში დანერგვას დიდი ძალა და ენერგია მოახმარა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული სამუშაოები რესპუბლიკის რთული შედგენილობის წიაღისეული ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ეფექტურ ტექნოლოგიურ სქემათა ძიების დარგში.

ამ გომოკვლევათა შედეგად მის მიერ დასაბუთებულია და განვითარებული მინერალური ნედლეულის კომპლექსური გამოყენების ახალი მიმართულება, კერძოდ, ფერადი ლითონების სულფიდური მადნების ერთობლივი გადამუშავება მანგანუმისა და მაგნიუმის ოქსიდურ და კარბონატულ ნედლეულთან. აღნიშნულ კვლევათა საფუძველზე დამუშავდა რთული ნედლეულის ტექნოლოგიური გადამუშავების რამდენიმე ახალი, ეკონომიურად მომგებიანი მეთოდი, წარმოებაში ახალი და ბალანს მიღმა ნედლეულის ჩაბმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის პერსპექტივების გაფართოებისა და გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილების პრობლემების გადაწყვეტა. ამ მიმართულებით შესრულებული გამოკვლევებიდან ფრიად საყურადღებოა: მადნეულის სპილენძის სულფიდური მადნების კონცენტრატების ავტოკლავური გადამუშავების კეკების უტილიზაცია სპილენძის, ოქროსა და ვერცხლის ამოღების გათვალისწინებით; წარმოების ჩამდინარე წყლების დარიშხანისაგან გაწმენდა, სოდის და ტიტან-მაგნიუმის წარმოებების ჩამდინარე წყლების უტილიზაცია, მადნეულის კარიერული წყლების გაწმენდა და სხვა.

ბოლო წლებში ბატონმა ვახტანგმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მადნეულის საბადოს სხვადასხვა მადნებიდან და მათი ნარჩენებიდან ოქროსა და ვერცხლის ამოღების ტექნოლოგიების დამუშავებაში.

მას გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, 50-მდე საავტორო მოწმობა და პატენტი, 3 მონოგრაფია. მათგან 2 დაჯილდოვებულია დ. მენდელეევის რესპუბლიკური საზოგადოების პირველი პრემიით.

დიდია ვახტანგ გაფრინდაშვილის დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის, რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 25-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და 2 მეცნიერებათა დოქტორი.

ბატონი ვახტანგი ქიმიურ საზოგადოებაში ყოველთვის სარგებლობდა ღრმად ერუდირებული, მცოდნე და ინიციატივიანი სწავლული მკვლევარის ავტორიტეტით. იგი წლების განმავლობაში სათავეში ედგა არაორგანული ქიმიისა და ტექნოლოგიის საერთო საინსტიტუტო სემინარს. ასევე, იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიის ინსტიტუტის და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზირებული საბჭოს წევრი, აგრეთვე სხვადასხვა ტექნიკური საბჭოების და კომისიების წევრი.

იგი დაჯილდოვებულია სამამულო ომში გამარჯვების პირველი ხარისხის ორდენით და საბრძოლო მედლებით. 2013 წელს პრეზიდენტმა მიანიჭა ღირსების ორდენი.

მეცნიერულ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად უნდა აღინიშნოს მისი კეთილშობილური პიროვნული თვისებები, რის გამოც დიდი პატივისცემით სიყვარულით და სითბოთი სარგებლობდა ინსტიტუტის კოლექტივში, სამეცნიერო საზოგადოებაში და ახლობლებში. მან შექმნა ბრწყინვალე ოჯახი ღირსეულ მეუღლესთან ერთად, იყო მოსიყვარულე და ყურადღებიანი მამა და ბაბუა.

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექცია, ადგილობრივი მინერალური ნედლეულის ქიმიური გადამუშავების ლაბორატორიის თანამშრომლები და ინსტიტუტის მთელი კოლექტივი დიდი პატივისცემით, მოწიწებით, სიყვარულით და სითბოთი ვიხსენებთ ბატონ ვახტანგ გაფრინდაშვილს.

ახალი ჯილდო — უნივერსიტეტის მედალი

თამაზ გამყრელიძე — 85

16 აპრილს თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია გახლდათ. საღამო გახსნა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, რომელმაც ფართო აუდიტორიას — მოწვეულ მეცნიერებს, აკადემიკოსებს, საპატრიარქოს წარმომადგენლებს, პროფესორებსა და სტუდენტებს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი — „თამაზ გამყრელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაცნობი და უცნობი მხარეები“ — წარუდგინა. ფილმის ჩვენების შემდეგ უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ერთობლივად გამოცემული წიგნის — „თამაზ გამყრელიძე, რჩეული წერილები და გამოსვლები“ პრეზენტაცია გაიმართა.

თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ თავისი გამოსვლა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევის მნიშვნელობაზე საუბრით დაიწყო. „მას შემდეგ, რაც თამაზ გამყრელიძის მოღვაწეობის თაობაზე ვნახეთ ფილმი, განსაკუთრებით აღელვებულნი ვართ, რადგანაც ეს არ არის ფილმი მხოლოდ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის შესახებ, ეს არის ფილმი იმ ქართული საზოგადოების შესახებ, რომლის წარმომადგენლებიც ჩვენ, ყველანი, გახლავართ, რომლებიც მოწმენი ვართ იმ ქარტეხილებისა, რაც ჩვენ ქვეყანას დაატყდა თავს უკანასკნელი საუკუნის მეოთხედის განმავლობაში — ეს ყოველივე ფილმში კარგადაა ნაჩვენები. ამ პერიოდში ძნელად ნახავდით ისეთ ადამიანს, რომელიც ერთდროულად იყო გამორჩეული მეცნიერიც და გამორჩეული მოქალაქეც. თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო მოღვაწეობის თაობაზე დღეს მისი მეგობრები იმსჯელებენ. მე კი, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი და ბატონი თამაზის უმცროსი კოლეგა, ხაზს გავუსვამდი რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას, რომლის თქმაც აუცილებელია, მით უფრო ამ საიუბილეო ღონისძიებაზე. მახსენდება 2005 წლის იანვარი, საშობაო დღესასწაულის დღეები, როდესაც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში (მას ჯერ „ეროვნული აკადემია“ არ ერქვა) პრეზიდიუმის სასწრაფო შეხვედრა იმართება. ბატონმა თამაზმა მეც მთხოვა, რომ დავსწრებოდი სხდომას (მაშინ პრეზიდიუმის წევრი არ გახლდით, მაგრამ ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრი და განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრიც). იხილებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფნა-არყოფნის საკითხი. აკადემიის მოქმედ პრეზიდენტს მოუწია საქართველოს დატოვება და მან დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ. საუბარია აწ განსვენებულ აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეზე, რომლის პოზიცია იყო ასეთი: „თუ ხელისუფლებისთვის აკადემიის ხელმძღვანელი არის მიუღებელი, იმისთვის, რომ არ დაზარალდეს აკადემია, ჯობია ხელმძღვანელი შეიცვალოს და გადადგეს“. აღმოჩნდა, რომ აკადემიას არ ჰყავს პრეზიდენტი. საჭირო იყო მიღებულიყო პრინციპული გადაწყვეტილება — ვინ ჩაუდგებოდა აკადემიას სათავეში. მახსოვს, იმ შეხვედრაზე გამოვიდა აკადემიკოსი ივანე კიღურაძე, რომელმაც ძალიან მარტივი დასაბუთება მისცა თავის წინადადებას — თუ რატომ უნდა ჩადგომოდა სათავეში აკადემიას თამაზ გამყრელიძე. მან თქვა, რომ ქართველ მეცნიერთა შორის ყველაზე სახელოვანი თამაზ გამყრელიძეა, რომ მისი სახელი ყველაზე მეტად არის აღიარებული საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში და თუკი ვინმე შეძლებს ხმა მიაწვდინოს ამ წრეებს და აკადემია დანგრევისგან იხსნას, ეს გახლავთ თამაზ გამყრელიძე. არავის გამოუთქვამს რაიმე განსხვავებული მოსაზრება. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ერთხმად მოიწონა ეს გადაწყვეტილება. მაშინ აკადემიამ თავისი ძალა აჩვენა ხელისუფლებას და აირჩია ისეთი პრეზიდენტი, რომელიც აკადემიის „ერთგვარი პატრონიც“ იყო. თამაზ გამყრელიძის შემდგომმა ბრძოლებმა ეს აჩვენა კიდეც.

> ბატონ თამაზს არ აკლია ჯილდოები. აღმოჩნდა, რომ თურმე ერთი ჯილდო მაინც აკლია — ეს არის ჩვენი უნივერსიტეტის მედალი. იგი არის დაჯილდოვებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. ახლა კი მას უნდა გადავცეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი. ჩვენ ვამაყობთ, რომ იგი დღეს ჩვენი უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორია

არის ერთი შტრიხი ბატონ თამაზის ბიოგრაფიაში, რომელზეც ამ ფილმში საუბარი არ ყოფილა. პირადად მე ღმერთმა მარგუნა ბედნიერება, ორი ათეული წლის განმავლობაში ბატონ თამაზთან ერთად ვყოფილიყავი ხან მოწინააღმდეგე, ხანაც პარტნიორი საჩოგბურთო კორტებზე. ბატონი თამაზი არის შესანიშნავი მოთამაშე, ისეთივე აზარტული, როგორიც არის მეცნიერებაში, და საკმაოდ პრინციპული, ხანდახან ჯიუტიც, ზოგჯერ არაკომფორტულიც მოწინააღმდეგისთვის. არსებობდა ასეთი საჩოგბურთო კლუბი „დინამო“. ბატონი თამაზი იყო ამ კლუბის გამორჩეული წევრი და მეც ამ კლუბის წევრი ვიყავი და ვამაყობ ამით. არავის არ უყვარდა მის წინააღმდეგ თამაში, რადგან ეშინოდათ. და ეშინოდათ არა იმიტომ, რომ იგი ძლიერი მოწინააღმდეგე იყო, არამედ იმიტომაც, რომ ვერავინ ვერ უბედავდა შეკამათებას — ბურთი ხაზზე დავარდა თუ ხაზს მიღმა.

ბატონ თამაზს არ აკლია ჯილდოები. აღმოჩნდა, რომ თურმე ერთი ჯილდო მაინც აკლია — ეს არის ჩვენი უნივერსიტეტის მედალი. იგი არის დაჯილდოვებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. ახლა კი მას უნდა გადავცეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი. ჩვენ ვამაყობთ, რომ იგი დღეს ჩვენი უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორია“, — აღნიშნა უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ და აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს ქართული მეცნიერების განვითარებასა და უნივერსიტეტის ცხოვრებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის უნივერსიტეტის მედალი გადასცა.

„ძალიან სიმბოლურია, რომ ბატონი თამაზის იუბილე ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში აღინიშნება, რაც არ არის შემთხვევითი. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული — ეს არის სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ზეიმი და რაც ჩვენ ვნახეთ ბატონი თამაზისადმი მიძღვნილ კრებულში, რაც ჩვენ ვნახეთ ამ არაჩვეულებრივ ფილმში — ეს არის ტრიუმფალური სვლა ქართული საზოგადოებისა, როგორც ერთი დიდი სიკეთისა, ბოროტებასთან ბრძოლაში. ხშირად ეს გამარჯვება არის გამარჯვება პიროვნებისა თავისი მრწამსისადმი ერთგულებით, სიმამაცით, გაბედულებით, პრინციპულობით, უშიშარობით... ის მრავალი ხილული გამარჯვებები, რომელიც ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ გავიხსენეთ, სიამაყეა ქართველი ერისა. ეს არის ნიშანი იმისა, რომ ქართული სული აგრძელებს სვლას ჭეშმარიტებისკენ, სინათლისკენ, მშვიდობისკენ, სიყვარულისკენ და, მიუხედავად მრავალი სირთულისა და წინააღმდეგობისა, რყევისა თუ ხარვეზისა, იგი ცოცხლობს, იგი არსებობს და ეს არის ჩვენი სიხარულის საფუძველი. ბატონ თამაზში ხასიათის განსაკუთრებული თვისებაც ჩანს — მიუხედავად იმისა, რომ მისი სიტყვა მჭექარეა და გაბედული, მაინც არის მასში სიმდაბლე სულისა. იგი მუდამ იყო ეროვნული მოძრაობის ცენტრში, მაგრამ არასოდეს არ წამოსულა მისგან რაიმე აგრესია. ეს საოცარი სიმაღლე, ეს წონასწორობა ქართული სულის თვისებაა. ეს არის ის, რისთვისაც ჩვენ გვინდა მადლობა ვუთხრათ ბატონ თამაზს“, — ამ სიტყვებით მიმართა იუბილარს მეუფე დანიელმა, რომელმაც აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს საქართველოს პატრიარქის ილია მეორისგან მისალოცი ბარათი გადასცა.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები როინ მეტრეველი, ნანა ხაზარაძე, გუჩა კვარაცხელია, მარიამ ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი სერგო ვარდოსანიძე, რომელთაც დამატებითი შტრიხები შესძინეს თამაზ გამყრელიძის მნიშვნელობას ქართული საზოგადოებისთვის.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, შალვა აბზიანიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62